

~~KM 454~~
1a

100%

Mr. S. J. Gould

John D. Lippard



24.5.2015 - 20381

ე ც ვ ა დ ი ა ნ ი

ნ ა ვ ე რ ბ ვ ლ ი ღ ე ბ

K 11454
1a

პირვე 5 მოქმედებად

...Из искры возгорится пламя.

Одоевский

მ რ კ მ ე ლ ი

ჰათიელი—მტვირთავი მუშა

მაგდანა—მისი ცოლი

ელიშუქ—მათი ვაჟი, ქარხნის მუშა

ცაბუ—ამის ცოლი

გივი—მათი ვაჟი, 5 წლის

ზიკოვი—ბათუმის საბაჟოს უფროსი

ფატი—ამისი ცოლი

სერიოჟა—მათი ვაჟი

პარასკევა—ფატის მესაიდუმლე

სმაგინი—გუბერნატორი

დრიაგონი—პოლკოვნიკი, ბათუმის ოლქის გამგე

პოლიციელისტერი

ლევან გურიელი—ურიალნიკი

თავადი დათა

ჭიჭიკო ბრევვაძე—ვექილი

შარლ დობინი { უცხოელები
ნათანსონი

კარლო ჩევიძე

ქარხნის დირექტორი

ალექსანდერ—უფროსი მექანიკოსი როტშილდის ქარხანაში

სილიბისტრო ლომვარია—უმფროსი მუშა ქარხანაში, ნოქარი

ალაზი—ამისი ცოლი

ივლიანე შავათავა

დესპინე—ამისი ცოლი.

ლილოსი—ახალგაზრდა მრეცხავი ქალი

გიორგი—ასოთამწყობი

გერვაჩი—კონდუქტორი

კარლენ

თანდილა { ობოლი ბიჭები

შეტიელა

{ მედროგეები, ლოთი-შფოთი ყმაწვილები.

გუჯუ

მიხა გაბუნია	
ოეოფილე გოვიბერიძე	
ქიშვარდი ცერცვაძე	
ხირიმიანცი	
დომენტი	ბათუმის ნავთის
კოტე	
ვართან	
ოსმან	
დაგით	
სევერიანე	ქარხანათა მუშები
ნესტორ	
ზევარ	

აგრძელებულ პირსამი მომძმელ პირებად გამოყიანდღი საზარ
ლ ე რ ი ნ ი ღ ა ა ზ ა ლ გ ა ზ რ დ ა ს ფ ა ლ ი ნ ი

სალიანგო სცენებში – მუშები, პოლიციელები და სხვ.

მოქმედება სწარმოებს 1901—1902 წ. ქ. ბათუმში და 1905 წ.
—თბილისში და ტამერთფორსში.

მოქადაგა პირველი

მ.თუმრი. ოცნებილების ქარხანა. ყუთუმის დასამშავებელი გან-
ცოდილება. დაბატის მუშაობა... გადამშიდაჭამი უძირებიან დამ-
შავებულ საქონლს

ნესტორ. (შემოდის და მადის დავითის დაზღასთან) რა წიგნი-
მოგიტანე, ბიჭო დავით, რა წიგნი...

დავით. რაა? ახალია რამე?

ნესტორ. შენთვის ახალია... ჩერნიშევსკის „ოთხი ძმა“...
ხომ იცი, ჩუმად შეინახე, არ დაკარგო და კარგად.
გადაიკითხე...

დავით. ჰო, რას მასწავლი, პირველია თუ!

ნესტორ. მალე უნდა გადაიკითხო, რადგან შემდეგ სევე-
რიანეს უნდა მისცე.

დავით. შენ არხეინად იყავი...

კოტე. (მათთან მოვიდა) ოო, ნესტორ!.. შენ უთუოდ ახალ
წიგნებს მოიტანდი...

ნესტორ. შენთვისაც მაქვს, გული ნუ დაგწყდება — აგერ-
„ობობა და ბუზი“.

კოტე. ოჲ, ეგ ხომ წაკითხული მაქვს...

ნესტორ. აბა რა გინდა... ორი წიგნი მაქვს კიდევ: „სა-
ხარების კრიტიკა“...

კოტე. ვიცი.

ნესტორ. აბა ბელლამის „ასი წლის შემდეგ“...

კოტე. კარგია?

ოსმან. (მოვიდა) ვაიმე, წიგნებს არიგებთ?

დავით. მერე შენ რა?..

ნესტონ. როგორ, კიდევ ვერ ისწავლე, ოსმან, წერა-
კითხვა?

ოსმან. აბა საიდან?—დილის 6 საათიდან ლამის 10-მდე
აქა ვარ.

ნესტონ. მერე და საკვირაო სკოლაში აქამდი არ დადი-
ხარ?

ოსმან. რა არის საკვირაო სკოლა?

ნესტონ. უი, თქვენ კი რა გითხრათ!.. აქამდი ვერ აუხ-
სენით ამ ყაზილარს ჩაც არის და საღაც არის
საკვირაო სკოლა?

ოსმან. ომ, იქ, ქართულ სკოლაში?.. ეგ ვიცი, ამხანა-
გებმა მითხრეს; მაგრამ იქ თურმე მღვდელი ასწავლის
და მუსულმანი იქ რომ მივიდე, ხომ მომკლეს, მე-
ზობლებმა...

ნესტონ. უჯ, თქვენ კარჩაკეტილობას რა ჭითხრა!.. ბიჭო,
მღვდელი იმიტომ ურევია ამ საქმეში, რომ მთავ-
რობაშ კარგი თვალით უყუროს და არ დავიკე-
ტოს. ის კი არა, იქ პრისტავიც კი ესწრება გა-
კვეთილებს...

დავით. მართალი უნდა გითხრა, ნესტონ, არ მომწონს
ეგ თქვენი საკვირაო სკოლა...

ნესტონ. ჰო, გემდურიან—ალარ დაიარებაო...

დავით. რომ დავდიოდი, რა გამოვიტანე?.. ვარსკვლავთ-
მრიცხველობას ვგასწავლიდენ, ასტრონომიას... ვარ-
სკვლავები რათ მინდა მე... აგერ მუშა რომ ვარ,
ჩემ გაჭირვებას რა მოუხდება, ის გაშაგებინონ..

კოტე. მართალია — იქ პირუტყვების ამბებსაც გვიყვებიან..
კარლო ჩეიიძემ ერთხელ ძალლების ცხოვრებაც აგვი-
წერა...

დავით. კაია, შენი ჭირიმე... ძალლები რათ მინდა, ჩვენ
ძალლურ ცხოვრებას რა მოუხდება, ის მითხრას...
ნესტორ. აჲ, კარლო ჩხეიძეზე ნუ ამბობთ მაგას, ის სწო-
რედ ისე გამზადებთ, რომ შეგნება შემოიტანოს
მუშებში...

კოტე. ჰო, მუშები უნდა განვითარებული და მომზადე-
ბული იყვნენო.

დავით. კარგია, კაი დაგემართოს, განათლება, მარა აგერ
ჩვენ რომ დღეში 16 – 17 საათს ვმუშაობთ და რა-
ღაც ორ გროშს ვღებულობთ, რავარია ეს?

კოტე. ევროპაში ალაგ-ალაგ უკვე მიაღწიეს მუშებმა
იმას, რომ 10 საათზე მეტს ალარ მუშაობენ...

დავით. ევროპა რათ გინდა?.. თბილისშიაც მუშები უკვე
დარაზმულან და ზოგი რამის უფლება მოუპოვე-
ბიათ... მაგრამ აქ, ჩვენთან ვინ გეტყვის მართალს!..
სევერიანე. (მოირბინა) ბიჭებო, ბიჭებო!... ქლიბი გამიტყ-
და, ქლიბი, მათხოვეთ ერთი ხვალამდე, სანამ
ვიყიდიდე.

დავით. ვაი შენი ცოდვა!.. რა ხელ-ჩოლპოტი ხარ, ბიჭო!
სევერიან. კარგი ახლა, ნუ მელაზლანდარები.. მათხოვე.
(შორიდან მოისმის საშამაღალი ლაპარაკი).

კოტე. ეჰე, ბიჭებო; ალექსანდერი მოდის, დავიშალნეთ,
თორემ ცუდ დღეს დაგვაყენებს.

ნესტორ. დავით, დამალე, ბიჭო, ეგ წიგნი... სევერიანე,
შენ მაგ წიგნს მერე გადმოგცემს დავითი...

სევერიანე. კარგი, კარგი! (ქლიბიანათ მიჯის, სხვებიც მიდიან
თავიანთ სამუშაოზე).

ოსმან. ნესტორ!!

ნესტორ. რა გინდა?

ოსმან. ძალიან მინდა, ჰო, ქართული წერა-კითხვა მაინც
ვიცოდე, გავიგებ ქვეყნის ავ-კარგს... მეც გამეხილე-

ბა თვალები... იმ დღეს ჩემი მეზობელი კითხულობდა ნინოშვილის „განკარგულება“-ს... რამდენი უსამართლობაა ქვეყანაზე...

ნესტორ. მერე რა გინდა?

ოსმან. შენ ამისთანა გულკეთილი კაცი ხარ... ჩვენი საყვარელი ძმა...

ნესტორ. მერე გინდა წერა-კითხვა გასწავლო?

ოსმან. ჰო... თუ მოიცილი...

ნესტორ. რატომაც არა, შე კაი-კაცო... (მიეფარებიან შემოდის ალექსანდრე — (მექანიკოსი). თან მოჰყვება მუშების ჯკუფი).

ალექსანდერ. (მიდის დავითის დაზგასთან) ეს რა არის? აქამდე მეტი ვერ გააკეთე?.. მაგრამ ლაზლანდარობას უნდები ამხანაგებში და რას მოასწრებ.

დავით. მე არ გახლავარ ლაზლანდარა...

ალექსანდერ. ჩუმად... ხმასაც იღებ? ვინ გასწავლა სიტყვის შემობრუნება? მაგრამ ჰო... შენ ხომ ისა ხარ... რას უძახიან?

ერთ-ერთი მომყოლი. მარქსისტი.

ალექსანდერ. ჰო მარქსისტი... სოციალისტი...

დავით. ბევრი გესმის შენ სოციალისტობის...

ალექსანდერ. რაო? ვის უბედავ?.. ჯარიმა სიტყვის შემობრუნებისათვის... (მომყოლს) ჩასწერეთ... აბა ეხლა ხელსაწყო გავსინჯოთ... აპა, ხერხი!.. მოუქლიბავია... სადა გაქვთ ქლიბი... ქლიბი ჩქარა!.. არ არის, დაამტვრიე?.. (მომყოლს) თუ ხვალვე არ მოუტანია... იყიდეთ და გამოუქვითეთ... კიდევ კარგია, რომ ადმინისტრაცია არ ყიდულობს მუშებისათვის ამისთანა პატარა ხელსაწყოს, თორემ აქამდი სულ გააჩინაგებდით ქარხანას... (მიდის).

დაფით. (თავისითვის) ძალლი!

ალექსან. (მიმავალ ვართანას, რომელსაც ხის ყუთები მიაქვს ზურგით) დაიცა, დაიცა! რამდენი მოგაქვს? ხუთიღ მერმე მეტი ვერ ზიღე, შე ზარმაცო, შე მუქთახორა შენ!.. რა გგონია, როტშილდი შენისთანა ვირებს ფულს ტყუილა აძლევს?.. აა, ხმა! კრინტი! ან ეს რა ყუთია?.. (ჩამოყრის) ეს არის ყუთი? ვისი გაკეთებულია? არ იცი?.. ჩუმათა ხარ? აბა ხმა ამოიღე... აპა, არ გინდა გასცე ამხანაგი?.. ძალიან კარგი... ამისთანა საქონლის გადატანისათვის აიროგორ ვუპასუხებთ ჩვენ... (ვართანას სილას გააწინავს).

ვართან. უჰ, შენი რჯული! (მიიწევს, გააკავებენ).

ალექსან. დაითხოვეთ, არ ვნახო მაგის დუხი! (ვართანა უძალიანდება, მაგრამ მიჰყავთ).

ელიშუქი. (მოვიდა შორეულ დაზგიდან) რა ამბავია, რა ამბავი, ბატონო ალექსანდერ, ცემის უფლება ვინ მოგცა?..

ალექსანდ. ეს ვინ არის?.. აა, ამაყი გურული! უკაცრავად თქვენთან... თუ მუშას ისე ვექცევი, როგორც ღირსია..

ელიშუქი. ოო, როგორც ღირსია!.. მუშა თქვენ კაცად არ მიგაჩნიათ?

ალექსან. ჰა, ჰა, ჰა, ახალმოდის კაცი... რაო? თქვენც მოგწამლეს აქა? ჰმ... მუშა და აღამიანი!

ელიშუქი. დიალ, მუშაც აღამიანია და თქვენც აღამიანურად უნდა მოეპყრათ...

ალექსან. ოპოპოპო! სულ არ გასოციალისტებულა!.. ეხლა-მოთხოვნილება არ წამომიყენოთ ზრდილობიან მოპყრობაზე.

ელიშუქი. მოთხოვნილებას წამოუყენებთ და მეტსაც გრ-
ჩამო... .

ალექსან. რაო! თავი რომ გაგიყადრეთ და ლაპარაკის
ნება მოგეცით, ეხლა იმუქრებით კიდეც? — ჯარიმა!
ელიშუქ. რისი ჯარიმა?

ალექსან. სიტყვის შემობრუნებისათვის... (ალექსანდერი
გაიღლის. მიყვებრან მისიანები).

ელიშუქ ეს არის ცხოვრება?.. დავით! სანამდე უნდა
ვითმინოთ?..

დავით. მოთმინების ფიალა აივსო, ელიშუქ, მავრამ...

ელიშუქ. ერთი პირი არა გვაქ, ერთი პირი, დავით, და
სულ უველაფერი ამის ბრალია ჩემი ფიქრით... ერთი
პირი ომშ გვქონდეს, სუყველა რომ აეხრიალდეთ,
არ მოვითმინოთ ამდენი დამცირება, განუკითხაობა,
სიღატაკე..

დავით. ჩვენ კიდე ბატონები ვართ თურმე, ჩემო ელიშუქ!
შენ მანთაშევის მუშები უნდა ნახო; რანაირად
ცხოვრობენ, რა დამცირებას განიცდიან...

ელიშუქ. ჰო, მანთაშევიც, ნობელი, სიღერიდი და სხვე-
ბიც, მავრამ რუსეთის ქარხნების ამბები ამიწერა
იმ დღეს ერთმა გადმოსახლებულმა რუსმა, ფეოდო-
როვმა და უნდა გითხრა... ავენთე ..

დავით. მე რომ ძიითხო, კაცი გვინდა, კაცი ..

ელიშუქ. რას შერება, კაცო, ჩვენი კარლო ჩხეიძე?

დავით. ოჲ, ის არ გამოგვადგება, ძმაო, როგორც ეტყო-
ბა. კოშიამ მითხრა, სილიბისტრო ჯიბლაძეს შემოუ-
თვლია თბილისიდან, კარლოს გაუფრთხილდით,
მუშები არ ჩააგდოთ.. საჭირო კაციაო.

ელიშუქ. საჭირო რა! ჩვენ აქ გვინდა კაცი... უშუალოდ
ჩვენი ხელმძღვანელი.

დავით. ჰო და იმიტომ დავეთხოვე მეც საკვირაო სკო-
ლას... (გაისმის ყვირილი).

ელიშეუქ. მოიცა, რა ამბავია!..

დაგით. ახლა სევერიანეს შეუტია ალექსანდერმა, სევე-
რიანეს...

ალექსანდრ. (მოდის, სევერიანეს მომყოლები მოათრები) გაათ-
რიეთ და კარგა გაჩხრიკეთ!..

ელიშეუქ. ეს რაღა ამბავია? რა უფლება გაქვთ გაჩხრე-
კისა?

ალექსან, ხმა, კრინტი!.. რა შენი ჭკუის საქმეა ჩემი
უფლებები?

ელიშეუქ. ხელი გაუშვით-მეთქი!

ალექსან. როგორ, ძალადობას ადგეხარ?.. ჩქარა დაუძა-
ხეთ პოლიციას.

ელიშეუქ. უჰ, შენი რჯული! (სილას გააწნავს ალექსანდრს
აულობა, სტენ.. ელიშეუქი სევერიანეს ხელს მოჰკიდებს
და მიჰყავს).

დათილასას

მაგდანა და პარასკევა

მაგდანა. რა ვიცი, ვკითხოთ თვითონ ჩემ რძალს... შეი-
ძლება მოისურვოს, მაგრამ ელიშეუქის თანხმობა
მაინც საჭიროა.

პარასკ. რასაკვირველია, კითხე, მაგრამ ისე კი უნდა შეა-
მზადო; რომ დაგეთანხმოს... მე თქვენთვის ვწრუნავ
თორემ.. საძირაო ქალები სხვებიც იშოვება, ჩემთ
მაგდან.

მაგდანა. არა, მაგაზე ვინ რას ამბობს... მადლობის მეტი
რა მეთქმის..

პარას. ისინიც იმას ზრუნავენ, რომ ჯანმრთელი, ახალგაზრ-
და და შნოიანი მოხდენილი ქალი იყოს ძიძა... თოთო
ბავშვს ამისთანა შეეფერებაო და მეც იმიტომ ვი-
ფიქრე შენ რძალზე...

შაგდანა. კარგი, ბატონო... (ასძახის) ცაბუ, ცაბუ! მოდი,
გენაცვალე, აქ ერთ წამს... ბავშვი ხომ დააძინე და
საქმე გვაქ აგერ, ნოდი.

ცაბუ. (შემოდის) რას მიბრძანებ, ბატონო?

შაგდანა. გაიცანი. დიდი ხნის ჩემი მოკვეთეა. გამიხსენა
აგერ, მობრძანდა ჩვენთან და ერთ კარგ საქმეს
გვეუბნება, თუ შენ დათანხმდები; არც შენი ქმარი
იქნება მგონი წინააღმდეგი და... დავუფიქრდეთ...

ცაბუ. რა არი, ბატონო, იმისთანა, რომ ჩემი თანხმობა
იყოს საჭირო... თქვენ უფრო კარგათ არ იცით...

შაგდანა. რა არი, შვილო და, შენ მეგრელი ქალი ხარ,
კი არ გაგიკვირდება... ძიძობა უნდა გთხოვოს...

ცაბუ. ძიძობა? ეგ ძალიან საპატიო საქმეა, ბატონო და...
ვინაა ამის ლირსი...

შაგდანა. კარგი ოჯახიაო, ძალიან აქებს აი ჩემი მეგო-
ბარი.

პარასკ. ოჯახი, იცოცხლე! ახლა მოვახსენებდი შენს დე-
დამთილს, ქალო... რა გქვია?

ცაბუ. ცაბუ, პატონო.

პარასკევა. ჰო, ჩემო ცაბუ... თუ გაკეთება გინდა, მაგ
ოჯახს უნდა ძიძად გაუხდე... კარგი პატივისცემა,
კარგი ჯამაგირი.

ცაბუ. დიდუუ! რას ამბობ საარიკოს! ჯამაგირი და ძიძა
ვინ გეიგონა... ჩვენში, ბატონო, ძიძა და ძიძიშვი-
ლობა ეს ნათესაობაა. ამაში ფული რაფერ გამოერ-
თმევა...

ბარასკევა. აა, უყურე ახლა ამას... სულ გამოუცდელი
არ ყოფილა...

შაგდ. რა იცის, გენაცვალე, ამან ქალაქის ამბავი... სოფ-
ლის წესჩეა აღზრდილი... რამდენიმე თვეა, რაც
ჩა მოიყვანა სოფლიდან ჩემმა შვილძა.

ცაბუ. უხეირო ვთქვი რამე? უკაცრავად, ბატონო!

მაგდანა. არა, აშეილო, ჩემი სიტყვა რატომ გეწყინა... უხეირო კი არაფერი გითქვამს, მარა შენს გამოუცდელობაზე თქვა... (შემოდის დათიელა.)

მაგდანა. რას უკვირდები, ბეჩა, ვერ იცანი ჩვენი პარასკევა?

დათიელა. პარასკევა ჯაშის ქალო, ოჭ, რა ეშიანი ხარო!.. ა? ახლა არ გამახსენდა!.. რავა ვერ ვიცნობ, მარა...

პარასკ. ვიცი, რაც გინდა თქვა, ჩემო დათიელა, მაგრამ... შენც დაბერებულხარ..

დათიელა. დავბერდი, ბატონო, დავბერდი... ჯერ სოფელმა გამტეხა და ახლა აქ ქალაქშა სულ ხელი მომითავა... .

მაგდანა. ასეა, ბატონო... მოტყდა, მარა მაინც არ ისვენებს... პარახოტზე მუშაობს საცხა... მხოლოდ დღეს რა ამბავია, ასე აღრე დაბრუნდი, სამუშაო არ გქონდა?

დათიელა. რაღა მუშიობა, რა... დღეს სულ დაგვითხოვეს ყველანი.

მაგდანა. უიმე, ღმერთო მომკალი!

დათიელა. ანგარიში გაგვიწმინდეს და სულ სომხები მიიღეს ჩვენს მაგიერ...

მაგდანა. რას ამბობ, ოჯო!

პარასკ. რატომ მარტო სომხები, თქვენ მუშები არ ხართ თუ?..

დათიელა. რა ვიცი, ვიღაცა დაშნაკებია თუ ეშმაკებიაო, იმათ მოუხერხებიათო, ასე თქვეს... კი არ მიგვიშვეს სამუშაოზე, სულ ეს ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები ჩაყარეს ლიუკებში ჭვიროის ამოსაზი-

დათ .. დიდი ჩხუბი შეგვექნა... ლივერიც კი გავარდა, ბარე ორი დაჭრილია... ისეთი ხელჩართული ბასკი-ბუსკი იყო, რომ შენი მოწონებული.

მაგდანა. უიმე, ღმერთო მომტკალი!.. მერე და ეს ბერი-კაცი შენც გეერიე მარაქაში?

დათიელა. ბიჭი, ნუ გეერევი შენ?.. კაცი პირიდან ლუკ-მას მართმევს და თუ რაიმე გამივიდა, მოსაკლავათ დავზოგავ!

მაგდანა. უჰ, რა მითხარი ხელა ეგ... პატარ-პატარა რაღაც შენც შემოგქონდა, შე უბედურო და... ახლა რას გვეყოფა ელიშუქის შემოტანილი?

დათიელა. არა, არც აგრეა საქმე სომხებს კაი პატრონი გაუჩნდა ის დაშნაკებია, ვილაცა... ჩვენ მაგისთანა მოსარჩელე არ გვყავს, მარა... მეთაური ხალხიაო, თქვეს ბიჭებმა, იმათ მივმართავთო და...

მაგდანა. რაღას მიმართავთ, სამუშაო ქე წოურომე-ვიათ...

დათიელა. არა, სამუშაო შევაჩერებინეთ... არც იმათ და არც ჩვენ, პოლიციაც ჩეერია საქმეში... გავარჩევთო, თქვა უფროსმა...

პარასკ. ჰო და აბა ახლა ზედ გამოჭრილი დროა, რომ თქვენმა რძალმაც დაიწყოს მუშაობა.

დათიელა. რისი მუშაობა, ქალო?

მაგდანა. ჰო, აგრე პარასკევა გვირჩევს, რომ ცაბუ ძიძაღ დაუდგეს ერთ კარგ ოჯახს.

პარასკ. კი, ბატონო, კი. კარგი პატივისცემა, ჭიმა, სმა, ჯამაგირი.

დათიელა. ძიძაღ? ჩემი რძალი? მერე ელიშუქი რას ამ-ბობს?

მაგდანა. ელიშუქიმ ჯერ არაფერი იცის.

დათიელა. შენ რა უთხარი, ჩემთ შვილო?

მაგდანა. მაგი სულ უჯამაგიროდ თანხმდება. ჩვენში არაა მიღებულიო.

ცაბუ. კი ისევ მიჯავრდები, ბატონო? მე ის ვთქვი, რაც ვიცოდი...

დათიელა. (ფაქტობს) ა? ძიძათ მერე შენ შვილს რას უშვრები, ოჯო?

პარასკ. ორივეს აწოვებს, ბატონო, ძუძუს, ორივეს...

დათიელა. (ცაბუს) ბავშვმა დეიძინა?.. მაჩვენე ერთი ჩემი ბეჭნიერება, ჩემი სიხარული.

უნდა გავიდეს, ამ დროს შემოდის გერვასი ხურჯინით
და გარდენი

გერვასი. შინ ხარ, დათიელა? ძლივს არ მოგაგენი, კაცო!
მაგდანა. ბიჭო, გერვასი, უი შენ კი გენაცვალე, სიდან,
რაფერ?

გერვასი. რაფერ და მატარებლით, ბება მაგდან... ვერ
შხედავ... დიდი კაცი ვარ ახლა... ტავარნი პოეზდის
მლადში კონდუქტორი ვარ...

დათიელა. რას ამბობ, სამსახურში შედი? ყოჩალ, ბიჭო...
ეს ყმაწვილი ვისია?

გერვასი. ვისია და საწყალი პორტილესი... პორუილე არ
გახსოვს? ფირალად რომ გავარდა... იმისი ობო-
ლია.

დათიელა. ოო, პორტილე... უჰ, რა ვაჟქაცი იყო!

ზაგდანა. რა გქვია, ბიჭიკო?

გარდენ. ვარდენი.

პარასკ. აბა, ახლა მე წავალ, გენაცვალე, მაგდან და...
თქვენ ცუით, მოიფიქრეთ... შენი რძალი მაინცდა-
მაინც უარზე არაა მგონია და ელიშუქიც ქე დაა-
ჯერეთ... დედიკო!

მაგდანა. კი, ბატონო, კი. მოვილაპარაკებთ და პასუხს
შეგატყობინებთ.

პარასკ. ჰო, გენაცვალე, ცოტა საჩქაროა... ძუძუმწოვა-
რა ბავშვი კი არ ითმენს და... თუ მაინცდამაინც
უარი იქნება... მე თქვენთვის მინდა სიკეთე, თო-
რემ...

მაგდანა. ჰო, კარგი, ბატონო.

პარასკ. მე შემოვიარ კიდევ მაგდან და... ნამდვილი
პასუხი დამახვედრეთ...

მაგდანა. კარგი, კარგი... (პარასკევა მიდის, თავის დაკყრით
ეთხოვება სხვებსაც. ცაბუ გააცილებს).

დათიელა. (გერვასის) ახლა ბათუმში ჩამოიყვანე?

გერვასი. ჰო, მინდა აქ საღმე სამუშაოზე შევიდეს...
ცოტა წერა-კითხვა იცის... გამჭრიახი ბიჭია და
შეიძლება გაიგნოს გზა-კვალი.

დათიელა. ეგ კარგი მოგიფიქრებია, გერვასი...

გერვასი. აბა სოფელში წახდებოდა ბიჭი... არაფერი არა
გააჩინა... უბრალო მოსაფხოკნი მიწაც კი არა
აქ... ხან ვის კარზე იყო და ხან ვის კარზე... აქ
ხალხში გაერევა, გამოცდილებას. შეიძენს, კარგ
გზაზე დადგება-მეთქი და მოვიყვანე აგერ, უნდა
შემინახო დრომდი.

მაგდანა. ჩვენთან?

გერვასი. არა, მაგაზე კი ნუ შეწუხდები. ვიწროთ ხართ
ძალიან, ამას ქე ვხედავ. მარა... დრომდი-მეთქი,
ქალო, დრომდი... ისე რას შეგაწუხებს პატარა
ბიჭი! მიიქრუნჩხება საცხა კუთხეში თავისთვის.
წიგნების კითხვა უყვარს მაინც და იყითხავს თავის-
თვის. ისე შეშას დაგიპობს, წყალს მოგიტანს,
გემსახურება, რაც შეუძლია...

დათიელა. კი, ბიძიკო, კი... იყავი ჩვენთან... რაც ღმერ-
თმა მოგვცეს, გავინაწილოთ როგორც იქნება...

მაგდანა. (უკმაყოფილოდ გადახედავს ქმარს, მაგრამ არაფერს იტყვის).

გერგასი. ამას გარდა თლათ უპატრონო კი ნუ გვინიათ ეგ ბიჭი, მეტი არ შემიძლია და თვეში ერთ სამ მანეთს ყოველთვის მოგაწოდებთ... აა, აგერ წინ-დაწინ ამ თვის...

მაგდანა. (მოლბა) სიღარიბეს დეეფსოს თვალი, თვარა...

გერგასი. რა სათქმელია! აიღე, აიღე, მაგდან ჩემო... ისე ხანდახან ლობიოს და ფქვილსაც ქე მოგაწვდი, რაც გამეწყობა.

დათიელა. ვაიმე, ბეჩა? მე შენ ფულს უნდა გართმევდე?

გერგასი. არა, ევ საჭიროა... მხოლოდ შენთან უფრო

იმიტომ მოვიყვანე, რომ შენი ელიშუქი ერთი მო-წინავე კაცია მუშებში... ჭკუას ასწავლის, გზას გა-უკვლევს, ახირებულად არავის დააჩავრინებს... მე-რე კიდე აქ თქვენსა, ვიცი ხანდახან რომ იკრიბე-ბიან ელიშუქის ამხანაგები, სჯა-ბაასი აქვთ...

მაგდანა. მართალია, იკრიბებიან და სჯა-ბაასიც აქვთ, მარა რა გამოვიდა მერე?

გერგასი. ეე, ჩემო მაგდან, გჯლი რატომ გაგტეხია... ასე არაა საქმე... მუშებს ბევრი რამ შეძლებიაო თურ-შე... აგერ თბილისში, რკინისგზის დეპოში რა ამ-ბავი აქვთ წრეულს კიდე, არ გაგიგიათ? 1-ლ მაისს... ეს ხომ მუშების საერთო დღესასწაულია... თბილის-ში წრეულს მუშებმა მაისობა მოაწყვეს და წითე-ლი დროშაც ააფრიალეს.

მაგდანა. მერე, ჩვენ რა შეგვემატა?

დათიელა. ოჰ, მაგას ნუ იტყვი, მაგდან...

გერგასი. როგორ თუ რა შეგვემატა? ეგ და მაგისთანა ამბებია, რომ შემდეგში მუშების მდგომარეობას გააუმჯობესებს თურმე.

მაგდანა. ეგ არ ვიცი... ან და თბილისში რომ ჩამე
მოხდეს, აქ ბათუმში ჩვენ რას გვიშველის...

დათიელა. რას გვიშველის და გახსოვს ელიშუქი რომ
ლაპარაკობს, დარაზმვაა, ბიჭებო, საჭირო, დარაზ-
მვაო ..

გერვასი. სწორი უთქვამს... მეც გამიგონია, რომ ჭიშვიანი
ხალხი აგრე ლაპარაკობს...

ცაბუ და დესპინე

ცაბუ. მობრძანდი, დესპინე, გენაცვალე, მობრძანდი...
არავინაა ისეთი უცხო.

დესპინე. არა, მე დათიელას ნახვა მინდოდა... რაღაც
მომხდარა დღეს პარახოდზეო...

მაგდანა. უჰ, ჩემი დესპინე, ჩემი! მოდი, გენაცვალე! მოდი,
შენი ჭირიმე! ჩემი გუგულივით ქალი, ჩემი დესპი-
ნე... რაა, ბოშო, დამივიწყე ეს ერთი ხანია!

ცაბუ. მეც ეგ არ უთხარი! ალარც ეგ გვეკარება და
ალარც ლილოსი!

დესპინე. ახირებული ხართ სწორედ... მე გუშინწინ თქვენ-
თან არ ვიყავი მთელი სალამო და ლილოსიმ ხომ
გუშინაც ჩამოგიარათ...

მაგდანა. უჰ, ჩამოგვიარა, თვარა... რა? ერთი წუთით
არ გაჩერდა, ეჩქარებოდა, სარეცხი დამრჩებაო...

დათიელა. (გერვასის) ეგ, ჩემო გერვასი, ჩვენი მეზო-
ბელი ივლიანე შაფათავას ცოლია, დესპინე, და
უნდა გითხრა მართალი, რომ მთელს უბანში პირ-
დაპირ თითით საჩვენებელად გვყავს, ეგ და მაგისი
მეგობარი კიდევ, ლილოსი ქვია, მაგისთანა კეთილ-
ზნეობის ქალები ქვით! უკეთესს ვერ იპოვი. ორივე
ობოლი იყო საწყლები, მარა მრეცხაობდენ და იმითი
ირჩენდენ ორივე თავს... ახლა დესპინე გათხოვდა,

მარა აგერ თვითონ ვკითხოთ, თუ გინდა... დესპი-
ნე! რამდენი წლის იყავი ბათუმში რომ ჩამოდი?

დესპინე. უი, დათიელა, შენი ჭირიმე... რამდენჯერ მი-
ამბნია ჩემი თავგადასავალი, ახლა რა მომაყო-
ლებს...

დათიელა. არა, აგერ პატიოსანმა კაცმა მკითხა და...
გაიცანით (ხელის ჩამორთმევა).

დესპინე. ეგ კი არა, დათიელა, ბიძია! მე იმაზე მოველი
ერთი წუთით... მინდოდა შენგან გამეგო, რა მოხ-
და დღეს პარახოდზე.

დათიელა. პარახოდზე ცუდი ამბავი, შენ არ მომიკვდე...
ერთმანეთს დავერიეთ მუშები და...

მაგდანა. (ვარდენს) გენაცვალე, გახსენი შენი ბარგი... ა,
აგერ მეეწყვე ცოტა ხნით და...

გერვასი. (მაგდანს) კი, ბატონო, კი... ბიჭო, გახსენი ბარ-
გი და მეეწყვე შენთვის შენი კუთხე. (ვარდენი გახ-
სნის ქვეშაგვებს და კუთხეში შეგრააგნილად მისდებს. გაალებს
პატარა წის კიდობანს, იქიდან ამოიღებს რალაც პატარა წიგნს,
ჩამოჯდება თავის კიდობანზე და წიგნს ჩუღრმავდება).
ა, ასე იცის... სულ წიგნში აქ ცხვირი ჩაყოფილი
და თუ რამეს არ დაასაქმებ... თავს ზევით არ
აიღებს... არ შეგაწუხებს, შენ არ მომიკვდე, მაგდან,
არა...

მაგდან. არა, მაგაზე აღარ ვფიქრობ, ჩემო გერვასი... მე
იმას ვამბობ, ჩვენ ლარიბებმა ერთი მეორე თუ არ
გევიტანეთ, სხვა ვინაა ჩვენი პატრონი...

დესპინე. (დათიელას) პო და ზევარს უნდა კითხოთ, ხომ
იცი, საღაც მუშაობს: კაპლანის ლითონის ჩამომსხმელ
ქარხანაში.

დათიელა. პო, აგრე მოვისაზრეთ მუშებმა: ზევარსაც
ვკითხავთ, ჩემ ელიშუქსაც, დომენტისაც... ახლა

იმათთან წავიდნენ ბიჭები: კარლო ჩხეიძესთან და
ისიდორესთან. რამე გზას გვირჩევენო...

დესპინე. ჰო, თორემ თუ თქვენ ერთი მეორეს ცხვირ-
პირი დაამტვრიეთ, აქედან რა სიკეთე გამოვა.

დათიელა. ნუ მართმევს ლუკმა პურს ვიღაცა გადამთიე-
ლი, მე ჩემს ქვეყანაში ვარ.

დესპინე. კი მარა ისიც მუშა არ არი?

დათიელა. უჰ, რას ამბობ, დესპინე-შეილო! შენ ჩემზე
მეტი გესმის, მარა ეს სად სწერია—შენი ლუკმა
გამოიღე და სხვას დაუთმეო...

ვარდენი. (წიგნიდან თავს აიღებს). სახარებაში სწერია, ბი-
ძია! (ყველა გ ნცყიფრებით იქითვენ მიიხედავს).

დესპინე. სახარებაში, ბიჭიკუ?

ვარდენი. ჰო, სახარებაში წერია. სხვას რომ ციოდეს,
შენი პერანგი გაიხადე და იმას ჩააცვიო, აქიდან...

დათიელა. სახარებაში იგიც წერია თურმე... ერთ ყბაში
რომ ვინმემ გაგარტყას, მეორეც მიუშვირეო, მარა
აბა რომელი სულელი იზამს ამას?

დესპინე. (ვარდენს) სახარება გაქ წაკითხული?

გერვასი. ეგ, ბატონო, სოფელში დიაკონთან სწავლობდა
წიგნს და სახარებაც აქვს წაკითხული და დაკითნიც.

დესპინე. ეგ რაა, ახლა რომ კითხულობ?

ვარდენი. ალექსის წიგნია.

დესპინე. ალექსის წიგნი რა წიგნია?

ვარდენ. ეგ ერთი წმინდა ბერია სამეგრელოში, ალექსი
შუშანია და იმის დაწერილია.

დესპინე. მერე რაო? რას სწერს?

ვარდენ. რა და ასწერს ამ სოფლის უბედურ მდგომა-
რეობას, რომ ხალხი ერთი მეორეს ჭამს, რომ ძლი-
ერი ჩაგრავს სუსტს, რომ მუშა კაცი გაუხარელია

თავის სიცოცხლეში, რომ მუქთახორებისაა ესპერენდა.

დათიელა. ბიჭო, ეს კარგი დაუწერია, რას ერჩი.

დესპინე. ჰო, და მერე რა, შეებრძოლეთ?

ვარდენ. ვის შეებრძოლეთ?

დესპინე. აი მაგ სიღუბჭირეს, რაზედაც სწერს...

ვარდენ. არა, ბრძოლაზე არაფერია აქ...

დესპინე. (ღიმილით) აბა, რა, მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენიო?...

ვარდენ. მოთმინება არ ვიცი, მარა ეს კი ვიცი, რომ ამ ქვეყნად ცხოვრება არ ღირს...

დათიელა. ბიჭო, ჯერ თვალი არ გაგიხელია და შენ რა იცი, ცხოვრება ღირს თუ არ ღირს?

ვარდენ. უკაცრავად, ბატონო, მარა რავა არ ვიცი.. ჩენი სოფლიდან რაზე გადმოსახლდი შენ?.. მე პატარა ვიყავი, მარა ქე გევიგე, რომ სოფლის ცხოვრებას ვერ გოუძელი, მიწა წყალი არ გქონდა საკუთარი, სხვის მამულში პატრონი საყანულეს იმდენს გახდევინებდა, რომ ვერ უძლებდი, ახლა ფოჩტის ფული, ღრამის ფული, კიდევ სხვა ათასგვარი გადასახადი და ბეგარა და ქე გამეექცი აქით, ბიძია...

მაგდანა. შენ აგაშენოს, შვილო! რა კარგად აწერა?

დათიელა. (გერგასის) არა, ნიჭიერი ბიჭი ქეა, ეტყობა...

გერგასი. ჰმ... მაგისთანებს გეტყვის! აბა, ვარდენ, ახლა ის უთხარი, მამაშენი რამ გააფირალა?

ვარდენ. რამ და გააცეცხლეს კაცი, იმასაც შენსავით—ეს გადასახადით, ეს ბეგარაო, მარა ყველაზე უფრო ზეკუცია რო ჩოუყენეს სოფელს, იმან მოსპო კაცი. უკანასკნელი წიწილაც კი არ დოუტოვეს მის ბა-

რობაზე და დედაქემს, რაც მოუვიდა... ეს ყველამ
ქე იცით... (შეჩერდა).

შაგდანა. (დესპინეს და ცაბუს დაბლა) ყაზახ-რუსებმა გააუპა-
ტიურეს თურმე უბედური.

გარდენ. (ნერწყვი გადაყლაპა). წყალში თავი დაიხრჩო. მამა-
ქემმა ვერ მოითმინა და ძალლივით გააგორა ყაზახი-
რუსი, მერე გაფირალდა...

დათიელა. ოო, უბედური, რა ვაჟკაცი იყო! (გარედან სიმ-
ღრა). ეე, მოსულა მეტიელა და გუჯუ...

შაგდანა. ვაი, ჩემი ცოდვა! ახლა ალარ დაგვაყენებენ!
(დათიელას) შენ გაგიხარდა, ლვინოს გადაგაკვრევი-
ნებენ...

დათიელა. რას გალამაკვრევინებენ, მე ლვინო არა მაქვს.

მაგდანა. ნუ გეშინია, არ მოგვერიდებიან... იმ ოთახიდან
აქ ვერ შემოვლიან? პირველია თუ!... ლვინოსაც
თვითონ მოიტანენ და შენც ეს გიხარია.

დათიელა. (რაღაც უნდა უპასუხოს, მაგრამ სწრაფად უმოდის
ნესტორი).

ნესტორ. გამარჯობა თქვენი! ელიშუქი არ მოსულა?

მაგდანა. ოჰ, მობრძანდი, ნესტორ.

დათიელა. ელიშუქი ჯერ რაფერ მევიდოდა, ქარხანაშია.
ათ საათამდე ხომ იცი, რომ ვერ მოვა.

შაგდანა. რა იყო? რაზე კითხულობ?

ცაბუ. დიდუ! ხომ არაფერი შეხვედრია?

ნესტორი. არა, არაფერი... მხოლოდ დღეს პალუჩის
დღეა, ზოგჯერ უფრო ადრე გამოდიან სამუშაო-
დან და მეგრანა შინ იყო. საჭმე მქონდა რაღაც...

შეტრელა, გუჯუ, შემოდიან შეზარხოშებულები, მთაქვა
ღვინო და საუზმე.

მეტიელა (სიმღერით შემოდის).

На двор вышел, в духан зашел,
Водку выпил, с ума сошел!

გუჯუ. С ума сошел, с ума сошел, დათიელა! აბა, თუ
ვაჟკაცი ხარ და ღვინოში გაგვიმაგრდები!

მაგდანა. (ცალკე) ვაი ჩემი ცოდვა! ხომ ვთქვი, აგვაფორი-
აქებენ მეთქი... ცაბუ! წადი გენაცვალე, მიხედე
ბავშვს და ამათ მე ვემსახურები, რაც შემიძლია...
(ცაბუ გადის).

დათიელა. არა, არა, მაგას არ გიყაბულებ, მეტიელა,
შენ მომიკვტე! რავა, ჩემ სახლში შენი ღვინოთი,
შენი პურ-მარილით მოდიხარ, რათერაა მაგი საქმე!
მეტიელა. აჲ, აჲ, მაგას ნუ იტყვი, ნუ! ჩვენი და შენი
ვინ გაჰყო... მეზობლები არ ვართ?.. რა გწყინს?

დათიელა. კი, მარა, ყოველთვის ასე, კაცო, რავა შეიძლე-
ბა... მართალია, ღარიბი კი ვარ, მარა ერთი მა-
ნეთი საცხა მეც ქე გამაჩნია... მაგდანა, აბა... ჩა-
მოგვიდგი თუ რამე გაქ...

მაგდანა. კი, ბატონო, კი, რავა არა, შენი ჭირიმე. გერ-
ვასი, მობრძანდი, დაბრძანდი, ბატონო! (მაგდანა ემ-
სახურება აზლად მოსულებს, დათიელა და გერვასი მოუსხდე-
ბიან სუფრას).

დესპინე. (ცალკე ნესტორს) დაიჭირეს?

ნესტორ. ჰო, ჰოლიციაში წაიყვანეს და ეტყობა არ უშვე-
ბენ.

დესპინე. მერე და ასე გულ-ხელ-დაკრეფილი უნდა ვი-
ყოთ?

ნესტორ. რას უჩამ? ჩვენი გამოსარჩლება არ გაჭრის და
ისე ჩვენ სხვა ძალა არა გვაქვს...
დესპინე. კაცო, წავიდეთ კარლოს ვუთხრათ...

ნესტორ. კარლო კარგია, მაგრამ ხომ იცი, ამისთანებში
გარევა არ უყვარს?..

დესპინე. აბა რა უყვარს, თუ მუშებს არ გამოადგება,
თუ ვერ გვიშველის, ვერ დაგვრაზმავს... მარტო
ლექციების კითხვა რას გამოგვადგება...
ნესტორ. არა, ელიშუქს, ჩემი ფიქრით, იმდენი არაფერი
უჭირს, პოლიცია ცოტა ხანს დააკავებს და შემდეგ
გამოუშვებს, მაგრამ ისე კი მუშებს რომ საკუთარი
კაცი ჭირდება, ეს კი ცხადია...
დესპინე. პოლა თბილისი რომ გპირდებოდათ საჭირო
კაცს გამოგიგზავნითო, როგორაა საქმე?

ნესტორი. (დიდის საიდუმლოებით). ჩამოსულა.

დესპინე. მერე და საღ არის?

ნესტორ. ჰა, ჰა! რა გულუბრყვილო ხარ!... მაგის კით-
ხვა განა შეიძლება? არც მე ვიცი.

დესპინე. (შერცვება) უკაცრავად, ნესტორ... შევცდი...

ნესტორ. ზევარმა იცის მარტო.

დესპინე. ოო, ზევარი!... დიდი მესაიდუმლეა...

შეტიელა. ყმაწვილებო! ყმაწვილებო! რას მიმდგარხართ
მანდ კუთხეში და ჩურჩულებთ რაღაცას...
გუჯუ. ქვეყნის საქმე უნდათ გააკეთონ...

შეტიელა. უჰ, მაგათ გაკეთებულ საქმეს რა ვუთხრა მე...
აქ, მოდით, ჩვენთან, ისგირჩევნიათ, თუ კაცი ვარ...

გუჯუ. ჩვენთვის საღ ცალია ნესტორს, ვერ ხედავ, რამ-
დენ წიგნს დაათრევს? (ვარდენი ნესტორის წიგნებს შო-
რიდან დააკვირდება).

შეტიელა. ჰო, ანათლებს ხალხს... სწავლა უნდა შეიტა-
ნოს მუშებში...

გერვასი. მერე ცუდია, ბატონო, სწავლა?.. აგერ თქვენ
ნასწავლი რომ ბრძანდებით...

მეტიელა. უი, ნასწავლი კი არა... ისე ღმერთი ააშენებს
მამაჩემს... მაგრამ ხომ გაგიგონია, ჩვენმა პოეტმა
აკაკიმ სთქვა: უსწავლელი კაცი დაბმული ლომიაო.
ნესტორ. ოჯ, აკაკი თუ არა, შენ რომ გადაბულბულებული
გაქვს.

მეტიელა. გადაბულბულებული შეიძლება არა, მაგრამ
მის ლექსებს რომ ვმლერი, ეს კი ცხადია:

„სულს მიზუთვენ, ენას მგლეჯენ:
და მაგდებზენ საკირეში,
თანაც შვიდ-შვიდ პარასკევსა
მათვლიან მე ერთ კვირეში“!

ნესტორ. რა გამოვიდა მერე შარტო სიმლერით, დალო-
ცვილო!

მეტიელა. მეტი რა შემრჩება, ბიძია... სანამ ცოცხალ
ვარ, ასე ვიქ (დესპინეს) მოდი აქ, გენაცვალე, გვე-
რდი დაუმშვენე ამ ჩემ მეგობარ გუჯუს... ისეთი-
ბიჭია, ისეთი... რომ თუ შენ მეგობარ ლილოსის
გაურიგებ, შენ მომიკვდე, ძაან საქმეს იზამ.
დესპინე. რა არის, მეტიელა, ხომ იცი, არ მიყვარს მა-
გისთანა ლაპარაკი.

მეტიელა. რას ქვია არ გიყვარს! გუჯუსთანა საცოლე
ბიჭი ჩვენ შორის ახლა ქვით. თავის მომჭირნეობით
და ჯამაგირით დები გაათხოვა; სოფელში ოდა-
დეიდგა, ისე დეესახლა, რომ ახლა ერთი ლილო-
სისავით მწყერივით გოგო აკლია...

გერვასი. დიდი საქმეა, ბატონო, ეს ბათუმი, დიდი... ამ
ქარხნებმა მაინც ბევრი დააყენა ფეხზე...

დათიელა. ეჭ, რა ვიცი, ზოგი ფეხზე დააყენა და ზოგი კი...

შეტიელა. არა, ეგ ხომ, ჩემი არ იყოს, ქარხანაში არ მუშაობს... მუშა კი არ არის, საწყალი მუშა?

დესპინე. შენ როგორ აგდებით ლაპარაკობ... მუშა, რა, ადამიანი არ არის?

შეტიელა. რისი ადამიანია, გენაცვალოს ჩემი თავი... ყველასაგან დამცირებული, ყველასაგან უკან მიგდებული... ვის რათ მიაჩნია მუშა. კარგ საზოგადოებაში მუშას არც კი გაირევენ... მე თუ მიყურებ... მე აზნაურობა მშველის ისევ და ამ ჩოხა-ახალუხში კაცი ვგონიერ ხალხს... ქალაქის კლუბშიაც კი დავდივარ ხანდახან. სულ „კნიაზო, კნიაზოვო“ მეძახის ყველა. თორემ ჩემი მუშაობა რომ გავამხილო, სულ კინწის კვრით გამომაგდებენ.

დესპინე. ა, ასეა სულ! თვითონ სიტყვა „მუშაც“ კი ყველას დამამცირებლად მიაჩნია. თვითონ მუშებიც კი მალავენ, რომ ისინი მუშები არიან.

დათიელა. არა, შვილო დესპინე, მუშაობა რომ სასახელო იყოს, მაშინ თვითონ რუს-ხელმწიფე დეიჩემებდა პირველი მუშა მე ვარო.

გერგასი. იმას ხომ ამბობს, პირველი სალდათი ვარო.

დათიელა. ოო, სალდათობა ეგ სხვაა... მე ისიც გამიგონია, რომ რუს-ხელმწიფეს პირველ აზნაურს ეძახიან მის სახელმწიფოში.

გუჯუ. პო და აბა პირველი მუშააო, ამას რავა დეირქმევს... მარა მაი რათ გინდა! დაასხი, დათიელა და დამალევინე.

გეშვი ღვინი, ქუდმაჩვამი
სახელი ბჯოხო გუჯმაჩანი.

ნესტორ. (ვარდენს ელაპარაკებოდა აქამდე. ვარდენი წიგნებს უშინა-
ჯავდა) რაო, დიაკონიო?

ვარდენ. ჰო, დიაკონი... მეტად წმინდა კაცია.

ნესტორი. დიაკონი და წმინდა?

ვარდენი. ჰო, სოფელში არავინ ემდურის... სხვებსა-
ვით წამგლეჯი და ხარბი არ არის... ძალიან მშრო-
მელი და გამრჯვე კაცია, ცოტათიც კმაყოფილდება.

ნესტორ. უთუოდ ხუცესი არ აძლევს მეტს, თორემ დია-
კონის სიკეთე მე ჯერ არ გამიგონია. შენ რაღაც
თეთრი ყვავი გინახავს, ბიძია, თორემ ყვავი ყველა-
შავია.

მეტიელა. არა, ქალბატონი მაგდანი ნამდვილად მიწყრე-
ბა რაღაცას.

მაგდანა. უიმე, ღმერთო მომკალი, რატომ ბრძანებთ მა-
გას.

მეტიელა. აბა რაა, როგორც კი შემოვედით, მაშინვე შენი-
ლამაზი რძალი დაითხოვე ოთახიდან.

მაგდანა. უიმე, რას ამბობ!

მეტიელა. როგორ, გვინია ვერ შევამჩნიე?.. მე კაცის
მჭამელი კი არა ვარ. ელიშუქი ჩემი მეგობარია და
მისი ცოლიც ჩემი მეგობარია.

მაგდანა. (დათიელას, რომელიც აქამდე გუჯუს ელაპარაკებოდა
ჭიქით წელში). გესმის რას მეუბნება აგერ მეტი-
ელა?

დათიელა. რას გეტყვის იმისთანას, კაცი ნალვინევია...
ნალვინევი კაცი, კაი კაცი.

მეტიელა. არა, თქვენი და ელიშუქის პატივისცემა რომ
არ მქონდეს, მაგდანის საქციელს შეურაცყოფად
მივიჩნევდი, ეს ცხადია... .

დათიელა. რატომ, შენი ჭირიმე, მეტიელა? რა მოხდა
ისეთი?

მაგდანა. რა და მე რომ შემოვედი, ცაბუ რატომ გევიდა
ოთახიდანო, შენ გააგდეო...

დათიელა. აჰ, არა, ბატონო, არა, შენი ჭირიმე! გაგდება
რას მიქვია, შენ რავა მოგერიდებოდა... უთუოდ
ბავშვს მიხედა... დაუძახე, ქალო (მაგდანა გადის).

გერგასი. (დესპინეს ცალკე) რავა! ამისთანა მოსარიდალი
კაცია?

დებიპინე. ჰო, რომ შეთვრება, უხეირო ბლლარძუნი
უყვარს და...

ცაბუ. (შემოდის მაგდანასთან ერთად შავშვით ხელში) უკაცრა-
ვად, ბატონებო, მარა ბავშვს გეელვიძა და მივ-
ხედე...

მეტიელა. მაღლობა ღმერთს, რომ . გვიკადრე, ცაბუ-ბა-
ტონო, თვარა თქვენიანებს ისე წარმოუდგენივართ,
რომ მე თითქო რამე მხეცი ვიყო, მტაცებელი...
ცაბუ. აჰ, არა, ბატონო.

მეტიელა. ის კი ავიწყდებათ, რომ ელიშუქი ჩემი ძმა-
კაცია და ძმა-კაცის ცოლი ჩემი დაა.

გუჯუ. კარგი ახლა, ნუ გაპრანჭე შენც საქმე.

მეტიელა. თავი დამანებე, ისედაც გულზე ვარ გამსკდა-
რი!...

გუჯუ. შენ კი არა, შენზე გულმოსული ჩვენი რძალი
უნდა იყოს, არ გახსოვს იმ დღეს როგორ შეაწუ-
ხე? რა გასაკვირია, თუ ახლა გემალება...

მეტიელა. რას ამბობ, გუჯუ, როდის შევაწუხე?

დათიელა. არა, ბატონო, რა შეწუხება იყო... (მაგდანი
მუჯლუბუნს წაჰერავს ქმარს).

მეტიელა. ეჰ, თუ ასეა, მაშინ მართლა დამნაშავე ვყო-
ფილვარ. ბოდიში, ბატონო, ბოდიში...

ცაბუ. რაზე კადრულობ, შენი ჭირიმე!

დათიელა. (ცაბუს) მომეცი ეგ ბავშვი აქეთ... ჩემი სიხარული, ჩემი ბეღნიერება!

დესპინე. არა, ცოტათი რომ ჰგავხარ ტარიელ მქლავაძეს, ეს ეჭვს გარეშეა...

მეტიელა. ვინაა, ბოშო, ტარიელ მქლავაძე?...

ნესტორი. (ვარდენს) ეს წიგნი გინდა? კარგი, დაგიტოვებ... საქართველოს ისტორიას გაეცნობი...

ვარდენი. ამან დამაინტერესა, ბიძია... ხედავ, რა წერია?... დედა-მიწა როგორ გაჩნდაო.

ნესტორი. ჰო, ეგ, ჩემო ვარდენ, მეცნიერება გვასწავლის ასე და ამ წიგნის დამწერს დიმიტრი ბაქრაძესაც თავის შესავალში გეოლოგიაზედაც აქვს ნათქვამი. ვარდენ. დამიტოვებ?

ნესტორი. როგორ არ დაგიტოვებ... შენისთანა ნიჭიერ ბიჭს ამას კი არა, კიდევ ბევრ სხვა წიგნებსაც მოვუტან.—მერე საკვირაო სკოლაშიაც შეგიყვან და იქ ბევრ რამეს შეისწავლი.

გუჯუ. (თავის ჯგუფში) ეჭ, მე ვიკითხო უბედურმა, თორემ მეტიელას რა უჭირს? ოთხი კლასი გათავებული აქ, აზნაური კაცია...

გერგასი. ოთხი კლასი? მერე და, ბატონო, შუშათ წაბრძანდი?

მეტიელა. ეჭ, სილარიბე, ჩემო მეზობელო, სილარიბე, მარა ახლა ცოტაოდენი გროში მოვაგროვე და... ვემზადები... ერთი ლარიბი სტუდენტი მოვნახე, იაფად მამზადებს.

დათიელა. სად ემზადები, ბიძია?

მეტიელა.. იუნკრის სასწავლებელში...

დესპინე. ჰა, ჰა! აფიცერი გინდა გამოხვიდე?

მეტიელა. რას დამცინით? არ დამშვენდება თუ...

დესპინე. ომ, სამხედრო ტანისამოსი? ძალიან..

ნესტორ. ეპოლეტები, დეზების რაწკი-რუწკი... ბუზმენ-ტიან ტანისამოსს რომ ჩაიცვამს, რომელი ქალი გაუ-მაგრდება მაშინ მაგის შეხედვას?

გერვასი. ვითომ ცუდია, ბატონო, აფიცრობა?

ნესტორი. არა, მაგისთვის ზედგამოჭრილია... უსეც არ იყოს, აფიცრებიც გამოადგება მუშათა მოძრაობას.

დესპინე. ეეჲ, ნესტორ, რა კაცი ხარ!.. შენ რომ ყველა-ფერი არ შეარბილო და მოსაწონი არ გახადო, ხომ არ შეიძლება.

ნესტორ. რატომ? რატომ? მერე, მეტიელა ხმლით და რევოლვერით შეიარაღებული რომ იქნებით, ჯარის-კაცებიც რომ გეყოლებათ, თუ გიბრძანეს ხომ ხალხის, მუშების წინააღმდეგაც გამოხვალთ...

მეტიელა. ხალხის? ჩემი ძმების? არა. მე ხომ რეგულია-რულ ჯარში ვიქნები მუდამ?

ნესტორ. აფიცრობას პრისტავობაზე ხომ არ გაცვლი?

მეტიელა. თავის დღეში!

დესპინე. უანდარმერიის აფიცრობა რომ შემოგთავა-ზონ?

მეტიელა. მერე, ვინ მომცემს, თორემ..,

დესპინე. თორემ დათანხმდებოდი?..

ლ ი ლ ა ს ი

მეტიელა. აა, ლილოსი, ლილოსი! ვინც მოვიდა გაუმარ-ჯოს.

ლილოსი. (ნესტორს და დესპინეს ჩაუვლის, ჩუმად) ელიშუქის დაჭერა იცით?

დესპინე. ჰო.

ნესტორ. მაგათ არ უთხრა ჯერ.

ლილოსი. ზევარი მოვა ახლა აჭ თავის ამხანაგებით... .

ნესტიარ. თათბირი ხომ არ უნდა?

ლილოსი. ჰო.

დესპინე. მერე და ვერ ხედავ?

ლილოსი. არაფერია, მ-გა-თ მე გავართობ, თქვენსას არა-ფერს გავაგონებ.

მეტიელა. ლილოსი, მოდი აქ, გენაცვალე! ჩემო მწველო, ჩემო დამდაგველო!

ლილოსი. შე უბედურო, რა დაგემართა, სულ ამ ლვინოში იღრჩვები...

მეტიელა. მომწონს მე გემო ლვინოსი და ტურფა ქალი ლილოსი!

ლილოსი. ჰო და თუ მოგწონვარ, შე უბედურო, ერთი ფხიზ-ლად მაინც მაჩვენე თავი. შეიძლება მეც მომეწონო...

მეტიელა. ცოტა მაცალე, გენაცვალოს მეტიელას თავი და ისეთი ბიჭი გავხდები, ისეთი, რომ შენი მოწონებული...

ლილოსი. ვითომ? რამდენი ხანია გეხვეწები, ჩემი მოწონებული იყავი-მეთქი და რომ არაფერი გამივიდა...

გერვასი. რა ყოფილა, შენი ჭირიმე, ეს გოგო?

მაგდანა. ოი, ვენაცვალე მაგას, ჩემი გამხარებელი, ჩემი გუგულივით გოგო... ეგ და დესპინეა, რომ გაგვა-ხარებენ ხანდახან. მაგითი გვიდგია სული... ეგენი რომ მოვლიან, განსაკუთრებით ლილოსი... კედლებ-საც კი სიხარული დეეტყობა.

ლილოსი. კარგია ახლა, მაგდან-ბატონო, ამდენს ნუ მა-ქებ, თორებ მეც ძალიან გავიპრანჭები!

ჭევარ, დომენტი, სევერიანე, ვართან, ოსმან, კოშე

ჭევარ. (თავისიანებს) აა, ხომ ვთქვი! აქ არ ყრიან ეს ოხრები (თითქოს გაბრუნება უნდა).

დათიელა. ოჭ, ზევარ, შენი ჭირიმე, დომენტი, გენაცვა-
ლე...

მაგდანა. მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით!

ზევარ. არა, ნუ სწუხდებით... ჩვენ აქ ელიშუქის ნახვა
გვინდოდა...

მაგდან. ელიშუქი არ მოსულა, ბატონო, ჯერ...

დათიელა. (უკე ცოტა ნაღვინევია) თუ იკადრებთ, ბევრი
არაფერი გაგვაჩნია, მარა... მაგდან, თხოვე, ქალო...

გუჯუ. თითო ჭიქა მაინც დალიეთ, ყმაწვილებო.

დომენტი. გმადლობთ, გმადლობთ!

ლილოსი. კარგია ახლა, რას ჩააცივდით! — არ უნდათ
და ნუ უნდათ. ჩვენ აქ ვიქეითოთ, იმათ რაც უნ-
დათ ის გააკეთონ...

მეტიელა. აი სწორი და ნამდვილი სიტყვა... გუჯუ, შენ
დამიწყე, ლილოსი, შენ შემოსძახე...

დომენტი. ზევარ, რა ვქნათ?.. ცოტა შორია ჩემი ბინა,
თორემ წავიდეთ... .

ზევარ. არა, ელიშუქია საქმე...

ცაბუ. (მაგდანს) დედა! ესენი რომ მოვიდნენ, ელიშუქი
საღაა ამდენხანს?

მაგდანა. ესენი, შვილო, ცოტა ადრე გამოსულან ეტყო-
ბა და ელიშუქი კი სად იქნება, ისიც მოვა უთუოდ
მალე... მართლა, ზევარ, დომენტი, გენაცვალე! ელი-
შუქი სად დატოვეთ?..

ზევარ. ელიშუქი დაჭერილია, მაგდან!

მაგდანა. უიმე, ლმერთო მომკალი!

ცაბუ. დიდუუ!

მაგდან. (დათიელას) გესმის, კაცო! ელიშუქი დაჭერილიაო!

დათიელა. (წამოდგება) რაო? ელიშუქი?

შეტიქელა. (წამოვარდება) ვინაა დაჭერილი? ჩემი ძმა-კაცი ელიშუქი? ჩემი პირის ზიარება? საღაა დაჭერილი, ვინ დაიჭირა?

შეგერიანე. პოლიციაში წაიყვანეს და აქამდე დაკავებულია...

შეტიქელა. ღმერთო კი მომკალი! მერე და ოქვენ ხართ ამხანაგები!.. ვერ მიდით, ვერ გაანთავისუფლეთ? პოლიცია რას მიქვია! ჩხიკვაძე პრისტავს სულ დედას, ვუტირებ... ახლავე, მეტიელა არ მოკვდეს მეტად (მიიწევს ჭასასვლელად).

ლილოსი. მოიცა, საღ მიდიხარ?.. აგერ ზევარი აქ არის და იმან უკეთ არ იცის, საჭიროა ახლა პოლიციაში მისვლა თუ არა...

შეტიქელა. ზევარი არ ვიცი მე... ის შეიძლება ჩემზე უფრო-სიც იყოს და გამოცდილიც, შაგრამ, როდესაც ჩემი ძმა-კაცი გაჭირვებაშია, გული რავა მომითმენს, რომ...

სამანი. დაიცა, ყმაწვილო... საქმე, რომ ვაჟკაცობაზე იყოს. მგონი მხედავ, ულონო კაცი არც მე ვარ, გაგრამ აქ მოფიქრებაა საჭირო და გონიერი საქ-ციელი...

დესპინე. აგერ ელიშუქი!

ელიშუქი შემოდის

მაგდანა. უიმე, შენ გენაკვალოს დედა... რა დაგემართა ბიჭო! ჩენ კი გადაგვრიეს და!

შეტიქელა. (არავის არ აცლის, მივარდება) უი, შენი ჭირიმე, ბიჭო! ჩემი ძმა, ჩემი პირის ზიარება! (ეზვევა) მოდი, აბა ახლა და დამალევინე ერთი შენი საღლეგრძელო!...

ელიშუქი. კარგია, კარგი, მაცალე ცოტა ხანს...

შეტიელა. რა გაცალო! მაგათ უყურებ?.. გლახებია ყველა...

ელიშუქი. ჰო, მოვალ! მოვალ! (მიდის ზევარის ჯგუფთან).
შეტიელა. აბა დამისხით ჩემი ელიშუქის საღლეგრძელო,
სიმღერა!

ზევარ. (ელიშუქს) რაო?!

ელიშუქი. ამდენხანს მაყურყუტეს უჩასტკაში.. მერე შე-
მიდგინა ოქმი პრისტავმა და ახლა გამომიშვა. საქმე
გამომძიებელს გადაეცემაო, გამომიცხადა...

ზევარ. ელიშუქ! რა არის, კაცო ეს ოხერი ლოთი-შფოთი-
ვერ ჩამოიშორე აქამდი... შენთან აღარ მოისვლე-
ბა...

ელიშუქი. რა ვუყო, მეზობლებია! მეორე ოთახში ცხოვ-
რობენ. ისე კი ლოთი-შფოთი არი, მაგრამ ჯერ
ახალგაზრდაა, ამას გარდა მაგარი ბიჭია, გამოსა-
დეგი იქნება.

ზევარ. შენ თუ ვინც ვაჟკაცობას იჩემებს ყველა გამო-
საღეგი გგონია, ძალიან შემცდარხარ... არ იცი კა-
ცის ცნობა, არა, რამდენჯერ მითქვამს შენთვის,
შერე კიდევ ეგ ვაჟკაცი კი არა, უფრო კუდაბზიკა-
აზნაურს მაგონებს.

შეტიელა. ელიშუქ! აღარ მოხვალ ახლა?

ელიშუქ. აა, მოვდივარ!

ზევარ. გაისტუმრე მალე.. ჩვენ საქმე გვაქვს.. (ელიშუქი
მიდის სუფრასთან. ცაბუ სიყვარულით შესცეკრის. სუფრას-
თან ხრიალი).

ელიშუქ. (დალეგს, შემდეგ ბავშვს მიუალერსებს და ცოლსაც
ალერსით მხარზე ხელს გადაუსვამს. ცაბუ გაწითლდება).

ზევარ. კაცის ცნობა, ძმაო, იმას ცოდნია.

ნესტორ. ვის? ახლად ჩამოსულს?

ზევარ. ჰო, თო, რა გამჭრიახი თვალი აქვს... ერთს შემოგ-
ხედავს და აგწონ-დაგწონის რა კაციც ხარ...

მეტიელა. (ელიშუქს) მერე და სომებს გამოესარჩლე?..

ულიშუქ. აა, უყურე ახლა ამას...

მეტიელა. კაცო და დღეს პარახოლზე სომხებს რომ უუე-
უიათ ქართველები არ იცი?.. აგერ მამაშენიც კინა-
ლამ მოუკლავთ.

ულიშუქ. ეგ არი ჩვენი უბედურება, მეტიელა, რომ მუ-
შებმა არ ვიცით ჩვენი თავის ყადრი და ერთი
მეორეს ვესევით, როცა მუშები გაერთიანებულები
უნდა ვიყვეთ.

მეტიელა. მე მუშა არა ვარ, ძმაო, ტყუილა მეუბნები
მაგეებს.

ულიშუქ. ქარხანაში არ მუშაობ, მაგრამ დროგზე ხომ
მუშაობს...

მეტიელა. აი რა ვუთხრა ჩემ ბედს, რომ დროგზე უნდა
ვიჯდე აზნაური კაცი, მარა ძალიან მალე...

ლილოსი. აფიცრის ეპოლეტებით დაიმშვენებს მხრებს.

ულიშუქ. რაო? აფიცერიო?

ზევარ. (თავის ჯგუფში) ჰო და ახობაძე ეუბნება, თურმე
კოწიას: ქარხნის კარებთან ვიღაც კაცია და შენ
გხმობილობსო. კოწიამაც მუშაობას თავი დაანება
თურმე და გავიდა ქუჩაში, დაინახა, რომ კუთხეში
ერთი ახალგაზრდა კაცი დგას და იქით-აქეთ იხე-
დება.

ნესტორ. როგორ, ასე ახალგაზრდაა?

ზევარ. ძალიან. 20—22 წლის თუ იქნება.

ნესტორ. რას ამბობ?

დომენტი. მოიცა, ყური დაუგდე.

ზევარ. კოწიამ ერთი კი გაიფიქრა—უთუოდ ის უნდა
იყოსო, მაგრამ მაშინვე მაინც არ მიმართა. ერთი

ორჯერ გვერდზე აუარ-ჩამოუარა, შემდეგ კი მიუ-
ბრუნდა და ჰქითხა: „ხომ არავის ეძებთო“. „როგორ
არაო, — უპასუხა, — აქ ზაოდში ესა და ეს მუშაობს,
დაასახელა თურმე კოწიას გვარი და იმის ნახვა
მინდა“—ო. კოწიას დაუდასტურებია, რომ ეგ კაცი
მართალია აქ მუშაობს, მაგრამ ახლა ჩუგუნის ჩა-
მოსხმა მიღის და სანამ სამუშაოს არ მოჩება, ქარ-
ხანას ვერ მიატოვებსო. „მე კი ახლა იმასთან მივ-
დივარ და თუ გნებავს გადავცემ, მხოლოდ თქვენა-
გვარი მითხარით“—ო. ამაზე ის ჩამოსული ცოტა შე-
ჩერებულა, მაგრამ ბოლოს მაინც დაუსახელებია ის-
გვარი, რომელსაც თბილისიდან უკვე შოელოდა-
კოწია. ძალიანაც გახარებია და მაშინ გაუმჟღავნე-
ბია თავისი ვინაობაც. იმას კი ხელი ჩამოურთმევია
და უთქვამს „ყოჩალ, კარგი კონსპირატორი ყოფილ-
ხარ“—ო.

ხმები. მერე? მერე?

ზეგარ. მერე და იმ დღესვე გაგვაცნო კოწიამ მე, სილი-
ბისტრო ლომჯარიას, ძმებ დარახველიძეებს და კი-
დევ ერთ ორს, მაგრამ ეს სულ სხვა კაცია, ძმაო-
ნესტორ. ეხლა მაინც რას აპირობს?

ზეგარ. იცოცხლე, ის ბევრ რამეს აპირობს, მაგრამ უწი-
ნარეს ყოვლისა გამოგვკითხა ბათუმის მუშაობის-
მდგომარეობა და ჩვენც გავაცანით, ერთმა ჩვენგან-
მას ისიც კი უთხრა, აქაური მუშები ისე ვართ, თით-
ქოს ქარქაშიდან ამოწვდილი ხმლები გვეჭიროს;
მხოლოდ არ ვიცით, ვის მოვუქნიოთო. ამაზე გაიღიმა-
და გვითხრა: აქ სამუშაოდ ნიაღავი მომზადებული-
ყოფილაო და ის იყო რამოდენიმე წრე ჩამოაყალი-
ბა და მუშაობა დაიწყო. ახლა გვეუბნება მასიურა-
კრებები მოვაწყოთო.

ნესტორ. მასიური? ოოგორ მერე?

სევერიან. რას ქვია მასიური?

ნესტორ. ა, ბევრი ერთად...

ლომენტი. ომ, ბევრი ერთად?.. ეს ხომ სახიფათოა!

ხმები. რასაკვირველია.

ზევარ. (ცოტა ზმას აუმაღლა) ძმებო! ჩვენ ხიფათის აღარ უნდა გვეშინოდეს.

ოსმან. მე ვატყობ, ჩვენ იმისთანა გზას ვაღგებით ეხლა, რომ შიში უნდა უკუვაგდოთ.

ზევარ. ეს გადაწყვეტილია. მასიური კრება კი უნდა მოვაწყოთ ასე: აქ უმეტესობა სხვადასხვა ქარხნებიდან ვართ. მგონი რვა ვართ არა? თითეულმა ჩვენგანმა დავივალოო, რომ თითეული ჩვენგანი ერთორ სანდო მუშას მაინც წამოიყვანს და პირველსანად ესეც კარგი იქნება. მერმე თვითონ წამოვლენ მუშები. ესე, აა, არავითარი ყოყმანი, დომენტი!

კოტე. რასაკვირველია, ეს საყოყმანო არ არის.

ოსმან. ჩემი მხრით მე ხუთ სანდოს ვიშოვნი.

ვართან. მეც რა ღმერთი გამიწყრება ერთ ათ ჩვენიანს არ მოვუყარო თავი.

სევერიანე. მეც.

დესპინე. ქალები არ შეიძლება?

ზევარ. რა თქმა უნდა, ქალებიც. გეგულება კი ასეთები? ეგ თქვენ ორი ხომ?

დესპინე. ვიშოვნით, არიან.

ლომენტი. ჰო და ასე. გადაწყვეტილია; ზეგ, შაბაშის შემდეგ, ბარცხანაში პორტილე ქურიძის. ბინაზე; კარგი სრული სახლია, არაფერია, დავეტევით.

ჭილოხი. (მღერის).

აღზეგ, მუშავ შენ!

ნუ გძინავს შენ!

მუშავ, მუშავ, შენ!

(საკვებიც აყვებიან, სიმღერის გუგუნი)

მაგდანა. (ფანჯარაში გაიწყდა) შეხედეთ, შეხედეთ... ეს რა არის?

დესპინე. პაჟარია, პაჟარი?

ვართანა. (გავარდა).

ვარდენ. (ახლა წამოჰყო თავი წიგნიდან) ზარს რეკენ! ამ შუალამისას წირვა?

ნესტორ. ოო, ბერს დამიხედეთ, ბერს!

კოტე. (იხედება) ცეცხლი გაჩენილა სადღაც... (კარდინალი ეგ, ბიჭო, განგაშია.

ვარდენ. განგაშის დროს ჩვენში ბუკს აყვირებენ...
(ბუკის ხმა).

დესპინე. აი, ეგერ ბუკიც... ეს ქარხნისაა..

დომენტი. როტშილდის ქარხანაში უნდა იყოს.
(ვართანა შემოვარდა).

ვართან. ჩვენს ქარხანაში ყოფილა... ხე-ტყე იშვის ..
(მუშა შემოვარდება).

მუშა. ბიჭებო! ჩვენს ქარხანაში ხე-ტყეს ცეხი იშვის.
დირექციამ გამოგვიცხადა დაგვეხმარეთო და სამაგიეროს აგინაზლაურებთო. ვინც ჩვენი ქარხნის მუშები ხართ წამოდით.

სევერიან. აბა, ბიჭებო! დავიძრათ, უშველოთ!

ელიშუქ. წავიდეთ, წავიდეთ!

მეტიელა. ბიჭო, პასუხისგებაში მიგცეს და კიდევ შველი?

ელიშუქ, არა, ეგ სულ სხვა საქმეა... ზევარ! წავიდეთ?

ზევარ. წავიდეთ.

მოქმედება მეორე

დათი ღლასაცავ

წესტორ. შენ მაინც არ მოგცეს ცეცხლის ჩაქრობისათვის
გასამრჯელო?

ელიშუქ. მე თუნდა მათი ფიქრით დათხოვნილი ვარ და
ჩემი საქმე გამოძიებაშია, მაგრამ ჭარგი ის იყო,
რომ არც ერთ მუშას არ აძლევდენ ცეცხლის ჩაქრო-
ბაში კუთვნილ გასამრჯელოს. რალაც თითო მანეთი
უნდოდათ გადმოეგდოთ.

წესტორ. მერე და ბოლოს ხომ აიღეს მაინც.

ელიშუქ. მერე ვისი მეოხებით. იმან შეუძახა: ერთობლივ
ყველამ ერთხმად მოითხოვეთო და მართლაც აკი
გასჭრა საერთო მოთხოვნამ, თორემ ჩვენები, ხომ
იცი, დაიბნენ: ზოგს ცალკე უნდოდა მოეთხოვნა და
ზოგმა უკან დაიხია კიდეც. არა, ძმაო, ამისთანა
კაცი ჩვენ არ გვყოლია, ან კი ჩვენთან აქამდი ასე
ახლოს ვინ მოსულა? ა, რას იტყვი შენ?

წესტორ. არა, რაც მართალია, მართალია. ძალიან მომ-
ზადებული ახალგაზრდაა.

ელიშუქ. მომზადებული? ჰმ... რას ამბობ! ან რეები გვით-
ხრა, ჯერ რომ არავისგან არ გაგვიგონია მაგისთანა
ჭეშმარიტება?.. მერე როგორ უბრალოთ, როგორ
გასაგებათ: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა

საქმეათ. ბურუუაზიას მუშათა სიბრალულით მუშათა ყვლეფის მაღა არ შეუმცირდებაო...

ნესტორ. ეგ რასაკვირველია: ბურუუაზიის ძალას მუშათა ძალა უნდა დაუპირდაპირდეს.

ელიშუქ. ჰო, მაგრამ ესე რომ არავის გითქვამთ, დალო-ცვილებო! ყოველივე მისი სიტყვა ისე ჩამეჭდო გულ-ში, თითქო ჩემი ნათქვამი ყოფილიყვეს, ჩემი ნა-აზრევი და მართლაც ასე მგონია მეც სწორედ ასე: ვფიქრობდი. „მუშებს ძალა მაშინ ექნებათ, როცა შეკავშირებული იქნებიან, შეკავშირებული მუშები— სათვის ბრძოლა იოლია“-ო.

ნესტორი. ამას, კაცო, შენც კი გაიძახოდი: დარაზმვაა საჭიროო.

ელიშუქ. არა, ეგ რა არის. იმან აქედან რა გამოიყვანა: შეკაუშირება ბრძოლისათვის არის საჭიროო. ბრძო-ლა ორნაირი ყოფილა, პოლიტიკური და ეკონომი-ური, მხოლოდ ერთი მეორესაგან განუყოფელია თურმე. მანვე ისიც დაგვისახელა— „ბრძოლის სა-შუალებებიაო: გაფიცვა, დემონსტრაცია და იარა-ლიო. როცა მუშები ამას შეიგნებენ, მაშინ ბრძოლა-ადვილია“-ო.

ნესტორი. აი, ეგ არის ხათაბალა! გაფიცვა კიდევ შეი-ძლება ეკონომიურ ნიადაგზე, ამან შეიძლება გას-ჭრას ზოგჯერ, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის, ან ბუნტის, ოოგორც ჩვენ ვამბობთ და იარალის ხმა-რებს კი რა მოგახსენოთ.

ელიშუქ. რატომ ვითომ?

ნესტორ. იცი, ეგ რას ნიშნავს? ეს ნიშნავს მუშათა სის-ხლის დაღურას, რაც, ცხადია, გამოიწვევს მუშების დაშინებას, უკან დახევას და მოღუნებას, რადგანაც ჯერ ამისათვის მუშათა კლასი მომზადებული არ-არის, ჩვენში მაინც.

ელიშუქ. ჰო და აი მუშათა კლასი! ესეც პირველად მა-
გისგან გავიგე, რომ ხალხი თურმე კლასებად
იყოფა.

ნესტორ. სისხლის დაღვრა მაინც ძალიან ძნელი საქმეა,
კაცი მეორეჯერ არ მოვა ქვეყნად.

ელიშუქ. აბა, როდემდის, ნესტორ? აკი იმან სთქვა, რომ
მალე, ძალიან მალე აქტიურ ბრძოლაზე უნდა გა-
დავიდეთო.

ნესტორ. ჰო და ეგ არის კიდეც შეცოომა. სანამ აქტიურ
ბრძოლაზე გადავიდოდეთ, ჯერ უნდა ვისწავლოთ,
გავთვითცნობიერდეთ, ვიცოდეთ უნდა, თუ რას ვა-
კეთებთ და ისე ვიმუშაოთ, რომ თანდათანობით
შევიმსუბუქოთ მდგომარეობა.

ელიშუქ. უი, ჩემო ძმაო, შენ ისევე ჩემიძისა და რამი-
შვილის სიტყვებს იმეორებ: „ფრთხილად“, „მორი-
დებით“, „ნელა“ და ამასობაში ითტის ოდენადაც
ვერ წავიწიეთ წინ...

ნესტორ. აბა, უცბად გინდა კედელს თავი შეახეთქო?

ელიშუქ. არა, ნესტორ, ეს კედელზე უბრალო თავის შე-
ხეთქება არ არის... შე ვგრძნობ... ვხედავ თითქო,
მხოლოდ ჩვეულებისამებრ ვერ გამომითქვამს, სი-
მართლე კი რომ მის მხარეზეა, ამას ბევრი ლარი
და ხაზი არ უნდა... ერთი თვე არც კია, რომ ჩა-
მოვიდა და უკვე თერთმეტი წრეა შემდგარი სხვა-
დასხვა ქარხნებში, ყველა წრეს თავისი ათისთავი
ჰყავს. ამას გარდა მოვახერხეთ და, ხომ ხედავთ,
ჯერ მარტო სამი მასიური კრება მოვაწყვეთ და
ვინც არ იყო, ის მუშებიც როგორ გვეხვეწებიან — ჩვენც
დაგვისწარითო... არა, მეგობარო, სულ სხვა ქარმა-
დაჰქროლა ახლა.

დესპინე. რას უზიხართ აქ?.. არ მოღიხართ?

ნესტორ. სად?

დესპინე. სად და საწყალი მუშა რომ გარდაიცვალა, იმის
პანაშვიდზე.

ნესტორ. ვინ საწყალი მუშა?

დესპინე. ერთი სომები მუშა მომკვდარა საწყალი. ახლად
ჩამოსულს კი უთქვამს წალით და პატივი ეცით და
შესაფერათ დამარხეთო.

ნესტორ. ჰოო... ეს გონივრულია.

დესპინე. ჩვენებიც წავიდნენ და უპატრონეს. ახლა ეს
გაუგიათ სომხის მუშებს, შეაცხვენიათ და ისინიც
მოსულან. გასვენებით აპირებენ დიდის გამოჩინე-
ბით გაასვენონ, მაგრამ პანაშვიდზე დასწრება სა-
ჭიროა.

ნესტორ. მართლა, კი არ ვიცი, რითი გათავდა გემზე
სომხების და ჩვენების შეტაკება, აი მამაშენი რომ
მუშაობდა?..

ელიშუქი. ოო, იქაც, დროებით შეანელეს საქმე... შეთანაბ-
რებით მიიღეს სომხებიც და ქართველებიც.

ნესტორ. რა გვონია, სომხებსაც ყავთ ახლა შეგნებული
და მოწინავე მუშები.

ელიშუქ. ო, ჩემი ვართანა და ხაჩიჯა, ახლა ხირიმიან-
ცი... ძალიან მუშაობენ თავისიანებში.

ნესტორ. რა, შენ ამ ვართანას კი გადაყევი, ძმაო და...

ც ა ბ უ

ცაბუ. (ელიშუქ) ეგერ დესეტნიკია და შენ გკიოხულობს.

ელიშუქ. ახლავე (გადის).

ცაბუ. (ახლა დაინახა) უჰ, დესპინე, გენაცვალე... ისეთი კი
მეშინია მე უბედურს, რაზე იბარებენ ახლა?

ე ს ი შ უ ქ ი

ელიშუქი. აბა თქვენ წადით პანაშვიდზე და მე თუ დროით გამომიშვეს მოვალ, თუ არა და გასვენებას, რასა-კვირველია, დავებწრები!

ნესტორ. რაო? ვინ გიბარებს?

ცაბუ. საღ მიდიხარ, ელიშუქი?

ელიშუქი. არათერია, გამომძიებელი მიბარებს, უთუოდი მი საქმეზე, ალექსანდერი რომ ვცემე...

გ ა გ დ ა ნ ი

მაგდანა. (გამოვარდება) რა იყო, შვილო, ვინ მოვიდა, საღ გიბარებენ...

ელიშუქი. არათერი, არათერი, რაზე დაფეთდით? მოვალ მალე (დესპინე და ნესტორს) ნახვამდის (გადის).

ცაბუ. (მოიოხრებს) უი, ნანა!

მაგდანა. ა, გადააყოლეს მაგ საქმეს ეგ კაცი და ეგ არი... ქარხნიდან დაითხოვეს და აღარ მიიღეს... პაჟარის ჩაქრობისათვის ყველას მისცეს, მაგას კი არა. ახლად და გამომძიებელი იბარებს... რა ვქნა მე უბედურ. მა... სახლში იჯდეს ვაჟკაცი და უმუშევარი? მაინც სხვა ქარხნებშიაც რომ აღარ ღებულობენ მუშებს, ეს რა ლვთის რისხვაა?

ნესტორ. რა არი და... ახალმა ქარმა დაჭქროლა მუშებზი.. მექარხნეები სულელები კი ნუ გგონია... უკვე შერჩევით ღებულობენ მუშებს.

დესპინე. რა ახალ ქარზე ლაპარაკობ?

ნესტორ. არა... ელიშუქი უკვე შემჩნეულია, როგორც...

ცაბუ. რა, ბატონო, ცუდი მუშაა?

ნესტორ. არა. ცუდი კი არ არის, მაგრამ მექარხნეებს არ უყვართ მაგისთანა ამაყი და თავმომწონე ხალხი...

დესპინე. როდის აქეთაა, ნესტორ, რომ შენ მაგგვარი ლაპარაკი დაიწყე? შენ თვითონ არ უწყობდი ხელს მუშების გათვითცნობიერებას... წერა-კითხვას ას-წავლიდი, წიგნებს აწვდიდი...

ნესტორ. დიალ, მე მინდოდა და მინდა ჯერ ნიადაგი და-გვემზადებინა, თესლი გადაგვეგდო და შემდეგ მო-გვემკა.

დესპინე. მე კი ასე მგონია, რომ ნიადაგი უკვე ისტორიულმა მოვლენებმა დაამზადა, თესლი კლასობრივმა ბრძოლამ გადააგდო და მომკით ჩვენ უნდა მოვი-მკათ...

ნესტორ. ოჰო... თქვენ დამიხედეთ დესპინეს!.. ვინ გას-წავლა ეგეები?

დესპინე. ჩვენი ხელშძლვანელი ამბობს, რომ...

ნესტორ. როგორ? უკვე ხელშძლვანელი დაარქვით? ვინ ეძახის აგრე?

დესპინე. ყველა, ვისაც კი მასთან საქმე აქვს... მეგონა, რომ შენც ასე ეძახდი...

მაგდანა. რა მეშველება ახლა თუ ელიშუქი ასე უსაქმოდ დარჩა.

ცაბუ. ნეტაი, ბატონო, გამომძიებელი არ დააკავებდეს და...

მაგდანა. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ რა მკვდარი, რა შინ მოუსვლელი!.. თუ უსაქმოდ დარჩა... არ იცი, გო-გო, რომ სახლში ექვსი მჭამელი გვყავს... შენი მა-მათილია და დაავადმყოფდა საწყალი... პარა-ხოდზე რომ კემეს, მის შემდევ მაინც სულ კვნესის და წელის ტკივილს უჩივა... რა გვეშველება.

ცაბუ. თუ ასე ღმერთი გაწყრა, მაშინ, ბატონო, ამ ოხერ ძუძუებს გავყიდი... აქ, ქალაქში, ასე ყოფილა მიღე-ბული...

ნესტორ. როგორ თუ გაყიდი? რას ამბობ, ცაბუ?

მაგდანა. ჰო, ერთი დიდი კაცი გვეხვეწება-ცაბუ—ძიძათ
მომაქირავეთო.

ნესტორ. ვინ დიდი კაცია?

დესპინე. ძიძათ?

მაგდანა. დიდი კაცი ის უნდა იყოს ე... ეს მითხრა პარა-
სკევამ. ჰო, დამოუნის უფროსი...

დესპინ. მერე ელიშუქმა რა გითხრა?

ცაბუ. ერთი ორხელ უთხარი, მაგრამ არც უარი უთქმამს
და არც თანხმობა. შემომხედა მხოლოდ და გამი-
ლიმა.

მაგდან. აბა რა ვუყოთ ჩვენ ხელმოკლეობას, ბერი ნეს-
ტორ!

დესპინე. (გაიხმობს) ცაბუ, მოდი აქ... მე უფრო შენთან
მოუედი საქმეზე...

ცაბუ. მითხარი, გენაცვალე!

დესპინე. ამ საღამოს უნდა მოხვიდე ჩემს ბინაზე, იქ კი-
დევ ერთი სამი-ოთხი ქალი იქნება და მოვილაპა-
რაკოთ.

ცაბუ. უიშე, გენაცვალე, მაღლობელი ვარ ძალიან, მა-
რა სად მცალია დროს გასატარებლად, ჩემი ბალანა
სად გამიშვებს.

დესპინე. არა, ბალანა თან წამოიყვანე, ერთი ნახევარი
საათით, რა გიჭირს, მხოლოდ დროს გასატარებ-
ლად კი არ გიწვევ საქმეზე უნდა მოგელაპარა-
კოთ.

ცაბუ. მერე და რა საქმე შემიძლია მე უბედურს?

დესპინე. ახლა მუშებს იმისთანა დრო უდგება, რომ ქა-
ლებმაც რითაც შეგვიძლია უნდა დავეხმაროთ. შეი-
ძლება გაფიცვები მოხდეს, ზოგი დაიჭირონ კიდეც,

ციხეში დაატუსალონ... ჩვენი მოვალეობაა მათ და-
ვეხმაროთ...

მაგდანა. (ნესტორს) შენ მომიკვდე! ის ქალი მეუბნება,
რომ თვეში 15—20 მანეთამდე ექნებაო და მეტო-
რები?

ნესტორ. რა ვიცი, ამისთანა ძვირფასი ძიდა ვის მოუნ-
და... ვინაა ის ქალი, ვინც ამას გეუბნება? საღმე
სხვაგან არ უკრას თავი მაგ შენ აძალს.

მაგდანა. უიმე, ღმერთო მომქალი! რას მეუბნები მაგას?
ნესტორ. კარგათ დაუკვირდით, კარგათ... თორემ ნანო-
შვილის „ქრისტინე“ არ გახსოვს? თუმცა ჰო, შენ
წაკითხული არ გექნება... ხშირია ცხოვრებაში,
რომ მაგისთანა მოხუცი, ვითომ დარბაისელი ქალი,
შეუჩნდება ლამაზ ქალს და მერე თვითონ იცის, რა
გზასაც გაუყენებს...

დესპინე. (ცაბუს) მერე წარმოდგენებსაც გავმართავთ,
თულებსაც შევაგროვებთ და უმუშევრებს ან დატუ-
სალებულებს გადავუგზავნით...

ცაბუ. თულებს შევაგროვებთ? საიდან?

დესპინე. აი, წარმოდგენებს გავმართავთ-მეთქი.

ცაბუ. ჰი, ჰი, რაა წარმოდგენა?

დესპინე. მოდი, მოდი უთუოდ ამ სალამოს... ახლა დაგ-
გვიანდები და რომ მოხვალ, იქ აველაფერს აგიხს-
ნით... (აპირებს წასვლას).

ცაბუ. ურმე, ბექა! (მაგდანს) ბატონო, ბატონო! აგერ ფაი-
ტონი არ გაჩერდა ჩვენ კარებზე?

მაგდანა. ვინაა ახლა?.. ის გიუები თუა ისევე: მეტიელა
და გუჯუ.

ცაბუ. აჲ, არა ბატონო!.. ღიღი ქალბატონია ვილაცა
და, ბექა! ის ქალი კიდე... მაშინ რომ იყო პარას-
კევა!

დესპინე. ნესტორ! არ მოღიხარ?.. დაგვაგვიანდა.

ნესტორ. ეხლავე. (ორთავენი მიემართებან კ:რეპისაკენ. იმავე
დროს შემოდის ფატი და პარასკევა. ფატი ლორნეტით ახედ-
და ფატი უავს დესპინეს, ნესტორს. ისინი გადიან)

ფატი. იმათი ბინაა ხომ, შენ რომ მეუბნებოდი, ა, პარას-
კევა?

პარასკ. კი, ბატონო... აგერ დიასახლისი და ესეც მისი
რძალი, მე რომ მოგახსენებდით.

ფატი. (ლორნეტით მიაშრებდება ცაბუს. ფრანგულათ) მართლა,
რომ მოხდენილი გოგონა ყოფილა! (მავდან) სალა-
მი, ჩემო მეზობელო! პარასკევამ მითხრა, რომ თქვენც
გურული ყოფილხართ...

მაგდანა. კი, ბატონო.. გურული ვარ (ფატი იქით-აქეთ იხე-
დება) უიმე, დაბრძანდი, ბატონო! (სკაშ მიართმევს).

ფატი. (ჯდება) ჰო და მეც გურული ვარ... ფატი მაჭუ-
ტაძის ქალი არ გაგიგონიათ?

მაგდანა. გაგონებით.. კი, რავა არა!.. დასტურ ლამაზი
არ ყოფილხარ, ბატონო?

ფატი. ეჭ, საღლაა ჩემი სილამაზე .. მაგრამ ლამაზი აგერ
თქვენ გყოლიათ... ესაა თქვენი რძალი, არა?

მაგდანა. კი, ბატონო, ეგ გახლავთ...

ფატი. კარგია, კარგი... მაღლობა ღმერთს, ჩვენი ხალხი
მთლად არ გადაგვარდა, კიდევ გამოღიან ამისთა.
ნა ლამაზები... (ცაბუ გაწითლდება).

შაგდანა. რას ბრძანებ, ბატონო, რა ლამაზი ეგ არი...

ფატი. არა, არა, მაგას ნუ იტყვით... მოყვანილი, ეშნია-
ნი, ჯანსაღიც უნდა იყოს ეტყობა. რა გქვია?

ცაბუ. ცაბუ, ბატონო.

ფატი. ჰო და, ჩემო ცაბუ, ჩემთან არ წაშოხვალ?

ცაბუ. მაგას ვინ ღირსა, ბატონო!

ფატი. არა, ჩატომ? წამოდი ჩემთან... პატივს გცემ, რაც
შემიძლია, შვილივით მეყოლები... კარგ ჯამაგირ-
საც დაგინიშნავ... ხომ გითხრა პარასკევამ — ძიძად
მინდიხარ.

მაგდანა. კი, ბატონო, რავა არა, პარასკევამ ყორიფელი
კაი მითხრა, მარა...

ფატი. რაი „მარა“?

მაგდანა. მაგის ქმარს, ჩემ შვილს უნდა ვკითხოთ, ბატო-
ნო...

პარასკ. როვორ? აქამდი არ გიკითხავთ?

ფატი. მაცალე, ჩემო კარგო! თქვენ ქმარს ვერ ვიცნობ, მაგ-
რამ, უნდა მართალი გითხრა, ვემდური ძალიან...
ბუნტოვჩიკი კაცი ყოფილა... სად არის ახლა?

მაგდანა. გამომძიებელმა დეიბარა, ბატონო!

ფატი. ჰო და აგაშენოს! ვაჟკაცი კაცი, პატიოსანი ყაზა-
ხი, ოჯახის პატრონი კაცი სამუშაოზე უნდა იყოს
და მის საქმეს აკეთებდეს თუ... გამომძიებელთან
დარბოდეს?..

მაგდანა. რა ვიცი, ოუტყდენ ძალიან და...

ფატი. ვინ აუტყდა? თუ... თვითონ არის ატეხილი? სა-
სიკეთოს მომასწავებელი არ არის ეს ამბები... ამ
ბოლო ხანებში მარც ჩვენი მუშები რაღასაც მიჰქა-
რავენ... დამიჯერეთ, რომ ეს სიკეთეს არ დაა-
ყრით... ვინ ამბობს, მუშებსაც უნდათ მოწესრი-
გებული ცხოვრება, განათლება, სწავლა მათთვისაც
საჭიროა, ეს ეკროპაში უკვე მოგვარებულია... აქაც,
ბათუმშიც, რამოდენათაც მე ვიცი, აქვთ საკვირაო
სკოლაა თუ რაღაც აღისთანა და... კმაროდა... ბუნ-
ტოვჩიკობა კი არ გამოადგებათ... დახურავენ, ბა-
ტონო, თავიანთ ქარხნებს ის როტშილდია, ნობე-
ლია, მანთაშევი თუ ვინც არის და დამრჩება ცა-

რიელი ჩვენი მუშა... რაღაცა ორ გროშს შოულობს ჩვენი კაცი თავის ყურის ძირში... კი არა ზოგმა ისე წამოიკეთა კიდეც თურმე, რომ თავიანთ სოფ-ლებში ოდები წამოიჭიმეს და დასახლდენ და მეტი რა უნდათ... არა, ძალიან ვეძდური თქვენს ქმარს. რა ქვია?

ცაბუ. ელიშუქი, ბატონო.

ფატი. ჰოო, ელიშუქი და არ ვარგა ასე! ახლა გამომძიე-ბელმა თუ დაიბარა, ვინ იცის დაატუსალოს კიდეც და ვინ იცის როდის გამოუშვებს.

ცაბუ. უი, ნანა!

ფატი. არა, შენ თუ ჩემთან წამოხვალ და მასიამოვნებ, მე ვეცდები არაფერი დაუშავდეს და შალეც გამოუშვან, მაგრამ...

შაგდანა. შენი ჭირიმე, ქალბატონო, ნუ დაგვლუპავ... გვი-საშველე რამე...

ფატი. ჰო, ეს ასე იქნება... მაგრამ ბუნტოვჩიკობა არ ვარგა... მძიმე საქმეა... მერე კიდევ დალოცვილს უფროსი მექანიკისათვის უცემია... მე ვიცნობ ალექ-სანდერს... ძალიან პატიოსანი კაცია... ცემას ვინ აპატიებს... მაგრამ არაფერია, ცოტა ჭიუა რომ ისწავლოს, არ აწყენს...

ცაბუ. ბატონო, ნამდევილად დააკავებენ?

ფატი. მძიმე საქმეა, შვილო, მძიმე! მაგრამ მე მგონია, რომ ვუშველო

შაგდანა. ჰო, შენი მუხლების ჭირიმე, შენი!

ფატი. (ცაბუ) მართლა, შენი ბავშვი სად არის? რატომ არ მაჩვენებდები? ხომ ბიჭია?

მაგდანა. კი, ბატონო, ახლავე, რა საჩვენებელია, თვარა... მოუყვანე, ცაბუ, მოუყვანე... (ცაბუ გადის).

ფატი. სხვა, შენი მოხუცი რას შვება, კიდევ მუშაობს ისიც?

მაგდანა. მუშაობს, ბატონო, მუშაობს, მაგრამ რა!... რა უნდა გვიყოს მისმა ნამუშევარმა... ახლა თან დაუძლურდა, დაავადმყოფდა კიდეც...

ფატი ჰო, მართლა! მე არ მითქვამს ჩემი პირობები... პარასკევამ მიქო, მაგრამ არ მჯეროდა, მართლა კარგი ქალი ყოფილა. ასე რომ შენი რძალი მიმყავს ძიძად. ტანისამოსზე და თეთრეულზე ნუ შეწუხდები, გამოგზავნე ისე ჩაცმული, როგორც არის. მე იქ ყველაფერს მოვუწყობ; გავბან, ჩავაცმევ, გამოვაკოხტავებ... შეიძლება რომ ნახო, ახირებულათ ვერც კი იცნო... თვეში ჯამაგირს მივცემ... შენ რამდენი უთხარი, პარასკევა?

პარასკევა. ასე 15—20 მანეთამდე-მეთქი, ბატონო.

ფატი ცოტა გითქვამს... მე ვატყობ როგორი სხეულის პატრონიც არის... რძეც საუცხოვო ექნება და ჩვენ ბჟბეშკასაც ხომ კარგი რძე სჭირდება... ამისთანა ძიძას კი მე მივცემ 30 მანეთს.

პარასკევა. ხელავ, მაგდან, რა ბეღში ვარდები? ზოგ ჩინოვნიკსაც არა აქვს ამდენი ჯამაგირი.

მაგდანა. რა ვიცი, რა ვიცი, რა ამბავია ეს ჩემ თავზე...

ფატი. სიკეთის და დამოყვრების მეტი არაფერი, შენმა სიცოცხლემ! ძიძობა უწინ ხომ მოყვრობას ნიშნავდა. (ცაბუ ბავშვთ). ოო, რა კარგი ბუთხუზა ბიჭი ყოფილა!... ჭყლობ, ჭყლობ! კარგა სუფთად ინახავო ეტყობა; ეს კარგია! თქვენ მეგრელი ხართ, არა? მეგრელებს უყვართ სისუფთავე, ჭყლობ, ჭყლობ! კარგი ჭყლობინა ბიჭია, კარგი... აბა, პარასკევა... ეხლა კი წავიდეთ .. ხვალ მოვა შენთან პარასკევა და პირდაპირ ჩემთან წამოგიყვანს, ექიმსაც არ გა-

ასინჯვინებს შენს თავს, ისე, მე თვითონ ვხედავ,
რაცა ხარ.

ცაბუ. ექიმი?

ფატი. ჰო, ჰო! ექიმი არ არის საჭირო... პირდაპირ ჩემ-
თან... სხვა შენ ნურაფერზე სწუხარ... მე უკვე მო-
ველაპარაკე შენს დედამთილს.

ცაბუ. ის... ბატონო...

ფატი. რა გინდა?

ცაბუ. ელიშუქი, ბატონო...

ფატი. ჰო, მაგაზე, როგორც გითხარ... ვეცდები... აბა
ნახვამდის, ხვალამდის... მართლა, ესეც შენ სამი
მანეთი, უყიდე მაგ ბავშვს საპერანგე, სათამაშო,
რაც რომ გინდა.

ცაბუ. (ყოყმანობს).

პარასკევა. გამოართვი, გენაცვალე, გამოართვი... შემგუ-
ნება რა საკადრისია... მაგლან, ბექა, უთხარი.

მაგდანა. კი, ბატონო, კი... ცაბუ არ აწყენინო.

ფატი. ჰო, მართლა, იცოდეთ ჩემი ერლანდელი გვარი...
ჩემი ქმარის გვარია ზიკოვი... დაიხსომებთ? ადვი-
ლია ძალიან: ზიკოვი! ჩემი ქმარი არაა პატარა კა-
ცი. დამოუნა ხომ იცით? იმის უფროსია... ვინმემ
რომ გითხოთ, ვისთან მსახურობს თქვენი რძალიო,
უთხარით დამოუნის უფროსის ცოლთან ფატი ზი-
კოვთან... ასე, ჩემო, ჩემო! ნახვამდის! (შუბლზე აკო-
ცა ცაბუს, ბაგშვს თითო კიდევ მიუცაცუნა, მაგდანას შორი-
დან თავი დაუჭირა და გავიდა პარასკევასთან ერთად. მაგდანა
გააცილებს და მაშინვე ბრუნდება).

ცაბუ. აჲ, ეს რა სურნელება! (შუბლზე ხელს იკადებს) რა
ქალი ყოფილა, დედა-ბატონო! რა მოხდენილი, რა
მოყვანილი! თითები, თითები! ბეჭდები ნახე, ბატო-
ნო, რა ბეჭდები ქონდა, მერე რამდენი! ან რა ნაი-

რად ეცვა, ან რა სურნელებას აფრქვევდა გარშემო.
ნეტავი ადამიანის შვილია ახლა ეგეც?

მაგდანა. ადამიანის შვილი როგორ არაა, ბეჩა-ცაბუ, მა-
რა... ბედმა და გარემოებამ ეიყვანა ასე ცაზე... მა-
გათია ქვეყანა, შვილო, ყველაფერი კაი მაგათ აქვთ
და ჩვენ... აგერ ლუკმა-პურიც გვენატრება...

ცაბუ. საოცარი კია, ქალბატონები ჩემს სოფელშიც მი-
ნახავს, წირვაზე, ჯარიანობაზე, მარა ამისთანა-
ებლა... ღვთის შვილია, კაცის შვილია?

მაგდანა. გეტყობა ძალიან მოგეწონა...

ცაბუ. რავა არ მომეწონა... ქალი ვარო, მაგან უნდა
თქვას...

მაგდანა. ვაი ბეჩა! მაგრე რომ გაცხოვრა და მაგრე გამო-
გაწყო... მერე შენც ქე გამოჩნდები რაცხა...

ცაბუ. მე? უიმე! სად მე და სად ის...

მაგდანა, არა, მაგას ნუ იტყვი. ქალი ქალია .. ცხოვრება
მკითხე შენ თვარა, მაგისანა სიმდიდრეში რომ
ჩაგაგდო, შენც ქე შეითვისებ... იცი, რა მითხრა?
ცაბუს მე ჩავაცმევ და დავახურავო. მერე რა გვო-
ნია... არ დაგშევნდება თუ...

ცაბუ. ჩავაცმევო? როდის გითხრა?

მაგდანა. კი, როგორ არა და ფულსაც მივცემო... იცი
რამდენს?

ცაბუ. რა ვიცი?

მაგდანა. ოცდაათ მანეთს, ცაბულია-გენაცვალე, ოცდაათ
მანეთს! შენ წარმოლგენილი გაქვს ეს რა ფულია
ჩვენთვის?. პირდაპირ ცა გეიხსნაო, რომ იტყვიან,
ესაა!.. არ ყოფილა მთლად დალუპული ჩენი ოჯა-
ხი... მარა შენ შემომიტანე ეს ბეღნიერება, გენა-
ცვალოს ჩემი თავი... ეს ელიშუქი ძალით ილუპაკს
თავის თავს, თვარა, შენ ძალიან კარგი ფეხის ხარ,

მალიან... შშვენიერი ბიჭი გეაჩუქე, ახლა და... მოა-
სვენებ მთელს ოჯახს გაჭირვებიდან... ოცდათი
მანეთი თვეში, წარმოგიდგენია? ხვითო ხარ ჩვენი,
ხვითო ჩვენი ოჯახის... (ეალერსება, ცაბუ გახარებული
გადი, ბავშვიანათ).

შემოვარდება ვარდენი

მაგდანა რა იყო, ბიჭო, რამ დაგაფეთა?..

ვარდენ. დამაფეთა, კი არა, ბიცოლა, გახარებული ვარ,
გახარებული...

მაგდანა. რა იყო, რა მოხთა ამისთანა?

ვარდენ. რა და... მიმილეს ქარხანაში... აწი მეც მოგაწ-
ვდი ცოტ-ცოტას ბიცოლა...

მაგდანა. უი, შვილო! გაგახაროს ღმერთმა, ეგ სასიხარულო
იყოს.

ვარდენა. რომელმა ღმერთმა გამახაროს... არ ყოფილა,
ბიცოლა, ღმერთი, არა.

მაგდანა. უი, რას ამბობ, შვილო!.. მერე ისიც შენ... სა-
ბერო კაცი.

ვარდენ. რისი საბეროო, რას ლაპარაკობ! წავიდა, გაქრა,
ამეხილა თვალები... იცი კი, ბიცოლა, დედა-მიწა
როგორ გაჩნდა?

მაგდანა. როგორ და ღმერთმა გააჩინა.

ვარდენ. ჰა, ჰა, ღმერთმა კი არა. ღმერთი თვითონ ჩვენ
გავაჩინეთ...

მაგდანა. უიმე, უიმე! არ თქვა, შვილო, მაგისთანა არ თქვა.
არ გრცხვენია...

ვარდენ რისი მრცხვენია... იმათ უნდა რცხვენოდეთ, ვინც
ასე გვატყუებს და გვიხვევს თვალებს...

მაგდანა. ვინ? ვინ გვიხვევს თვალებს?

ვარდენ: ვინ და აი ხუცები, ეფისკოფოსები და კიდევ
ამისთანები.

მაგდანა. მერე შენ ამბობ მაგას? შენ რომ ასე გწამდა
ხუცები!.. ბერობა რომ გინდოლა?

ვარდენ. ბერობა მინდოლა მართალია, მაგრამ, მაგრამ
ხუცები არასოდეს არ მწამდა.

მაგდანა. არა, ხუცების ბევრი არც მე მწამს, მარა... ღმერ-
თი, შვილო, სხვა არი, ევ არ თქვა, ბიცოლას ჭი-
რიმე...

ვარდენ. (გასძაის) თანდილ, ბიჭო... აქ მო, ნუ გრცხვე-
ნია, რას ატუზულხარ კარებთან?

თანდილა შემოიძურწება

მაგდანა. ეგ ვინაა?

ვარდენ. ეგ დლეიდან ჩემი ამხანაგია... ერთად მიგვიღეს
ქარხანაში...

მაგდანა. საიდან ხარ, შვილო?

თანდილ. ცხრამუხილან.

მაგდანა. ცხრამუხა? ამისთანავე სოფელი ჩვენში რომ არ
გამიგონია.

ვარდენ. ქართლელია, ბიცოლა.

თანდილ: პო, გორის მაზრიდან ვარ... აქ ერთმა მეზუქ-
ნემ ჩამომიყვანა, მაგრამ მის „ზრდილობიან“ მო-
პყრობას ვერ გაუძელ და..

ვარდენ. სულ ისე ცემდა თურმე... მთელი ტანი ეხლაც
დალურჯებული აქვს...

მაგდანა. (ფანჯარაში დაინახა, უცრად აყირდება) უიმე, უიმე,
უიმე! ეს რა უბედურებაა ჩემ თავზე?! (ოუ მუშა
შემთხვევა მკვერცხული დათივლა) რა იყო, რა მოგივიღა,
ბეჩა-დათივლა.

დათიელა! ვკვდევი, ვკვდები... წელკავი. წელი გამიკავა
რაღაცამ. ვკვდები! (ძიძყავთ ლოგინისკენ).

შაგდანა. უიმე, უიმე! ბეჩა-ცაბულო, გამოგვხედე აქეთ.
მოიტა, ბალიში, საბანი... (ცაბულო გამოვაზღება და
ფუსფუსობენ, აწვენენ).

თანდილ. (ვარდენს) ახლა ექიმი არ უნდა მიგას?

1 მუშა. შენ ამას პასმატრი!.. ექიმი! ვინ მოგვაშავა,
ბიჭო!

2-რე. ექიმი, თორემ... მე შენ გეტყვი საწყალ მუშასთან
ეხლავ მოთრინდებიან...

მაგდან. დათიელა, შენი ჭირიმე! რა გიყო ახლა, უიმე,
აგური, აგური ჩქარი გავახუროთ. გაციებული ხარ,
უთუოდ.

დათიელა. ვკვდები, ვკვდები!

ბაღია კუთხე, პაზილილი თბილი ფონ. მოსიანს
ქ უნის ერთა ნაწილი

ფატი. (ზის პავილიონის ტერასზე მაგიდასთან. პარასკევა თავს-
ადგას). აბა, ჩემო პარასკევა... რაღას უკვდი ახლა... მი-
დი და წამოიყვანე. მე რომ დავბრუნდები. ჩვენი
ახალი ძიძა შინ უნდა დამხვდეს კოხტად გამოწყო-
ბილი.

პარასკ. კი, ბატონო, კი გენაცვალე!..

ფატი. შენ ამბობ, რომ მამამთილიც ავად გაუხდაო?

პარასკ. კი, ბატონო, ასე მითხრეს, ამ ზამთარს ვერ გა-
ატანსო.

ფატი. ჰო და ძალიან კარგი... მისი ქმარიც, ის ელიშუ-
ქია, რაღაც არის, ამ ზამთარს კარგ ადგილზე გა-
ატარებს დროს. მითხვა პროკურორმა... ასე რომ...

პარასკ. მხოლოდ, ბატონო, როგორ გავიბედო და... საჭი-
როა, რომ პირველ ხანებში არ დაფეხდეს გოგო...
ჯერ სულ გამოუცდელია, ხომ ატყობთ... სოფლიდან
აჩლად ჩამოყვანილი.

ფატი. გამოუცდელი რომ არის, მიტომ მინდა მეც .. წმინ-
დაა და სუფა... ჩემი ვაჟიც დაცული იქნება
ყოველგვარ ავადმყოფობისაგან.

პარასკ. ეგ, ბატონო, რასაკვირველია, აგრეა, მაგრამ ვა-
უ უცბად ნუ შეუტევს.

ფატი. ჰა, ჰა!.. ნუ გეშინია, ჩემო პარასკევა... ჩვენ ყვე-
ლაფერს ბუნებრივ მსვლელობას მივანებებთ. ჩემი
ვაჟიც სულ გამოუცდელია, მორცხვი... არ ვიცი,
ვის გამოემსგავსა... დედის ნებიერია და... ოოჰ,
ვლადიკ, ვლადიკ! სად ყოფილხარ აქეთ?..

ზიკოვი. (შემოდის)

ფატი (პარასკევას) აბა შენ წადი ახლა და როგორც
დაგარიგე. (პარასკევა თაქს უქრავს და გადას).

ზიკოვი. იქ აგზავნი?.. ძალიან კარგი. მაშ როგორც არის,
გვეყოლება კარგი ძიძა! არა, მართლა ხომ ლამა-
ზია?

ფატი. ახლა რამდენჯერ უნდა მკითხო.

ზიკოვი. არა, მე იმიტომ, რომ ჩვენ ვაჟს ესთეტიური გე-
მოვნებაც უნდა განუვითარდეს... განა არ შემეძლო
ერთი ვინმე ძროხა-დედაკაცი მეშოვნა, მაგრამ...
საჭმე ესთეტიზმია...

ფატი. ვლადიკ! კიდევ ერთხელ გამიფრთხილებიხარ. ამ
ესთეტიზმს შენც არ გადაყვე.

ზიკოვი. არა, ამ შემთხვევაში, გაძლევ სიტყვას... მე პუშ-
კინის არ იყოს, კარგად იცი, ამისთანებში სუსტი
კაცი ვარ. როგორ ამბობს თავის ათ მცნებაში?

ფატი. ჰო კარგი, გამიგონია. მაგრამ, ვლადიკ აქ არ შეი-
ძლება!

ზიკოვი. რაღა თქმა უნდა. ჩემ ვაუს აბა როგორ შევე-
ცილები... ეგ მისთვის არის გამოგონილი. ეს მისი
გიგიენაა... ესე ვთქვათ ეგ ძიძა მის სამკურნალოდ
მოგვყავს... აქ შეცილება როგორ შეიძლება!

ფატი. მე გამიფრთხილებიხარ, მხოლოდ ხომ იცი.

ზიკოვი. ჰო... ჰო... არ მოდიხარ სახლში? (მოისმის სამ-
გლოვიარო საგალობელი) მაგრამ აქეთ ვერ გავალთ,
დიდძალი ხალხი მოსდევს.

ფატი. ვინ არის? ვინ მომკვდარა?

პოლიციეისტერი

პოლიც. ჩემი სალამი... ფატმა გეორგიევნა, ვლადიმერ-
სერგეიჩ!

ზიკოვი. აა, ბორენკა, გამარჯვება... თქვენც გამოხველით
სასეირნოთ?..

პოლიც. ეჲ, სასეირნოთ სადა მცალია, გუბერნატორიდან
მოვდივარ. იქ იყვნენ მოხელეები და სხვათაშორის-
გამოითქვა სურვილი, რომ ახალწელიწადს კლუბში
შევხვდეთ.

ფატი. ეს ვის ასვენებენ, ბარის ნიკოლაევიჩ?

პოლიც. (გაიხედა) არ ვიცი სწორედ... დიდძალი ხალხია...
ჩენიანი არ არის, თორემ გვეცოდინებოდა. უთუ-
ოდ ადგილობრივი ბეგია ვინმე ან რომელიმე ქარ-
თველი თავადი...

ზიკოვი. (ცოტა დაცინვით). მიღით, მიღით, ნახეთ! (პოლიც-
მების წერა მიღის. მოსჩანს, როგორ „ჩადგა ურონტში“. სა-
მხედრო სალამი მისცა პროცესის, შემდევ გამოპრუნდა, იქვე
მოხვედრილ მეტიყლას ჰკითხა რაღაც. გაჯავრებულმა ზელი
ჩაიქნია და ბუღლუნათ ზიკოვისაკენ წამოვიდა).

პოლიც. რა უმსგავსობაა!

ზიკოვი. (ხარხარებს) ჰა, ჰა! ბეგი! თავადი! ვინ ყოფილა?

პოლიც. საშინელი უმსგავსობა! ვიღაც მუშა!

ზიკოვი. ჰა, ჰა! საწყალი მუშა!

კ-რგად ჩაცმული გამვლელები ერთა მეორეს ეკითხებიან

1-ლი. ვინ არის? ვინ ყოფილა?

2 რე. დიდი კაცია ვიღაცა.

3-მე. დიდი კაცი კი არა, საწყალი მუშაა.

1-ლი. საწყალი მუშა?

2-რე. მერე ამისთანა გასვენება?

4-ხე. რაო, ვინაო?

5-თე. საწყალი მუშა! (შეკვირვება და გუაუნი ყოველ შხრით):

„საწყალი მუშა, საწყალი მუშა!“.

ზიკოვი. დიალ, საწყალი მუშა! ჰმ... მეც აგრე მომივიდა...
ფაიტონით მივდიოდი. უეცრად ამ შექუჩებულ ხალხს
წავაწყდი. მოდიან, მოასვენებენ! მეც ეგრე მეგონა,
ვიღაც უთუოდ მდიდარი ვაჭარი ან ბეგია, რომ
ამდენა პატივისმცემელი მიჰყვება-მეოქი და ქუდი
მოვიშვლიტე. ის კი არა თუ... უბრალო, საწყალი
მუშა ყოფილა.

პოლიც. მაინც რამდენი მოჰყვება!..

ზიკოვი. ორი ათას კაცზე მეტი იქნება ჩემი ფიქრით.

პოლიც. რა უშსგავსობაა. რა უნდა უყო ეხლა?..

ზიკოვი. რა უნდა უყო... მიღიან თავისთვის დინჯად.

მიასვენებენ... მგალობლები, სამთლები, მღვდელი...

ჩველაფერი რიგზეა და რას უზამთ.

პოლიც. არა, რომ მცოდნოდა.

ზიკოვი. კარგია ერთი. რას უზამდით! აუკრძალავდით?

რატომ, რა მიხეზით. კაცი მოკვდა. პატივი უნდათ სცენ.. აქ ვერაფერს ხელს ვერ ჩასჭიდებთ. მაგრამ ისე კი ცხადია, რომ ეს დემონსტრაციაა.. ძალიან მოხერხებული დემონსტრაცია... აცოდეთ, რომ მუშაც ადამიანია და მასაც ყოველგვარი ადამიანური შეჰვერის. აი რა უნდა სთქვას ამ დემონსტრაციამ, თქვენი შრალი კია.. ადგილობრივ ადმინისტრაციის. ერთი ღრივ ვერ ჩავიგდე ხელში, რომ რიგზე მოველაპარაკო პოლკოვნიკ დრიაგინს... თორემ რას ჰგავს? ამდენიხანია, ყველაზე კარგათ ვიცით, რომ აქაურ ქარხნებში რაღაც მოძრაობა დაიწყო... მუშები ურჩობენ, იქა-აქ ვითომ გაფიცვებისავითაც რაღაცებს აწყობენ. მართალია, ეს ჯერ ორგანიზებული არ არის... უფრო ცალკეული გამოსვლებია, მაგრამ აქამდე ერთი მუშა არ დაგიტუსალებიათ.

ფატი. არა, ერთი უკვე დაატუსალეს ამ დღეებში თურმე.

ზიკოვი. ჰო და მადლობა ღმერთს, მაგრამ ერთი რას ეყოფათ! აქამდე არავინ არ გაღავისახლებიათ, არავინ პასუხისმგებაში არ მიგიციათ, არ გაგისამართლებიათ, როგორც რიგი და წესია.

პოლიც. მაგას რათა ბრძანებთ. აი 90-იან წლებში აქ იყო ერთგვარი სოციალ-დემოკრატიული წრე, არ გახსოვთ უთუოდ! მეთაურობდნენ ლუზინი და ფრანჩესკი. მაგრამ 98-ში სრულიად გავანადგურეთ.

ზიკოვი. ჰო, ეგ 98-ში, მაგრამ ეხლა ხომ 1901 წლის მიწურულებია... და ხომ ამბობენ, რომ მუშებმა კი დევ უფრო წამოყვეს თავიო, რაღაცას ფაცი-ფუცობენ. მე მგონი ვიღასიც მაგარი ხელი ხელმძღვანელი

ლობს. ნუთუ ასე გაგიჭირდათ მისი მიგნება? აქ
ბათუმში ხომ ყველაფერი ხელის გულზეა...

პოლიც. ეგ ყველაფერი ვიცით და ბევრ თავსაც ვიმტვრევთ,
მაგრამ ხელჩასაჭიდიც ბევრი არაფერი გვაქვს.

ზიკოვი. მაშ რა გნებავთ! გინდათ მომწიფდეს საკითხი,
შემზადდენ მუშები და შემდეგ შეუტიოთ? ძალიან
ცუდი პოლიტიკა! ძირშივე უნდა მოიკვეთოს ბო-
როტება, თორემ თქვენ იცნობთ საერთოდ მუშათა
საკითხს?.. იცით, რა გამწვავებული მდგომარეობაა
ევროპაში და თვითონ რუსეთშიც? პეტერბურგსა
და სხვაგან? მარტო ერთი პუტილოვის ზავოდის
ამბები გაიხსენეთ. ახლა თბილისი. განა არ იცით,
რა ამბებიც ხდება იქა? პირველ შაისობის ჩატარე-
ბა... რკინის-გზის დეპოში აურზაური... ყველა ეს
თქვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს ..

პოლიც. ყველაფერი, რასაკვირველია, ვიცით, ვლადიმირ
სერგეი, მაგრამ აქ არაფერი ისეთი არ ხდება.
ფატი. აი ის... „მაგარი ხელიო“, ჩემი ქმარი რომ ამ-
ბობს?

პოლიც. ვიღაცაა, უჩინ-მაჩინის ქუდი ახურავს, მაგრამ
მე მგონი, ეს უფრო ზლაპარი უნდა იყოს...

მეორე მხარეზე მეტიელა და გუჯუ

მეტიელა. მაშ ესეც ასე. გავასვენეთ საწყალი მუშა! ძაან
ამბავი იყო, შენ მომიკვდე. რა ხალხი იყო! ახლა მე
და შენ ერთი შესანდობი რომ დავლიოთ, კი არა-
ფერი გვიჭირს...

გუჯუ. დალევით კი დავლიოთ, მარა რა გინდა. შენ მარ-
ტო შესანდობით რომ არ დაქმაყოფილდები?

მეტიელა. აბა რავა გგონია... ჩვენ ოთახში არ დაუძახოთ
ბიჭებს?

გუჯუ. არა, არა, რავა ვარგა! დალოცვილო, გვერდით
საწყალი დათიელა მომაკვდავი გვიწევს, ამას გარ-
და ვერ ხედავ ლვინის სმა უკვე მინელდა...

შეტიელა. ოხ, მინელდა, თვარა ველარ სვამს საწყალი ზო-
სიმე, ისიდორე ..

გუჯუ. ეეჭ, ისინი, კაცო, გამოუსწორებლები არიან.

შეტიელა. რავა, ახლა შენც გინდა მილალატო?

გუჯუ. არა, ღალატით არა, მაგრამ ცოტა რომ ვუქლოთ,
კი ჯობია. ვერ ხედავ, მუშები მეცადინეობენ...
წრეებში მუშაობენ, იკრიბებიან, მსჯელობენ... აღარ
ცალიათ ქეიფისათვის...

შეტიელა. ეე, შენ ბიძია, რაც გინდა ის სთქვი და მე
როგორც მიწირავს, ისე ვწირავ...

გუჯუ. ჩვენი მედროვეები ცოტას კი არ გემდურიან.

შეტიელა. რაო?

გუჯუ. რა და გვეგონა, ნასწავლი კაცია და ის გვიწინამ-
ძლვრებდაო, ყველგან მუშებმა წრეები ჩამოაყალი-
ბეს და ეგ ახლოსაც არ გაგვეკარაო...

შეტიელა. უჩემოდაც რომ აქვთ წრე, რომ ქი ვიცი...

გუჯუ. ჰო და გული წყდებათ, რომ მათთან არ ხარ.

შეტიელა. სად იკრიბებიან თუ იცი?

გუჯუ. თუ გულით გინდა, წამოდი და ნახავ ..

შეტიელა. აპ! ახლა იქ ვივლი სწორედ.

გუჯუ. არ შეუერთდები?

შეტიელა. შევუერთდები კი არა, ვტოვებ მედროვეობას.

გუჯუ. სად მიდიხარ?.. ჰოო, აფიცრობაზე ემზადები, არ
გცალია, ჰო, ეგ მართალია.

შეტიელა. არა, აფიცრობა კი არა, ვერა, ჩემო გუჯუ, ვი-
რა! ვატყობ, რომ ვერ მევემზადები. რაც ვიცოდი
ისიც დამვიწყებია და საიუნკრო სასწავლებელში

შესვლას, უკანასკნელი 6 კლასის ცოდნა მაინც უნდა
და ამას მე რამდენხანს მოუნდები?

გუჯუ. აბა რას შვრები ახლა?

მეტიელა. სამსახურს ვშოულობ.

გუჯუ. საღ?

მეტიელა. ნოტარიუსთან. რუსული ხელი მაქვს მშვე-
ნიერი, პოჩერკი, გადამწერლად მივლივარ...

გუჯუ. მერე?

მეტიელა. კაი ჯამაგირი, კაი ჩამორჩენა... აქამდი სად
ვიყავი, სულ არ გამხსენებია, რომ ჩემი მამიდაშვი-
ლიც იქ მსახურებს და.

გუჯუ. აბა, აწი სულ აღარ გვიკადრებ.

მეტიელა. შენ რავა არ გიკადრებ, გუჯუ ჩემო. მარა,
მეიცა, მეიცა... ლილოსი არაა, ევერ რომ მი-
ღის?

გუჯუ. კი, ლილოსი უნდა იყოს.

შეტიელა. (დაედევნება) ლილოსი, ლილოსი ქალო!

ფატი. ვლადიკ, შეხედე, ჩემი ბიძაშვილი ჩამოსულა. დათა,
დათა, კნიაზ დათა.

დათა და ბრევვაძე

დათა. (მოიხედა, სწრაფად წამოვიდა მათკენ) აა, ფატი ბატო-
ნო, ვლადიმერ სერგეიჩ, ბარის ნიკალაევიჩ! გასა-
ყერყეჩებელია! წარმომიდგენია: ნაფიცი ვექილი
ჭიჭიკო ბრევვაძე.

ზიკოვი. აა, ბრევვაძე! ეს თქვენი განთქმული ადვოკა-
ტი?..

ფატი. შენ ხომ რა, მუდამ ამ ვექილებში და სასამართ-
ლოებში გაქვს საქმე.

დათა. რა ვქნა, ჩემო დაო... გასაყერყეჩებელია! ბარეშ-
ეც არ მინდა... ლელვივით გამფრქვნეს, ლელვივით,

ამ ვექილებმა, გასაყერყეჩებელია! მაგრამ უამისოდ
მამულებს კვარგავ, ბატონო, ჩემს მამაპაპეულს...
გასაყერყეჩებელია!

პოლიცი. აქაცა გაქვთ, ბათუმის ოლქში მამული, კნია-
ზო?

დათა. მაქვსო? გასაყერყეჩებელია! მთელი ქობულეთი,
ბატონო, ჩემი წინაპრის იყო, მარა რა გინდა, ახლა
სადავო გამიხდა... გასაყერყებელია! მერმე კიდევ
აქ, ამ თქვენს ოლქში საშინალი არეულია, ბატონო,
ეს მიწადმფლობელობის საქმე. რაც რუსი შემოვი-
და, მას შემდეგ არავის არაფერი აღარ გაეგება,
ვისი რა არი, ან რომელ კანონით უნდა ვსარგებ-
ლობდეთ. გასაყერყეჩებელია! ერთი მხრით რუსის
კანონია, მეორე მხრით ხონთქარის... ამ ვაკუფის
მამულები რაცხაა, ხომ მეტად გაგვიჭირვა საქმეები.
გასაყერყეჩებელია!

ზიქოვი. თქვენ თქვენი გურიის მამულებიც გეყოფათ,
კნიაზო დავით!

დათა. ეჰ, სადღაა, დალოცვილო, ჩემი მამულები! გასა-
ყერყეჩებელია, ბატონო!

ზიქოვი. როგორ? გაჰყიდეთ, ბანქში დააგირავეთ? ეხლა
სახელმწიფო ბანკიც გაიხსნა ამიერკავკასიაში და
ხომ იცით, რა დიდ სესხსაც იძლევა.

დათა. გასაყერყეჩებელია, მაგრამ მე? აჰ, თქვენ არ მო-
მიკვდეთ, ვლადიმერ სერგეიჩი... ჩემგან მამულის გა-
ყიდვა და დაგირავება მაინც... როგორ გეკადრე-
ბათ, ვინ გაიგონა. გასაყერყეჩებელია?

ფატი. როგორ არ გახსოვს, ვლადიკ... დათა არ გავს
სხვა ქართველ კნიაზებს, თვითონ შენ რამდენჯერ
გითქვამს...

ზიკოვი. არა, ფატი, ვეხუმრები... მაგას მარტო ყანები-დან იმდენი შემოსავალი აქვს... საღ დასჭირდება გაყიდვა და დაგირავება.

დათა. არა, მაგას ნუ ბრძანებთ, ვლადიმერ სერგეი! გან-საკუთრებით წრეულს... გასაყერყეჩებელია! ერთი მხრით დიდი მოუსავლიანობა იყო და ვერაფერი მოვიწიეთ, მეორე მხრით გლეხებმა არ აიღეს ყანე-ბი — დიდალ საყანულეს თხოულობთ, ბატონოო. გასაყერყეჩებელია!

პოლიცმ. ჰე, ჰე, ხომ არ ურჩობენ...

ზიკოვი. ბუნტს ხომ არ გიპირობენ, კნიაზო!

დათა. არა, ბუნტს ვინ გაბედავს, მაგრამ რაცხას რომ ბუნტურობენ, ეს კი ცხადია. გასაყერყეჩებელია!

ფატი. (ჭიჭიკოს) მაშ თბილისიდან გუშინწინ ჩამობრძან-დით? რა ამბებია?

ჭიჭიკო. რომელი ერთი მოგახსენო!.. სენსაცია ის არის, „ზალატოი ეშაკ“-მა, უკაცრავად, მაგრამ ესე ეძა-ხიან... მეორეჯერ სახელმწიფო ლატარიაში ორასი ათასი მოიგო... .

ფატი. რას ბრძანებთ! შორიდან მინახავს... ჩერკესკას იცვამს და სულ სირმებშია გატყლაპული. ზოგჯერ გალავინის პროსპექტზე არაბული ცხენით ჩამო-ივლის.

ჭიჭიკო. დიალ, დიალ, სწორედ ეგ. და... ქალები ირევიან. თუმცა თბილისის ქალებს სხვა კუმირიც გაუჩნდათ ეხლა: ოპერის მომლერალი კამიონსკი... დიდი ამბავი აქვთ... ვასო აბაშიძე დაგვრჩა და ამით გავდივართ იოლას. რადგან ალექსი - მესეიშვილი ქუთაისს გადავიდა სამუშაოდ. ვალერიან გუნია აცხობს და აცხობს ახალ კამედიებს და ჩვენც ვხა-რხარებთ... ლიტერატურაში — ილია ჭავჭავაძე კარგა ხანია აღარაფერსა სწერს, აკაკი ხანდახან

თუ გამოიღიმებს თავის მოკლე და სხარტული ლექ-
სებით, ორივე დაგვიძერდა... გიორგი წერეთელია
და ამ მესამე დასს გადაჰყვა თავის „კვალით“.

ფატი. ოჯ, შესამე დასი... ეთი თაკე ვალი...

ჭიჭიკო. სხვა ვიღა არის?.. ჰო, პროზაიკოსებში არაგვის-
პირელია ეხლა ერთად ერთი... კრიტიკოსები გიუნ-
დე-მოპასანს ადარებენ... არ წაგიკითხავთ?

ფატი. სამწუხაროდ...

ჭიჭიკო. ეს ხომ ჩვენი არისტოკრატიის სენია... მილპარ-
ლონ! როგორც ყველგან... რუსეთშიაც, პუშკინის
დროს, ტურგენევის დროსაც კი მაღალი წრის ბა-
ნოვანები რუსულ ლიტერატურას არ კადრულობ-
დნენ, ფრანგულს ეტანებოდნენ...

ფატი. არა, მე ქართული კითხვა კარგი ვიცი... ბევრიც
მაქვს წაკითხული... აი ყაზბეგი მიყვარს ძალიან...
ხოლო „ვისრამიანი“-ს რა მოგახსენო..., თუმცა მაქვს...
„საქართველოს სამოთხე“-ც მაქვს... ამგვარ წიგნებს
მიგზავნიან. ისიც მაქვს, დიდი სურათი, საცა ყველა
ქართველი წმინდანებია ერთად თავ-მოყრილი,
შუაში რომ სვეტი-ცხოველი ჰყიდია, საბინინის გამო-
ცემა...

ჭიჭიკო. ძალიან მშვენიერი. სხვა, რა გითხრათ თბილისის
ამბავი. მთავარ-მართებელია გალიცინი და მხოლოდ
მისგან მოველოდით „დიდსა და მრავალსა წყალო-
ბასა“. მაგრამ მარტო ის მოიმოქმედა, რომ სომხე-
ბის კლერიკალები შეგვიწუხა, ეჩმიაძინს მამულები
ჩამოართვა. სხვა ისე კი თბილისში დიდი ამბები
ხდება სულ სხვა წრეშიაც: აი მუშებმა, ხომ იცით,
რა მოაწყეს?.. წრეულს გაზაფხულზე, სუორედ 22
აპრილს გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყეს,
წითელი დროშაც კი ააფრიალეს. ჭორათ მოვეარი

ყური, რომ სემინარიიდან დათხოვნილი ერთი ახალ-
გაზრდა ვინმე მეთაურობდა... გორელი უნდა იყოს..
ბევრი ეძებეს, მაგრამ... ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ,
კაცმა. ვერა გაიგო-რა.

ზიკოვი. დიალ, მუშები ალარ ხუმრობენ საერთოდ... აი
აქაც, დღეს ერთი მუშა გაასვენეს დიდის ამბით...
დათა. მართლა, რა იყო, ბატონო?.. ასეთი დიდი გასვე-
ნება მე ბათომში ჯერ არ მინახავს... გასაყერყე-
ჩებელია! როგორ მიეცით ამის ნება, პოლიცმეის-
ტერო! რა სანიმუშო ესაა, რა წასაბაძია, რა გამო-
ჩვენებაა, ბატონო... ახლაც არ მჯერა, ვიღაცა დი-
დი კაცი იყო ნამდვილად..

ჭიჭიკო. მე მითხრეს, რომ ერევანს მიასვენებენ...

დათა. როგორ, ერთ ვიღაც მუშას... დავიჯერო?

ფატი. კი, დათა, კი... მუშაა ნამდვილად.

ზიკოვი. დიალ... საწყალი მუშა!

დათა. გასაყერყეჩებელია!

მოქმედება მასამ

ლომჯარიასას. ქალები აწყობენ სუფრას. სტუმრები ნელ-ნელა მოდიან, თითო-ოროდა. თვით სილიბის-ტო, როგორც მასპინძელი, განკარგულებებს იძლევა, სტუმრებს ეგებება.

1-ლი. ეს ჩიჩილაკი სუფრის თავზე დავდგათ. ვითომ კალანდობაა.

2-რე. დღეს მართლა კალანდობაა ჩვენში...

3-მე. ახალი წლის წინალამეა, დეკემბრის 31, 1901 წლისა.

დომენ. ვეთხოვებით ძველ წელიწადს, კრულ იყოს მისი სახელი!

სევერ. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი...

სილიბ. ამას ჩაღა ნახვა უნდა... განა არა გწამთ, რომ ახალ გზას ვადგებით, რომ უკვე დავირაზმენით... 11 წრე გვყავსო, მითხრა სოსომ.

1-ლი. სოსომ?

2-რე. ვინ არის სოსომ?

დავით. არ იცი?

3-მე. ჩვენი ხელმძღვანელი ხომ არ არის?

1-ლი. ხელმძღვანელი ვიცი, მაგრამ სახელი ჯერ არ გამიგია.

დავით. სახელი კი არა, სახითაც ვერ იცნობ ხანდახან...

დომენ. არა, ეს მართლა საკვირველი იცის: ამ წრეში რომ ქუდით მოდის, მეორეში ბაშლაყი ახურავს, მესამეში პიჯაკი რომ აცვია, მეოთხეში უბრალო ჩიხასაც ხმარობს.

3-მე. (1-ლს) ეგაა, ბიჭო, სიფრთხილე...

1-ლი. რას მასწავლი... მართლა თქვენებური აბდალაი კარგარ...

დომენ. ერთხელ მართლა ვერ ვიცანი, სანამ თვითონ არ დამიძახა: ჩაბალახი ჰქონდა მოხურული. ქუჩაში წავაწყდი და რაღაც დამასაქმა.

აღათი. (ლომჯარის ცოლი) ოჭ, ეს ჩიჩილაკი ვინ დადგა აქ?

2-რე. ეგ მეგრელმა გამოიგონა.

3-მე. ჩიჩილაკი ბუხრის თავზე უნდა იყოს... მეგრელმა რა იცის?

1-ლი. რავა, შენ გგონია სამეგრელოში ჩიჩილაკი არ ვიცით! ჰაი, გიდი! ბაბუას წვერებივით თეთრ ხუჭუჭა ნათალს რომ დავაყრით მაღალ თხილის შტოს... მერე რომ მოვრთავთ კუნელით, წითელ მძივებათ რომ შემოევლება და კრიალოსნებივით რომ ჩამოვკიდებთ, სუროს მწვანე ფოთლებით რომ შევმოსავთ, შულო აბრეშუმს, აცმა უნაბს და სხვადასხვა ჩირებს რომ ჩამოვაცმევთ, ზედ წვერზე კიდევ ოთხჭდეულად ვაშლებს და ბაზარში ნაყიდ ფორთოხალს რომ გავუკეთებთ, მერე კიდევ ამ ვაშლებში ცინცხალ აბაზიანებს რომ ჩავარჭობთ... რა იცი შენ?

2-რე. ბიჭო, თქვენ მდიდრები ყოფილხართ: თითო ვაშლში თუ თითო აბაზიანი მოხვდა ოთხჯერ, ოთხი ვაშლი და ფორთოხალი კაი ოთხი მანეთი გამოდის!

1-ლი. აა, მიანგარიშა ახლა ქონება!

3-მე. თხაპარია მეგრელმა თუ ჩიჩილაკის რამე იცოდა;
არ მეგონა სწორედ...

1-ლი. ახლა გურულებზე ნუ მალაპარაკებ!
გიორგი. (შემოვიდა) გამარჯვება თქვენი!
ხმები. ომ, გიორგი, გიორგი!
გიორგი. რა, გურულ-მეგრელობია კიდევ არ დაივიწყეთ?
სილიბისტრო. აჲ, ეგენი ხუმრობენ, თვარა ჩვენში გურულ-
მეგრელობიას რამდენი ხანია მოუკვდა დედა...

დომენტი. გურულ-მეგრელობია კი არა და... ეს სომხები
ასე საოცრად რომ შეიცვალენ, პირდაპირ სასწაუ-
ლია.

კოთე. დიდი საქმე ქნა, დიდი, ხელმძღვანელმა... განსაკუთ-
რებით ამ „საწყალ მუშის“ გასვენების მოწყობით.

გიორგი. ორ რამეში ერთი დაკვრით გავიმარჯვეთ: პირ-
ვლი—მაგ სომეხი მუშის ასეთი გასვენებით, სომეხ-
საც და ქართველ მუშებსაც შევაგნებინეთ, რომ
ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, მუშათა კლასის წარმო-
მადგენელნი და ეროვნება აქ არაფერი მოსატანია;
მეორე—თვითონ მუშებშიაც და დანარჩენ საზოგა-
დოებაშიაც ავამალლეთ მუშის საზელი. ჭვეუანას და-
ვანახვეთ, რომ მუშაც ადამიანია და იმასაც ისეთი
პატივისცემა მართებს, როგორც ყოველ პატიოსან
მოქალაქეს.

სევერიანე. არა, ეგ, რაც მართალია, მართალია! ხელ-
მძღვანელის ჩამოსვლის შემდეგ, თავს ამაყად
ვგრძნობ... მუშის სახელწოდება აღარ მეთაკილება.

მიხა გაბუნია. აგერ არ ვარ!.. ახლა მუშის სახელწოდება
რომ ვინმემ წამომაყველროს, ზედ არ შევაკვდები!

ზევარ. ისინიც კი კარგათ მუშაობენ. ა, ეგერ ის სომ-
ხის ბიჭები: ხაჩიკა და ვართან.

დომენტი. ეგერ კოტე? კამბულა?

კოტე. მიშა ხირიმიანცი?

თეოფილე გოგიბერიძე. ო, ხირიმიანცი, ეს ყველაზე უფრო შეგნებული მუშაა.

სილიბისტრო. ადამიანების შერჩევა იცის ჩვენმა სოსომ, ეს ცხადზე უცხადესია.

დომენტი. ოო, შერჩევაზე ნულარ მეტყვი. ამას წინედ დამავალა, რომ მელროვეებიდანაც შემერჩია. ერთი 5—6 მუშა და მოშევანა მასთან მოსამხადებლად. გამოვნახე ასეთი მუშები და მისივე რჩევით გზა ჯვარედინზე დავაყენე, თან ტროსტების შერჩევა დავიწყეთ, იქვე იდგა გამყიდავი...

1-ლი. ოო, ტროსტი ძაან მიყვარს, ძმაო...

2-რე. ა, აგერ არ მაქ, შვინდისაა ნამდვილი.

3-მე. მაი შვინდი კი არა, თხმელაა ნალდი, აგერ, ა, მოფ-ხიკე...

სილიბ. მოიცა, კაცო! მერე, მერე, დომენტი.

დომენტი. ჰო და სანამდი მუშები ტროსტებს არჩევდნენ, ხელმძღვანელმა ჩამოიარა, აათვალიერ-დაათვალიერა ისინი, შემდეგ გამიხმო და მიმითითა ერთზე:— „ეს კაცი არაა სანდო მუშები დაითხოვე, რამე მოიმიზე-ზე, დღეს კრება არ შედგებაო“. მე გამიკვირდა, რადგან არ კაცი ჩვენი მეტიელა იყო...

სილიბისტრო. ოო, ნამდვილი, ნამდვილი! ვაცხოსე მამა მისი, ძალიან არ შეუმჩნევია...

დომენტი. რატომ, კაცო? . ერთი ლოთი ბიჭია, სხვა რა! ასეც უთხარი ხელმძღვანელს, მაგრამ ერთი ისეთი შემომხედა თავის დინჯი და ჭკვიანი თვალებით, რომ მივხვდი, ამ კაცმა მეტიელას შინაარსის უკეთ იცის-მეთქი და დავშალე კრება.

სილიბისტრო. გასწი იქით შენი მეტიელა. არაა წმინდა სული!

კოფე. ეგ რა არის! ერთ დღეს ხელმძღვანელმა გადაცმული გოროდოვოი გამოიცნო...

ოსმან. ერთ ჩვენ ამხანაგს კიდევ რა უყო თურმე, იცით?...
ცოლზე ჰქითხა — სანდოაო? შემდეგ რომ ნახა, ახედ-დახედა თურმე ქალს და ლიმილით თქვა — „სანდო ყოფილაო“ და მართლაც, ახლა ყველამ ვიცით იმ ქალის ერთგულება ჩვენ საქმეში.

1-ლი. დიდი გამჭრიახი კაცი ყოფილა, ძმაო, დიდი...

გიორგი. ასე რომ არ იყოს, დღეს ამ თერთმეტი წრის დარჩეული წარმოშალგენლები კი არ იქნებოდით...
წრეები სულ არ იქნებოდა, ახლა კი ყველა ქარხა-ნაში კავშირია გაძმული.

ოსმან. მართლა, როგორაა ფულის მოხიკვის საქმე?

ზევარ. რომელი მოხიკვის, რას ლაპარაკობ?

კოფე. უგ უთუოდ იმაზე ლაპარაკობს... წრეებში თითო
აბაზი რომ დავადგინეთ კაცის თავზე შემოსატანი...

სილიბისტრო. ჰომ, ის იქრიბება ზუსტად და კოწიას აქვს
ჩაბარებული.

გიორგი. ეს რა არი, ბიჭო, ამდენი ბოთლები, მართლა
ღვინო მოგაქ?

სილიბის. ჰე, ისეთი ღვინო მაქ, ისეთი, რომ ნამდვილი
ჩხავერია...

დომენტი. ვახტანგ გურიელსაც არ ექნება დღეს მაგის-
თანა, არა?

ალათი. (გაიცინებს) ეგ მართალია... არ ექნება. ნახევარი
წყალია.

გიორგი. ოჰ, კიდევ კარგი, თორემ მეწყინა სწორედ... ჩვენ
აქ რაზე ვართ შეკრებილი და... ახლა სილიბისტრო
ლომჯარიამ თუ მართლა ნამდვილი ღვინო დაგვა-
ლევინა...

დესპინე. არა, ბატონი... საქეიფოდ საქმე არ გვაქვს
ჯერ...

გიორგი. ოჰ, დესპინე! მოდი აქ... ივლიანე საღაა?
დესპინე. ივლიანე! მოდი აქ (სამივენი: გიორგი, დესპინე და
ივლიანე განჩე მიდგებიან და რაღაზეც თათბირობენ).

სევერიანე. დღეს ნეტავი რა საკითხები გვაქვს გასარ-
ჩევი?

ზევარ. ჰა, ჰა! წესრიგს უკვე დაეჩვიე?

სევერ. მე ასე მაქ ჩემ წრეში... საკითხები წინდაწინაა
ჩამოწერილი და მერე ვმსჯელობთ.

ზევარ. ჰო და ყოჩალ!.. დღეს კი ჯერ ჩვეულებისამებრ
მოვისმენთ ხელმძღვანელის საუბარს და მერმე გადა-
ვალთ მორიგ საკითხებზე...

კოტე. დღევანდელ საკიონებში მთავარი მანთაშევის ქარ-
ხანაში სტაჩის მოწყობა უნდა იყოს... რა ქვია
ქართულად?

ზევარ. გაფიცვა.

კოტე. ჰო და რა... დრო არ არი თუ... რამდენჯერ მი-
თქვამს, თქვენ, როტშილდთან მომუშავეები, ჩვენთან
ბატონიები ხართ...

1-ლი. მაინც რაც ეს ოსმალეთიდან გადმოხვეწილი მუ-
შები ჩამოიყვანა მანთაშევმა...

ზევარ. ო, ეგ ამბავი დომენტის უნდა მოაყოლო. დომენ-
ტი, დომენტი, როგორ უთხრა მანთაშევმა სომეხ
მუშებს?

დომენტი. ოჰ, რამდენჯერ მითქვამს, შე-კაცო?

ზევარ. არა, არა, თუ ძმა ხარ! აქ ბევრია ისეთი, რო-
მელთაც არ იციან.

დომენტი. როგორ არ იციან, რომ მანთაშევმა სომეხი
მუშები ოსმალეთიდან ჩამოიყვანა, საღაც მაშინ
სომხებს აწიოკებდნენ... ჩამოიყვანა, სამუშაო გაუჩინა

თავის ქარხანაში და ცალკე ბარაკშიც მოათავსა: ჰო და აძითი ერთგვარად მოიმაღლიერა გაუბედუ- რებული ხალხის გული, თანაც თურმე ასეთი საუ- ბარი გაუმართა: მე სომეხი ვარ, თქვენც სომხები- ხართ. ჩვენ ერთმანეთის ძმები ვართ, ჩემი სიკეთე- თქვენი სიკეთეა. ამიტომ სამუშაოზე ცოტა ადრე გამოდით, სამუშაოდან ცოტა გვიან გადით. სამა- გიერო პატივისცემა მე ვიცი და მართლაც... აგერ- კოტემ იცის, რა პატივისცემასაც უწყობს.

სევერ. ეგ ყველამ ვიცით, რომ კვირაობით მანთაშევი- მუშებს ცხვარს უკლავს, სუფრას უშლის და ლვი- ნოსაც გადაკვრევინებს.

ზევარ. შეუგნებელ მუშებს ეს მოსწონთ და ზედმეტ საა- თებსაც მუშაობენ, კვირაობითაც არ ისვენებენ.

სევერ. ახლა როგორ გინდათ საქმეს ვუშველოთ?

ზევარ. გაფიცვა უნდა მოეწყოს...

კოტე. მოთხოვნილება უნდა წარედგინოს ქარხნის ადმი- ნისტრაციას...

სევერ. რას თხოულობთ?

დომენტი. სულ სამი მუხლია 1. მოისპოს ღამე მუშაობა. 2. შემოლებულ იქნეს დასვე- ნების დღე.

3. ზრდილობიანი მოპყრობა.

ზევარ. ეს, რასაკვირველია, საბოლოო არ არი... დღეს ხელმძღვანელთან ერთად უნდა დავამუშავოთ.

სევერ. კარგი და მუშები ამისთვის შეამზადეთ?

დომენტი. ოო, ჩვენი წრის წევრებმა ამ მოთხოვნილება- ზე დიდი აგიტაცია გასწიეს მუშებში.

კოტე. ამაში დიდი დახმარება გაგვიწიეს სომხის მოწი- ნავე მუშებმა. დიდი გამოხმაურება პპოვა ამ მოთ- ხოვნილებებმა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან-

თაშევის მუშები უკვე მზად არიან სტაჩქისათვის - .
ეხლა მხოლოდ ხელმძღვანელის აზრი გვინდა, თუ რო-
გორ და რანაირად...

ზევარ. ე, ქალო აღათი! ლილოსი! ძალლმა მიუყეფა!..
თქვენ არ ხართ მიმღები? გახედეთ! (ლილოსი გადის).

1-ლი. გუშაგებათ ვინ დგას დღეს?

2-რე. პორტირე ლომჯარია და ქიშვარდი ცერცვაძე.

აღათი. და პატარა ვარდენი.

სევერ. ვარდენი რომერ ია?

აღათი. ა, ელიშუქის ბინაზე რომაა ობოლი ბიჭი.

ზევარ. საწყალი ელიშუქი! აფსუს, რომ დღეს ჩვენთან არ
არი...

2-რე. რავა, კიდევ დაჭერილია?

ზევარ. არ გამოუშვეს. ვიღაც დიდი კაცი ჩარევია საქმე-
ში და მისი მეოხებით.

2-რე. რავა, ის დიდი კაცი უწყობს ხელს ელიშუქის და-
ტუსალებას?

ზევარ. ეტყობა, მაგრამ რაიმე საშველს აქაც გამოვუნა-
ხავთ ჩვენი ხელმძღვანელის მეოხებით.

ლილოსის მოყვება ნესტორი

ომ, ნესტორ, სად ხარ აქამდის?...

გიორგი. (თავის ჯგუფს) ასე რომ, თუ საჭირო იქნება, რო-
გორც კი სოსო დაბრუნდება თბილისიდან, საჭირო
შრიფტს და სხვა ხელსაწყოს ჩამოიტანს და მე ვფი-
ქრობ უმჯობესი იქნება, რომ თქვენთან მოვაწყოთ
ჭაობში... მივარდნილი ადგილი, შეუმჩნეველი.

დესპინე. მაგაზე ლაპარაკი არაა საჭირო... რაც კი დას-
ჭირდება ჩვენ საქმეს, მე და ივლიანე, თუ რამეში
გამოვდგებით, აბა მეტი რა უნდა გავაკეთოთ!

გიორგი. ყოჩალი ხარ, დესპინე, ყოჩალი... შენი იმედო გვაქვს.

2-რე. ეე, კიდევ მიაყეფა ძალლმა. რას უყურებენ ეს ჩვენი გუშაგები? თუ ძალლი გვდარაჯობს?

ნესტორ. მე რომ მკითხო, აქ სულ არაა გუშაგები საჭირო... ვინ მიაგნებს სილიბისტრო ლომჯარიას ბინას, აგრ ვართ საღაცა სოუქსუს სასაფლაოსთან გადმოკარგული.

მე-3. აჲ, მაგას ნუ იტყვი.

ნესტორ. მერე კიდევ ახალი წელიწადი ლამეა, სუფრა გვაქვს გაწყობილი და ვინ რა ეჭვს აიღებს... აქ კიდევ ამ სახლში თუ ვინმე სხვა მუშები იყო, საახალწლოდ სოფლებში წასულან...

2-რე. ნუ სულელობ! მაგისთანა გუშაგები ძუდამ საჭიროა... წრეების მეცადინეობაზე ხომ გვყავს...

1-ლი. იქ სხვაა... იქ საიდუმლო საკითხების დამუშავებაა მეცადინეობაა.

მე-3. არა, ხელმძღვანელს უთქვამს, წესრიგს უნდა შევეჩვითოთ. ამაზე რაღაც სხვა სიტყვას ხმარობენ.

2-რე. მე ვიცი, „დისციპლინა“!

მე-3. ჰო და, როგორც ჯარია გაწვრთნილი და დარაზმული, ისე უნდა ვიყოთ თურმე ჩვენც.

ნესტორ. მხოლოდ თვითონ რომ იგვიანებს ხელმძღვანელობს კი მაკვირვებს, ა, დომენტი?

დომენტი. არათერსაც არ იგვიანებს. იმას წესად აქვს შემოლებული: არც ადრე, არც გვიან. სწორედ თავის დროზე. ჩვენ მუდამ გვარიგებს, რომ მისი მოსკლისათვის მუდამ ყველანი თავმოყრილი ვიყოთ, იმას თავისი დროც ეზოგება და სხვისიც. ა, აგრ საათი: საცაა გაჩნდება...

ლილოსი მოუძღვის. შემოდის ახალგაზრდა სტალინი
და ჟარახველიძეები

სტალინი. გამარჯვებათ, ამხანაგებო!

ჟველანი. გამარჯვება!

ზევარ. (გულებ მჯიხს ირტყამს) რაც ეს სიტყვა მე ნახა-
რია!

გიორგი. რა?

ზევარ. სიტყვა „ამხანაგებო“.

სტალინი აბა, დავიწყოთ.

ნესტორ. დღის წესრიგში დგას: ბათომის სოციალ-დემო-
კრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მანგა-
შევის ქარხანაში გაფიცვის მოგვარება.

სტალინი. ამხანაგებო!..

VI. კლუბი. საერთო დარბაზი. შუაზე დიდი სუსრა. მის გარ-
შემო ბათომის ბოძოდები. ცალკე კუთხიერში კიდევ სუს-
რები და დარის გამტარებლები.

ჭიკოვი. ბატონებო! უკვე შესრულდა თორმეტი საათი...
აბა, სად არის შამპანიური (ვეღროებში ჩადგმული
ბოთლები მოაქვთ მაასურებს) მაშ ეხლა ვუსურვოთ
ერთი მეორეს ყოველივე სიკეთე და მივულოცოთ
ახალი წელი. ახალი ბედნიერება, ახალი სიხარული!
(ჟველანი წამოდგებიან, ჭიკებით ხელში ულოცავენ ერთი
მეორეა) მხოლოდ, ბატონებო, ეს მოლოცვა უნდა
აღვბეჭდოთ ერთი მეორის კოცნით, განურჩევლად
სქესისა.

ფატი. ოჰ, ვლადიკ, რას არ მოიგონებ...
ხმები. რატომ, რატომ, მშვენიერია! თანახმა ვართ, თანახმა!

ჭიკოვი. და რომ არავის მორიდება არ იქონიოთ, ამიტომ პირველად მე ვკოცნი ჩემს მომხიბვლელ მეზობელს, ზინაიდა ეფრემოვნას და ვულოცავ ახალ წელს... (საერთო კოცნა).

ჭიჭიკო. (ფატის) მე კი ნება მიბოძეთ ხელზე გეამბოროთ.

შარლ დობინიე. რატომ? საერთო წესს თქვენც უნდა დაემორჩილოთ...

ჭიჭიკო. ამ შემთხვევაში ვერა, რადგან საჯარო კოცნას გემო არა აქვს...

დათა. მართალი ხარ. მოჩუმათებული სჯობია...

შარლ დობინიე. ფატმა გეორგიევნა, თქვენ რას ბრძანებთ?

ფატი. მე კმაყოფილი ვარ ბატონ ჭიჭიკოს საქციელით, მხოლოდ ეს კი მგონია, გულწრფელი არ არის...

ჭიჭიკო. ქალბატონო ფატი! ჩვენი ხალხი ამბობს:

სიყვარულსა მალვა უნდა,
ვითა ცხენსა ნაპარევსა,
თუ გამჟღავნდა, გჰოვა უნდა,
ვითა ძმასა საყვარელსა!

ფატი. რომელ სიყვარულზე ბრძანებთ?

ჭიჭიკო. განა შეიძლება, ქალბატონო, თქვენს ახლოს იყოს ადამიანი, ოქვენ შემოგცეროდეთ და ლვთაებრივ გრძნობით არ გაიმსჭვალოს?

ფატი. ო, ჰო, ჰო!

ზიკოვი. ბატონებო! ეს ძალიან კარგად მოვიფიქრეთ,
რომ ახალ წელიწადს აქ ვატარებთ, ამ საზოგადო
საკრებულოში. ბათუმი მშვენიერი ქალაქია, ბუნებით
ლამაზი და დიდათ მომავლიანიც... მე ძალიან მოყ-
ვარს... ბათუმში მე ბევრი სიამოვნება მიგემნია,
მაგრამ...

1-ლი. (ჟორჟ მაგიდაზე) რა თქმა უნდა უგემნია. საბაჟოს
უფროსია და ხომ იცი, გასივდა ქრთამებით...

ქალი. ოპ, რა კვიმატიანი ენა გაქვს, ყმაწვილო!

2-ჩე. შოიცა, ჩუმად... არ გაიგონოს...

ზიკოვი. (თავის სუფრაზე განაგრძობს) ეს ასეა, მაგრამ ვიმე-
ორებ, რომ ბათუმი მაინც პროვინციის ქალაქია...
ამას არავის საწყენად არ ვამბობ... და, რასაკვირ-
ველია, არც არავითარი ისეთი თავის გასართობი:
არა გვაქვს, რომ სულიერი კმაყოფილება მივიღოთ!
ჩვენ შორის ყველანი მოუკლელნი ვართ და იშვია-
თად ვიკრიბებით ხოლმე. აქ ბრძანდებიან ჩვენი
საპატიო უცხოელი ქვეყნის სტუმრები, კონსულები,
უცხო ფირმათა წარმომადგენელნი და ჩვენთვის
დიდათ სასიხარულოა ამათთან დღეინდელ დღეს შე-
ხვედრა... ამიტომ შემომაქვს წინადადება: ამაღამ-
დელი ღამე გავხადოდ ექსპრომტათ მუსიკისა და
ლიტერატურის სალამოთ! ჩვენ შორის ბევრია ისე-
თი, რომელიც მღერის, უკრავს, ცეკვავს, მხატვრუ-
ლად კითხულობს... ნუ დავიშურებთ ჩვენ ჩვენს
ნიჭისა, ბატონებო!

ხმები. — მშვენიერია! მისალებია!

— ყოველივე ექსპრომტი, მუდამ-უამ უფრო ხალი-
სიანი გამოდის ხოლმე...

— მივიღოთ, მივიღოთ.

ზიკოვი. მაშ ჩვენი პირველი არჩევანი ხვდეს ბოშურ სიმ-
ლერების მშვენიერ მომღერალს, ჩემს მომხიბვლელ
მეზობელს ზინაიდა ეფრემვნას...

ხშები. ოო, ვაშა, ვაშა! მშვენიერია! (სიმღრა)

დათა. (დაინახავს მეტიელას მეორე სუფრაზე) ოო, ყმაწვილო!
მოდი აქ .. ძაან გამოწყობილხარ... გასაყერყეჩებე-
ლია! სალეკუროდ მესტებიც გაცვია... შენ იცი თუ
ამაღამ მასახელებ.

მეტიელა. თუ რამეს ვასიამოვნებ... თავს დავიზოგავ?...

დათა. ბიჭო, რა ლმერთი გაგიწყრა? მართალია, რომ
აზნაური კაცი მეღროგე ხარ?... გასაყერყეჩებულია!

მეტიელა. რა ვქნა, კნიაზ დავით... სიღარიბე, გაჭირვება,
ჩვენი ოჯახის ამბავი ხომ მოგეხსენება, მარა ახლა
ვშოულობ მგონია უკეთეს ადგილს...

დათა. აჲ, მეღროგეობა რავა გეკაღრება!.. გასაყერყეჩე-
ბელია!. მართლა, ბიჭო... შენ ნამდვილად გამო-
დგები.. რუსული წერა-კითხვა ქე იცი მეონია...

მეტიელა. კი, ბატონო... პოჩერკი მაქ კარგი...

დათა. ჰო და.. გასაყერყეჩებელია! პრისტავი ჩხიკვაძე
მეუბნებოდა ამასწინათ.. კანცელარიაში ჭირდება
ერთი მარჯვე ყმაწვილი... რუსულიც რომ იცოდეს
და სხდადასხვა დავალებაც რომ შეასრულოს... გასა-
ყერყეჩებელია! ხომ მიხვდი...

მეტიელა. კი რავა არა, მარა ნატარიუსი დამპირდა ად-
გილს და.

დათა. აჲ, ნატარიუსი რა ოხრათ გინდა!.. პოლიციაში
სამსახურს რა სჯობია. გასაყერყეჩებელია! მერე
მალე დაწინაურდები.. ბოლოს პრისტავობასაც
მოგცემენ... ვეცდები ჩვენ უჩასტკაში გადმოგიყვა-
ნონ იქ, გურიაში. რას ამბობ შენ? გასაყერყეჩებე-

ლია! პოლიციაში თავად - აზნაურობის ერთგული ხალხია საჭირო... ამაზე უკეთესს რასს გააკეთებ... ა? გასაყერყეჩებელია! რავა იტყვი?

შეტიელა. რა ვიცი, ბატონო, თქვენ ბრძანებას რავა გაღიაუვალ, მარა.

დათა. ა, რა იყო, ფატი? ახლავე: (მეტიელას) კარგი, კარგი. შემოიარე ჩემთან სასტუმროში და ამაზე სერიოზულად მოვილაპარაკოთ ახლა კი აბა, ლეკური, ლეკური. გასაყერყეჩებელია! აბა, აბა, მასახელე, მეტიელა! (ლეკური)

ისევ ლამჭარიაჲა.

ახალგ. **სტალინი.** ...და აი მიმოიხედეთ თქვენ ირგვლივ: აი აქ დგანან ქარხნები, ფაბრიკები, სახელოსნოები, გემები. ვინ შექმნა ყოველივე ეს? ვის მოჰყავს მოძრაობაში ყოველივე ეს? ეს შეჰქმნეს მუშებმა, ეს ააშენეს მუშებმა, ეს მოძრაობაში მოჰყავთ მუშებს თავისი საკუთარი ხელით, თავისი კუნთებით, თავისი ოფლით, ხოლო ვის ეკუთვნის ყოველივე ეს? ვინ სარგებლობს ყოველივე ამით? ყოველივე ეს ეკუთვნის და ყოველივე ამით სარგებლობს სხვა. მისი სახელია თვითმშერობელობა, მისი სახელია კაპიტალიზმი, მისი სახელია მემამულე, მისი სახელია — ხუცესი.

1-ლი. მაშ ყველა ეს ჩეენი მტრებია?

ზეგარ. მოიცა, კაცო.

სტალინი. მუშას კი თავის მტრებთან — თვითმშერობელობასთან, კაპიტალისტებთან, მემამულეებთან ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა აქვს. ეს გზაა მტკიცე, მებრძოლი, შემჭიდროვებული, დისკიპლინებური მუშათა პარტიის შექმნა. თქვენში უკვე არსე-

ბობს ასეთი ორგანიზაციის საძირკველი. ეს არის მუშათა წრეები ცალკეულ საწარმოებში, რომლებიც საჭიროა აქლა გავაერთიანოთ ერთ მძღავრ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათ. გაერთიანებულებმა კი ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ ვინც ჩვენ გვჩაგრავს და რუსეთის მუშათა კლასთან ერთად წითელი დროშებით წავიდეთ მტრის წინააღმდეგ, რათა გამარჯვებულნი დავბრუნდეთ ბრძოლის ველიდან.

ზევარ. გვიბრძანე, ხელმძღვანელო და ჩვენ მზად ვართ ბრძოლისათვის.

ბმები. მოიცა, ყური დაუგდეთ.

სტალინი. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ მოგვიხდება მძიმე და კლდე-ლრეებიანი გზით სიარული. თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლა მოითხოვს მსხვერპლს. მსხვერპლის კი ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს და თუ რომელიმე ჩვენგანი მსხვერპლს მოერიდება, ის რევოლიუციონერი ვერ იქნება. სიმართლე ჩვენსკენაა. ჩვენი განთავისუფლება ჩვენზეა დამოკიდებული. ვიყოთ ბრძოლაში გაბედული და მედგარი. ის ვინც ბრძოლაში დაიღუპება, მას ისტორია და ჩვენი მომავალი თაობა ქება-დიდებით მოიხსენიებს და უკვდავ ძეგლს დაუდგამს. დაე შევწიროთ ჩვენი სიცოცხლე მუშათა განთავისუფლების საქმეს.

შიხა გაბუნია. მე აღარ მინდა მოვკვდე ჩემს ლოგინში, როგორც უბაღრუკი მშიშარა, მთელი ჩემი ძალანე, მთელი სიცოცხლე ამ ბრძოლას უნდა შევწირო.

ზევარ. ვფიცავ ამ ბრძოლას შევწირო ჩემი დღენი.

ყველანი. ვფიცავთ, ვფიცავთ...

ხილიბისტრო. ცოტა ნელა... (პაუზის შემდეგ) ნუ გვავიწყ-
დება. რომ თავი ისე უნდა გვეჭიროს თითქო ჩვენ
მხოლოდ ვმხიარულობთ, ვსვამთ და ახალ წელს
ვეგებებით.

ზევარ. უკეთესი ახალი წელიწადი არასოდეს არ გამოე-
ნებია... ამაზე უფრო სამხიარულო რაღა მექნება!
დღეს ამეხილა საბოლოოდ თვალები, დღეს ვიცი
ვინც არის ჩემი მტერი, დღეს ვიცი ვისაც ვებრძო-
ლო და რანაირად. ის რაც ჩემთვის აქამდე მიჩქმა-
ლული, დამალული იყო დღეს გავიგე, მტერი გა-
მოვძებნე, მაგრამ მოყვარეც ვიპოვე... აქამდის თუ
სხვა ეროვნების მუშები ჩვენ მტრად მიგვაჩნდა,
ეხლა უკვე ვიცით, რომ ქართველიც, სომეხიც,
თურქიც და ბერძენი მუშაც, ყველა ერთნი ვართ,
ერთი კლასის წარმომადგენელნი... ამაზე უკეთესი
სიმხიარულე რაღა მექნება—მოიტა ეგ შენი წყალ-
მაჭარა ლვინო.

(მღ ერიან)

გ ლ უ ბ ი .

ჭიკოვი. და აი თქვენც უცხოელები მოვალენი ხართ,
რომ ადგილობრივ ველურ და ფანატიკოს ხალხის
მორჯულებას ხელი შეუწყოთ.

შარლ დობინიე. მე რომ მკითხოთ... მე კი მინდა ეს ქვე-
ყანა დარჩეს ველურად...

ჭიჭიკო. უკაცრავად, ჩვენი ქვეყანა ველური არ გახლავთ.
მას უცხოვრია დიდი კულტურული ცხოვრებითა-
ორი ათასი წელიწადი...

დობინიე. მე მაგაზე არ მოგახსენებთ... მე ვამბობ იშ-
პატრიარქალურ ცხოვრებაზე, რომელიც—ნუ მეტყ-
ვით უარს—აუცილებლად კიდევ არსებობს თქვენ-

ში ამ მეოცე საუკუნის განთიადზე. თქვენ უნდა ეცადოთ, რომ თქვენს მშვენიერ ქვეყანას, თქვენს მკვირცხლსა და ლამაზ ხალხს ევროპეიზმი არ შემო- გვაროს... თორემ ევროპეიზმი წაშლის ამ სახეს...
დათა. გასაყერყეჩებელია! მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ დალოცვილო, თუ დაგვლუპავთ თქვენ დაგვლუპავთ...

ხმები. როგორ? როგორ? ეს ძალიან ორიგინალურია.

დათა. აქ ჩამოხვედით, დაგვიარსეთ ქარხნები და, რო- გორც ვატყობ ჩვენ ხალხს გვიღატაკებთ... გასა- ყერყეჩებელია! ჩვენი გლეხი აქამდე მიწასთან იყო მიბმული, ისინი და ჩვენ, მებატონები, ერთი მეო- რეში კარგად ვრიგდებოდით, ეხლა კი... ყველამ აქით მიაშურა: ბათუმი, როტშილდი, ნობელი, მან- თაშევი და... გასაყერყეჩებელია! გაღატაკდა წალ- ხი... მე ბევრი არ ვიცი, მაგრამ თქვენ ხელს უწყობთ, რომ ჩვენი ხალხი გაპროლეტარდეს და თუ აქედან კარგი არაფერი გამოვა, პასუხიც თქვენ უნდა აგოთ.

ფატი. ეს... გასაყერყეჩებელი იქნება, არა, დათა?

ზიკოვი. ჰა, ჰა, რა ხუმარა ხართ, კნიაზ დავით!

დობინიე. არა, ხუმარა კი არა მართალი ბრძენა და მეც სწორედ მაგას მოგახსენებთ... გაპროლეტარება დაგლუპავთ თქვენ...

ფატი. ძალიან ორიგინალი მოაზროვნე კი უნდა იყოს ეგ თქვენი თანამემამულე...

ნათანსონ. ო, დიალ... ეგ სკეპტიკოსია, ეხლანდელი ცი- ვილიზაციისა არა სწამს რა... ამბობს ინდუსტრია და ურბანიზმი დალუპავს ქვეყანასო... უან-უაკ რუს- სოს იდილია სჯერა და ამიტომ მიღის ველურობის ქადაგებამდე.

ჭიჭიკო. (დობინიეს) ვერ დავეთანხმებით, ბატონო. ჩემო...
ისტორიას თავისი კანონები აქვს, ეკონომიკას თა-
ვისი საფუძველი, და „არგარდავალს გარდუვალი“...
ღობინიე. თქვენ შარქსისტი ბრძანდებით?

ჭიჭიკო. არა, მაგრამ მეცნიერებისა მჯერა...

ღობინიე. და ეგ არის სამწუხარო... რომ შეიძლება
თქვენშიაც, ამ ჯერ ცივილიზაციის მიერ ნაკლებ
ხელ-შეხებულ ქვეყანაში, მომწიფდეს მუშათა სა-
კითხი, გაჩაღდეს კლასთა ბრძოლა და.. მაშინ
მშვიდობით აქაურ ქალაქების მყუდრრებავ... მე
ვამჩნევ, უყნოსავ, რომ თქვენს ცხოვრების უბიწოე-
ბას უკვე ბოლო ელება და შეიძლება ეხლაც, აი ამ
წუთას, როდესაც ჩვენ აქ ასე ლალად და განც-
ხომით ვატარებთ დროს, შეიძლება სადმე ჩვენ
გვერდით, მეტად მიწყნარებულ კუთხეში ყალიბ-
დება ჩვენთვის ისეთი საშიშარი ქმედობის რამ საწ-
ყისი, რომ გამანადგურებლად დაიგრგვინებს ყველა
ჩვენ თავზე. აქ არის წარმომადგენელი კაპიტალის-
ტური ხელისუფლებისა, მემამულეებისა და ბატო-
ნებო!

ფატი. ოჰ, რა საშინელებას გვიქადით, მუსიონ შარლ!

ნათანს. ო, ეგ ეგეთია მუდამ!...

ზიკოვი. ნამეტანი დაგვალონეთ, ძვირფასო მეგობარო...
ეი, მუსიკა, ვალს! (მუსიკა, ცეკვავეო).

ღობინიე. (თითქოს თავისოფის) და ასეა მუდამ... გახსოვთ
ვიქტორ ჰიუგოს ლექსი: არ იცოდნენ თუ მათ ფეხ-
ქვეშ ნიადაგი ირყეოდა, რომ ვულკანზე ისხდნენო...
ესენი ცეკვავენ, გაურბიან ველურობას და... ჰა, ჰა,
არ იციან, რომ შეიძლება აფეთქდნენ.

ლ ღ მ ჯ ა რ ი ა ს თ ა ნ

დავით. ა, ნესტორ? საკვირაო სკოლაში ჩხეიძე და რამი-
შვილს ამაზე კრინტიც რომ არ დაუძრავთ...

ნესტორ. ოჰ, დამანებე თავი...

სტალინი. ჰო, ბათუმში მომუშავე ინტელიგენტები, თავის
თავს სოციალისტებს რომ უწოდებენ? ჰმ.. ისინი
შეუძლებლად სთვლიან სოციალ - დემოკრატიულ
ორგანიზაციის შექმნას და მასიური ბრძოლის და-
წყებას თვითმპყრობელობასთან. ჩვენი ვალია ბრძო-
ლა გამოუცხადოთ ამ ლაჩრებს, რომლებიც თავი-
ანთი შემარიგებლობით და კლასთა მშვიდობიან
თანამშრომლობის ქადაგებით არამც თუ ხელს
უწყობენ მუშათა რევოლუციონურ მოძრაობის
ზრდას, არამედ აფერხებენ.

ჭევარ. უჸ, შენი ჭირიმე, შენი...

გიორგი. სოფელზე რას გვეტყვი, ხელმძღვანელო, სოფლის
მშრომელ გლეხობას რა ეშველება?

სტალინი. მოწინავე მუშების საშვალებით ხელი უნდა
მოვკიდოთ რევოლუციონური იდეების მშრომელ
გლეხობაში გავრცელების საქმეს, რომ ისინიც მჭიდ-
როთ ჩაგაბათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ქიშვარდი ცერცვაძე. სოფელთან კაუშირი მე დამავა-
ლეთ... ისეთი ბიჭები მყავს სოფლებში, რომ...

სმები. მე, მეც.

სტალინი. (ჭიქით ხელში) ეხლა კი ამხანაგებო, დავლიოთ
. ჩვენი ზასპინძლის სადღეგრძელო. თქვენ, სილებისტ-
რო უკვე ერთი საფეხურით აიწიეთ თქვენს სამსა-
ხურებრივ კიბეზე. ქარხნის აღმინისტრაციამ შავი
მუშიდან ნოჭრად გადაგიყვანად. აღმინისტრაციამ
თავი მოგიქონათ. იცოდეთ, სილიბისტრო, თავის

მოქონვით არ მოლბეთ და დამთმობი არ გახდეთ.
ეს გზა მოლიპული გზაა... აი ასე შოულობენ ფაბ-
რიკანტები თავიანთვის ერთგულ მახურთ, აი ასე
ამზადებენ ისინი შტრეივბრეხერებს, მუშათა კლასის
გამცემლებს. . თქვენ კი, ცხადია ესეთი არა ხართ
და... იცოცხლეთ! ეხლა კი ვუშედეროთ ჩვენს სილი-
ბისტროს თქვენებური ხასანბეგურა. (სიმღერა)
სილიბის. ეხლა კი ნება გვიბოძე დავლიოთ შენი სადღე-
გრძელო...

ხმები. ოჰ, უსათუოდ, უსათუოდ, რამდენი ხანია დროა...
სილიბის. ამხანაგო სოსო, შენ პირველი ჩირალდანი ხარ
ბათუმის მუშებისათვის...

დომენტი. არა, სილიბისტრო, მარტო ბათუმის მუშების
კი არა თბილისისაც და საერთოდ შთელი ჩვენი
ქვეყნის მუშებისა...

ზევარ. ამხანაგებო! ხელმძღვანელმა არ გვასწავლა, რომ
ჩვენი დარაზმა ეხმარება საერთოდ ყველა ქვეყნის
მუშების საქმეს?... რომ ჩვენ მარტო რენ საქმეს კი
არ ვაკეთებთ ამითი, არამედ გვერდში ვუდგებით
რუსეთის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასს?.. აი
რა მხიბლავს მე... აი რა დიდ საქმეს შევუდექით
თურმე...

სილიბის. პო და რომ არ მაცლით?... მეც მაგას არ ვამ-
ბობ? ეგ არის ჩირალდანი ჩვენში ამ საქმისა და
ამიტომ უნდა ვუსურვოთ, რომ ასევე ნათლად გაუ-
შუქოს გზა საერთოდ მუშათა კლასს მრავალი,
წლების განმავლობაში (მრავალეამიერ).

სტალინი. აი, უკვე თენდება! დროა დავიშალნეთ. მალე
მზეც ამოვა! გაივლის წლები და ჩენ მოვესწრებით
იმ დღეს, როდესაც თავისუფლების მზე სამუდამოდ
ამობრწყინდება, მაშინ ჩვენ მოვიპოვებთ ყველა

უფლებას და თავს დავალწევთ ამ აუტანელ მღვო-
მარეობას. მაშინ არ იქნება მუშათა ექსპლოატაცია,
კლასობრივი ბრძოლა და გაიმარჯვებს საყოველთაო
შრომა, სასიხარულო ცხოვრება.

ყ ა რ დ ა

მოძრავი მეოთხე

სასტუმრო ღთახი ზიკოვისას

ცაბუ. (უზის კარგად გამოწყობილ ბავშვის კალიასკას, მეორე ხელში უჭირავს აგრეთვე სუფთად გამოწყობილი ბავშვი თავისი და ძუძუს აწოვებს. მღრრის).

შოუ ნანა, შოუ სქუა,
ცაშა მეგიჭოფუ სუა!

ხერიოფა. (მერე კლასის გიმაზისტი, სიჩქარით შემოდის წიგნებით ხელში. მის შემოსვლაზე ცაბულომ ძუძუები დაიმალა და წამოდგომას აპირებს) ოჰ, უკაცრავად!.. არა, არა, იყავით... მე აქ ცოტას წავიმეცადინებ, თქვენ ხელს ვერ შემიშლით — (მოუჯდება მაგიდას და თავის საქმეს ჩაულრმავდება).

ცაბუ. (ჯდება. ბავშვს აქანავებს, აძინებს).

ფატი. (შემოვიდა) აჸა, სრული სიმშვიდეა... იდილია!...

ხერიოფა. (ყველრებით შეხედა დედას).

ფატი. (მიუახლოვდა სერიოფას მაგიდას, დახედა) რას აკეთებ?...

ხერიოფა. არა, დედა, ამას ნუ დახედავ თუ გიყვარდე...

ფატი. რა არას ამისთანა? სასიყვარულო ბარათი?

ხერიოფა. დედა, ხომ იცი, რომ სასიყვარულო ბარათებს — მე არა ვწერ...

ფატი. მაშ რა!.. პოლიტიკური ეკონომიკა... მუშათა საკითხი...

ხერიოფა. ნუ იცინი დედა!.. მომიტევე, მაგრამ შენ არ გესმის, ეგ ძალიან სერიოზული საკითხებია...

ფატი. მე არ გეკამათები, მხოლოდ... დიდათ მეწყინება-
თუ შენ... გიმნაზიაში რაღაც ჯგუფი ყოფილა...
დირექტორმა გამაფრთხილა ამას წინედ... თუ შენც:
ამ ჯგუფში მონაწილეობას ღებულობა...

სერიოჟა. რა ჯგუფი, რომელი ჯგუფი?

ფატი. არა, მე კი ნუ მატყუებ... ხომ იკრიბებით ამხანა-
გები ერთად... მაშინ რაზე გაქვთ სჯა - ბაასი... სა-
ხელმწიფო საკითხებზე თუ ..

სერიოჟა. ამხანაგები, რასაკვირველია, ვიკრიბებით.

ფატი. პო და გირჩევ... განსაკუთრებით ერთი გურული
ყოფილა თქვენთან გიმნაზიაში, არ ვიცი რომელ
კლასში, მაგრამ დიდი მეტიჩარა ბიჭია თურმე...
გვარი ალარ მახსოვე... და არ მინდა იმას ამხანა-
გობა გაუწიო .. შენ იმასხან კი არ უნდა დაძრწო-
დე, შვილო, შენ სულ სხვა მომავალი გაქვს... აი
გიმნაზიას, რომ დაამთავრებ, წრეულს უკვე სტუ-
დენტის ქუდს დაიხურავ... იცი ეს ჩემთვის რა ბელ-
ნიერებაა.

სერიოჟა. ვიცი, დედა.

ფატი. პო და შემდეგ უნივერსიტეტს რომ გაათავებ, არ-
მაშინ მართლა მოგიხდება სახელმწიფო საკითხებზე
ზრუნვა. მხოლოდ სულ სხვა მიმართულებით, ჩემო.
კარგო... ნუ დაივიწყებ, რომ შენ ზიკოვის შვილი
ხარ, ჭეშმარიტი რუსი პატრიოტის შვილი!... მანამ
კი ეცადე ეგზამენებისათვის კარგი მომზადებული-
იყო და... საერთოდ იფიქრე საკუთარ სიამოვნები-
სათვის... (გადაჯედა ცაბუს, გავიდა).

სერიოჟა. ჰმ... ზიკოვის შვილი!... მერე და ხალხს რომ:
უჭირს!... ა, ძიდა რას იტყვი შენ?

ცაბუ. რა ვიცი, ბატონი!

სერიოჟა. როგორ? ხალხს რომ უჭირს ეს არ იცი?

ცაბუ. ოა ვიცი, ბატონო, ზოგს უჭირს და ზოგს არა...
სერიოჟა. აი შენ, ძიძა, გაჭირვებული არა ხარ??.. (სიჩუმე)

თქვენი ოჯახი გაჭირვებული არ არის?

ცაბუ. ო, ჩვენი ოჯახი... ძალიან, ბატონო... ახლა მაინც...
სერიოჟა. რატომ ვითომ მარტო ახლა და არა ყოველ-
თვის...

ცაბუ. არა, ბატონო, ახლა ჩემი ქმარი დაჭერილია და...
სერიოჟა. ქმარი დაჭერილი გყავთ?.. მე ეს არ ვიცოდი...
რაზე?...

ცაბუ იქ ქარხანაში უსიამოვნება მოუვიდა.. უფროსს
სცემა...

სერიოჟა. აჲა... გასაგებია... მერე დიდი ხანია, რაც და-
ჭერილია?

ცაბუ. კარგი ხანია, ბატონო და... ბატონო! შენი ჭი-
რიმე! დედა თქვენი დაგვპირდა, გავანთავისუფლე-
ბინებო და... მე ვეღარ გაუბედე გახსენება...

სერიოჟა. დედა დაგვპირდათ?

ცაბუ. დიალ, ბატონო... თქვენ რომ ერთ სიტყვას ეტყო-
დეთ... თქვენ ისე ძალიან უყვარხართ...

სერიოჟა. დედას?.. ჴო, უყვარგარ. რასაკვირველია!... მაშ
ოჯახს ახლა თქვენ არჩენთ?

ცაბუ. ასე გამოდის... მამამთილი იყო კიდევ და საწყალი
ახლა ლოგინათ არის ჩავარდნილი... მომაკვდავია!

სერიოჟა. აქ რამდენს გაძლევენ ჯამაგირს... მე არ
ვიცი.

ცაბუ. 30 მანეთს, ბატონო!..

სერიოჟა. მერე როგორ გეპყრობიან? კმაყოფილი ხართ?

ცაბუ. დედა თქვენი, ბატონო, ძალიან ლვთისნიერი ქა-
ლია... თქვენი რძალიც...

სერიოჟა. დედა?... რასაკვირველია, მაგრამ აი... როდესაც
სტუმრები არიან ჩვენსა... სხვა და სხვა ახალგაზრ-

და ჩინოვნიკები, აფიცრები... მამაჩემი... აი რომ:
დაითვრებიან... არ შემოდიან თქვენ ოთახში?... არ-
გაწუხებენ?...

ცაბუ. უი ჩქიმი ცოდა!... თქვენ რა იცით, ბატონო?...
სერიოზა. მერე ითმენთ ყველა ამას?

ცაბუ. (ტირილი აუტყდება, მიდის და ხელზე უნდა აკოცოს).

სერიოზა. არა, მაგას რას ჩადიხართ! ხელზე კოცნა ეს-
თავის დამცირებაა... თქვენც ისევე ადამიანი ხართ,
როგორც მე... მაშ ძალიან გაწვალებენ, არა?

ცაბუ. არა, ბატონო, მარა, ნაღვინები არიან და რაღაც-
უხეიროთ იღმიჭებიან... მამა თქვენი კი, როდესაც-
მიყურებს, ასე მგონია ჩემი შეჭმა უნდა მეთქი და....
მეშინია...

სერიოზა. მართალი ხარ! მაშ თქვენა ხართ ოჯახის მარ-
ჩენალი?... (უცრად) მაჩვენეთ ერთი თქვენი ოჯახი....

ცაბუ. თუ კი გვიკადრებთ, ბატონო...

სერიოზა. რას ქვია კადრება... მე ჯერ არ მინახავს არც-
ერთი ნამდვილი მუშის, გაჭირვებული მუშის ოჯა-
ხი... წავიდეთ.

ცაბუ. თუ ქალბატონი მომცემს ნებას.

სერიოზა. (მოხვია ქალალდებს ხელი, ტომისკაში ჩაალაგა, წიგ-
ნები მიაწყო, გასძახის) დედა! მე და ძიძა გავისეირ-
ნებთ... ბავშვაც მოუხდება გასიერნება...

ფატი. (კარებში) ბავშვს? როგორი ამინდია? არა ჩვენი
ბავშვი აქ იყოს, საკაა დედა მისიც მოვა და ნახვა-
მოუნდება. თქვენ კი გაისეირნეთ შვილებო, ძალიან
კარგი... მხოლოდ, ძიძა, არ დაიგვიანო, თორემ,
ხომ იცი, დანიშნულ საათზე ჩვენ ბავშვს ძუძუ უნდა-
აწოვო.

ცაბუ. კი, ბატონო.

ფატი. ჰო და ასე სჯობია, გაისუირნეთ... გამოცოცხლდი,

გამოცოცხლდი, ბიჭო, თორემ სულ წიგნებში გაქვს
ცხვირი ჩარგული და ისიც სულ გარეშე წიგნებში...
ხერიოფა. კარგი, დედა, ნუ ბუზღუნებ, ჩვენ ეხლავე...

(გარელან ზარი. ჩაიკლის მსახური და კარებს უდებს ზიკოფს).
(ცაბუს) აბა წავიდეთ!

ზიკოფი. საით, მიდიხარ? ძიძაც თან მიგყავს, ჰაიდა მა-
ლადეც! მე უნდა ვიყო შენს ალაგას, რომ აქამდე...
ხერიოფა. მამა! (უკმაყოფილო გადის, ცაბუც მოქრძალებით გაჰ-
ყვება).

ზიკოფი. წალი, წალი, იხეირე შვილო... (სავარძელში ჩაეშვე-
ბა, ამოიოხრებს).

ფატი. შენ როგორლაც გუნებაზე ვერა ხარ.

ზიკოფი. ცული ამბებია, ფატმა გეორგიევნა, ცული!
ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიაში გლეხები
უკვე წამოქოჩილან... ჯერ ისეთი არაფერი მომხდა-
რა, მაგრამ... მაინც ვფიქრობ ჩვენი... პატარა
ხუტორი გვაქვს რაღაც, არ გაგვიჩანაგონ...

ფატი. რა მოხდება ისეთი, პოლიცია იქ არ არის?...

ზიკოფი. ეჭ, პოლიცია... თუ ხალხმა პირი გათქვა, რას
იზამს პოლიცია! აი აქაც... პოლიციამ დაატუსალა
მანთაშევის მუშების ნაწილი გაფიცვისათვის, გადა-
გზავნა კიდეც თავის სოფლებში მაგრამ... რა გა-
მოვიდა?

ფატი. როგორ?.. რა მოხდა?

ზიკოფი. რა მოხდა და დანარჩენი მუშები მთელი ათი
დღე არ გავიდნენ სამუშაოზე .. ვერ გასჭრა ვერც
მუქარამ და ვერც მოფერებამ.. მანთაშევმაც ვერ
გაუძლო და დათმობაზე წავიდა.

ფატი. რას ამბობ? მანთაშევი დათმობას აპირებს? მაშ
მისი ტერ-აკოფოვი ვერ გამოდგა?

ზიკოფი. ეე, რა შეუძლიან შენს ტერ-აკოფოვს, ფაფხუ-
94

რობს ტყუილა... მუშებს კი ეტყობა ძლიერი ხელი ხელმძღვანელობს. მე ვვონებ, რომ ეს ხელი თბილისიდან უნდა იყოს, თორემ აქაური ლეგალური მარქსისტები, ამას არც იზამდნენ და ვერც გაბედავდნენ... პოლიცია გაშმაგებული დაეძებს ამ ხელმძღვანელს, მაგრამ... ჯერ ვერ მიუკვლევია... პოლიციმეისტერი ამბობს: ტყუილია, აქ არავინ ხელმძღვანელი არ არის... მიფია, მოგონილია, აქ თბილისის კომიტეტი მუშაობსო...

ფატი. როგორ, უკვე კომიტეტიც კი ჰყავთ მუშებს თბილისში? მთავრობა რას უყურებს?

ზიკოვი. ეე, ძალიან გაიზარდა, ძალიან, რუსეთში რევოლიუციური მოძრაობა... სულ კი ამ ებრაელების ბრალია... აიყოლის რუსებიც... არ გაგიგონია: სხედან იქ საზღვარ-გარეთ, ჩვენი ემიგრანტები და რალაც ერთი გაზეთი აქვთ „ისკრა“ სულ იმითი ამტუტებენ ქვეყანას. ეხლა აქაც... შენ არ იცი რა ამბები მომხდარა?

ფატი. რა, რა თუ გიყვარდე?

ზიკოვი. რა და მანთაშევის ქარხანაში მუშებმა რომ თავისი გაიტანეს ტერ-აქოფოვიც და კიდევ რამოდენიმე ონამდებობის პირი დაუთხოვია ქარხნის დირექტორის.

ფატი. რას ამბობ, ეს ხომ დიდი სირცხვილი უჭამია მანთაშევს.

ზიკოვი. ეგ რა არი... ეხლა როტშილდის ქარხანაშიც დიდი ამბებია თურმე, დირექტორმა ვაინშტედმა შეატყო, რომ საერთოდ მანთაშევთან გამარჯვების შემდეგ მუშები მეტად გათამამდნენ და აქაც დაიწყეს მღელვარება. ამის გამო აულია და 420 არა საიმედო მუშა დაუთხოვია, მაგრამ რად გინდა, ამის

საპასუხოდ ქარხნის მუშებს, 1500 კაცს, გაფიცვა
გამოუცხადებია და მუშაობა სულ შედგა თურმე.

ფატი. საოცარი! ეხლა რას აპირებენ?

ზიკოვი. რას აპირებენ? მისულა გუბერნატორი, დამუჭ-
რებია კიდეც მუშებს, მაგრამ მუშები აგერ რამო-
დენიმე დღეა არ მუშაობენ და ქარხანაც დგას...
არა, ძალიან ცუდი ამბები იწყება, ძალიან და...
მართალი იყო იმ ლამეს შარლ დობინიე, აღარ
ლირს აქ ცხოვრება...

ფატი. რამ შეგაშინა, შე-გლახაკო... რა არის მუშების
გაფიცვა! ერთი არ იმუშავებს მეორე მოვა.

ზიკოვი. ეგრე არ არის საქმე, ფატმა გეორგიევნა, მუშები
თუ ერთხელ დაირაზმენ და ერთი პირი შეკრეს,
ასე ასირებულად არ გატყდებიან.

ფატი. მერე შენ რა გენალვლება! შენ ხომ არა ხარ ქარხ-
ნების დირექტორი. ძალიან კარგი საქმე გაბარია,
საბაჟო და, იყავი შენთვის...

ზიკოვი. ეეჰ, ფატმა გეორგიევნა, მომიტევე და არ იცი,
რომ მუშათა მოძრაობას ყველაფერზე ექნება გამ-
ლენა, მაგრამ მე მაინც ხომ იცი ვაპირებდი უფრო
კარგ ალაგას გადასვლას და... აი ეხლა... დანამ-
დვილებით გავიგე, რომ ბაქოს საბაჟოს უფროსი
გადაჰყავთ...

ფატი. მერძე ბაქო რითი სჯობია ბათუმს?

ზიკოვი. ჰე, ჰე!... გავიწყდება, რომ იქ სპარსეთის საზღ-
ვარზე ვიქნები და საბაჟოს ძალიან ბევრი საქმეები
ექნება...

ფატი. შენ იცი... მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ არ უნდა
შეშინდე... სად ქარხნის მუშები და სად შენ?

ზიკოვი. მართლა! ჩვენი ძიძის ქმარი გაუნთავისუფლებიათ.

ფატი. როგორ?

ზიკოვი. დღეს შემხვდა გამომძიებელი და მითხრა: დღეს გავანთავისუფლეო. საქმე ისე დიდი არ იყო მაინც-დამაინც, უფრო თქვენი ხათრით მყავდა დამწყვდე-ული, მაგრამ ეხლა რაკი მუშები ასე მღელვარებენ, არ არის საჭირო ამ გვარების ციხეში ყოლა, არ ლირს, რომ მუშები გავალიზიანოთო... მერმე კიდევ, არც ისეთ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ეგ მუშაო... რა ქვია?

ფატი. ძიძის ქმარს?

ზიკოვი. ჰო.

ფატი. უცნაური სახელი: ელიშუქ.

ზიკოვი. ჰო და ესეც კია: თუ საჭირო შეიქნება, ისევ დაატუსალებენ.

დ ე ს პ ი ნ ე ს ა ს.

დესპინე, ლილოსი, გერვასი, ვარდენ.

დესპინე. (ლილოსის აძლევს პროკლამაციებს და ისიც უკვე დაწვე-ულ, დაუთოებულ თეთრეულების ბოხჩაში აწყობს სხვადა სხვა ფენაში) აბა, შენებურად, ლილოსი, ჭიკვიანად და ფრთხილად მოჰყანტე ქუჩაში, არ შეკრთე...

ლილოსი. ისეთი ქუჩებით წავალ, ვერა კაცი შემამჩნევს...
დესპინე. შენი მეტიელა რომ წაგეყაროს?..

ლილოსი. დაიკარგოს! რას გამიბედავს, ბოხჩას ხომ არ დაუწყებს ბურჯგნას, მალე მოვიცილებ თავიდან...
სალამოს მოვალ შენთან. (კადის).

დესპინე. შენ, გერვასი, რა ჰქენი? აქამდე ვერ გამოუღე
გული მაგ პურს?

ვერ გასი. ა, გავათავე... ისეა გამოღრუტნული, როგორც
კარგი გამოქვაბული. (უჩვენებს მრავალ ფურნის პურს,
რომლის მხოლოდ ქერქია ირგვლივ დარჩენილი და თავის
ფორმა შემონახული აქვს).

დესპინე. აბა, ჩავაწყოთ? (განის და მაშინვე გამოაქვს პროფლა-
მაციები, რომელსაც პურის ქერქში ათაცსებენ). რომელ სა-
ათზე გადის მატარებელი?

გერგასი. მოვასწრებ, ჯერ სადაა... სალამოს 5 საათზე
ვიქნები სუფსაში და... იქ ჩავაბარებ ამ გაბუხუნე-
ბულ ფურნის პურს...

დესპინე. ჰო, ეგრე, ეგრე, ხელმძღვანელმა ხომ გვითხრა:
„ბათუმი უნდა გახდეს მთელი დასავლეთ საქართვე-
ლოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრიო“.

გერგასი. სუფსაში ისეთი ბიჭები დამხვდება, რომ... ამ
პურს სულ მთლა იმ არე-მარეს მოჰყენენ. (პური გამა-
იმსო და გამოჭრილში ზევისან ისევ ისი ქურქი დაადვეს).
აბა ახლა შეხედე, სრულებით არაფერი არ ეტ-
ყობა...

დესპინე. ყოჩალ, მშვენიერია! კონდუქტორ კაცისგან
კიდევ სოფელში პურის ჩატანა არავის არ გაუკვირ-
დება.

შემოდის ს ტალინი, თან ახლავს ბაქოელი.

სტალინი. აი, რასა სწერს ლენინი „ისკრა“-ში: „ჩვენ,
რუსი სოციალ-დემოკრატები უნდა გავერთიანდეთ
და მთელი ჩვენი ძალ-ლონე უნდა მავმართოთ
მტკიცე პარტიის შესაქმნელად სოციალ - დემოკრა-
ტიის რევოლუციონურ საერთო დროშის ქვეშ“.

ბაქოელი. ჩვენ კი, მოძღვარო, შენის მითითებით, ჩვენი
გაზეთის „ბრძოლის“ პირველ ნომერში, აი რა მო-
ვათავსეთ, წაიკითხეთ.

სტალინი. (მიდის ჩეორე თ.თახრსკენ და გზადაგზა კითხულობს) „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს განსხვავებულს და მხოლოდ ქართულ მუშათა მოძრაობას თავისი საკუთარი პროგრამით. იგი ხელიხელ ჩაკიდებული მიერართება მთელ რუსეთის მოძრაობასთან ერთად და მაშასა-დამე, ემორჩილება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აქედან ცხადია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთიც წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოს, რომელმაც უნდა გააშუქოს უმთავრესად ადგილობრივი საკითხები და ადგილობრივი მოძრაობა“.⁴ (თავს აიღებს) სწორია.

ბაქოელი. აქედან თავის თავად იგულისხმება, რომ სოციალ დემოკრატიის ორგანიზებულ მოძრაობისათვის მთავარ საშუალებას წარმოადგენს რევოლუციურ იდეების ფართო აგიტაცია და პროპაგანდა.

სტალინი. (ფიქრებში) დიალ... დიალ... (კრდევ გადაიკითხავს ჩუმად) ყოჩალ! (კითხულობს ზა-მალჭა) „პროლეტარიატი, ეს არის ის მტკიცე ძალა, რომელმაც უნდა დაამხოს თვითმკურობელობა!“ (თავს აიღებს) ბარაქალა, ყოჩალია ჩვენი კეცხოველი. სწორედ ეგრეა. ჩვენი იმ ელემენტებს უნდა დავეყრდნოთ, რომელსაც ეგრე უჯმაჯურასავით დასწოლია აბსოლუტიზმი. ჩვენი მივიტანთ იერიშს და რუსეთის აბსოლუტიზმის მყარი კედელი ძირიან-ფესვიანად დაინგრევა. (მიდის ოთარისაკენ).

ამ დროს შემოდის ჭიათურელი

ჭიათურელი. ჭიათურიდან გახლავართ. აი ქალალდი.

სტალინი. (ყურადღებით გადაიკითხავს) შევიდეთ (სამივენი გადიან).

ვარდენი. (კუთხეში კითხულობს) „მუშათა კლასის ბრძოლის ღრმოს რა მნიშვნელობა აქვს გაფიცვას?“

დესპინე. (გერვასის) ჰმ.. ყოჩალი ბიჭი დადგა ეგ შენი ვარდენი.

გერვასი. კაი დაგემართოს, ძალიან მიხარია... მაგის იმედი მქონდა...

ვარდენი. (განავრძობს კითხვას) „...მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოების არსებილან რომ გამოვიდეთ, გაფიცვები დასაწყისია მუშათა კლასის ბრძოლისა ამ საზოგადოების წესწყობილების წინააღმდეგ. (გერვასი და დესპინე უკვე ყურს უდებენ, არ უშლიან)“ როდესაც მდიდარ კაპიტალისტთა წინააღმდეგ ცალკეული, არაფრის მქონე მუშები დგანან, ეს მუშების სრულ დამონებას ნიშნავს, მხოლოდ, როდესაც ეს არაფრის მქონე მუშები გაერთდებიან, მაშინ მდგომარეობა სრულიად იცვლება?... ერთი გერმანული სიმღერაა ასეთი: „თუ კი ძლიერი შენი ხელი მას მოინდომებს, მყისვე შესდგება ყველა ბორბალი“. გერვასი. ძან ნათქვამია, მარა, ვარდენ, ბიჭო, რას კითხულობ, გამაგებინე.

ვარდენი. მაცალე, ბიძია, ერთი კარგად გავიგო. ა, აგერ... (კითხულობს) „მხოლოდ გაფიცვა მარტო კაპიტალისტებზე კი არ უხელს თვალებს მუშებს, არამედ თვით მთავრობაზე და კანონებზედაც“.

გერვასი. აი ავაშენე მაგის დამწერი. ვისია, ბიჭო, ვის დაუწერია?

ვარდენი. (აო უპასუბბის, კითხულობს) „... როდესაც მუშათა შორის გაფიცვები ფართოდ ვრცელდება, მაშინ ზომიერ მუშას (და ზოგიერთ სოციალისტს) ჰგნია, რომ მუშათა კლასს შეუძლიან ეს გაფიცვები იკმაროს, დაკმაყოფილდეს საგაფიცვო კასსებით ან

საზოგადოებებით; რომ ამ გაფიცვების მეოხებით შეიძლება თავის მდგომარეობის ნამდვილ გაუმჯობესებას ან სრულ თავისუფლების მოპოებას მიაღწიოს... ასეთი აზრის იყვნენ წინეთ სხვა ქვეყნებშიაც, როდესაც მუშათა მოძრაობა იწყებოდა და მუშებიც სრულიად გამოუცდელები იყვნენ, მაგრამ ეს აზრი შემცდარი აზრია“.

გერგასი. ვარდენ! არ გესმის?

ვარდენი. აი, ამასაც წავიკითხავ და გეტყვი, ყური დაუგდე: „... ყველა მუშისათვის ნათელი ხდება, რომ მთავრობაა მისი მდვინეარე მტერი, რომ ის კაპიტალისტებს იცავს, მუშებს კი ხელ-ფეხს უბოჭავს. მუშა უკვე ჩახდება, რომ კანონები მხოლოდ მდიდრების სასარგებლოდ გამოდის, რომ მოხელეები მხოლოდ იმათ ინტერესებს იცავენ, მუშებს კი პირში ბურთს სჩრიან“... (თაქ აიღებს) ეს, ბიძია, ხელმძღვანელმა მომცა... უნდა ავაწყო... ლენინის დაწერილია...

გერგასი. ლენინის? ვინ არის ლენინი?

დესპინე. ხელმძღვანელი ამბობს — უდიდესი რევოლუციონერი არისო, ამჟამად სახლვარ-გარეთაა წასულიო... იქ მუშაობსო...

ვარდენი. იქიდან გაზეთებს გზავნის, „ნაპერწკალი“ ჰქვია სახელად... და ამ გაზეთებს ზოგჯერ გვიკითხავს ხელმძღვანელი.

ნესტორ. (შემოდის) გამარჯვება ოქვენი. დესპინე, აქ არი?

დესპინე. აქ არი, რა გინდა?..

ნესტორ. ეშმაკმა ნუ იცის ჩემი თავი და ტანი. მოციქულად ვარ გამოგზავნილი.

დესპინე. ვისგან?

გერვასი. აბა, მე წავალ ახლა, დესპინე, შენი ჭირიმე...
ვარდენ, გამომყე ელანძე, საქმე მაქ პატარა. (ფაზის,
ჭარდენი მიყვება).

ნესტორ. კარლომ და ისიდორემ გამომგზავნეს.

დესპინე. რაო? ახლა უნდათ შემოგვიეროთდნენ? ახლა,
როდესაც მანთაშევთან გაფიცვა ასე ბრწყინვალედ
დასრულდა? ახლა, როდესაც მუშებმა იგრძნეს გა-
ერთიანების ძალა?

ნესტორ. რას ამბობ, ქალო, შემოერთებას კი არ უთვლიან
აქაურობას გაეცალე, მენ რყვნი და ღუპავ მუ-
შებსო.

დესპინე. მერე შენც ბედავ და ამის სამოციქულოთ აქ
მოდიხარ? ეეჰ, ნესტორ, ნესტორ!

ნესტორ. მოიცა შენი ჭირიმე... (მიაყურა) წრეს ამაცადი-
ნებს?

დესპინე. არა, ბაქოსა და ჭიათურის წარმომადგენლებ-
თან საუბრობს.

ნესტორ. როგორ, ასე შორიდან მოდიან მასთან?

დესპინე. ეხლა გაიგე? ნუ თუ არ იცი, რომ მთელ ამიერ-
კავკასიის მუშებთან კავშირი მხოლოდ მაგასა აქვს?
ზოგს კი ჰერონია, რომ... ჰა, ჰა! ეგ მხოლოდ თბი-
ლისის კომიტეტის მთავარი პროპაგანდისტია:..

ნესტორ. კარლო კი ამტკიცებს, რომ მაგას თბილისის
კომიტეტის მინდობილობაც კი არა აქვსო.

დესპინე. შე უბედურო! შენ ისიც კი არ იცი, თუ ვინ
არის მეთაური თბილისის კომიტეტისა.

ნესტორ. მე ვიცი კომიტეტი ვინც შედის: სილიბისტრო
ჯიბლაძე, საშა წულუკიძე, ლადო კეცხოველი და...
სხვებიც.

დესპინე. ეგა? ეგ ვინ არის შენი ფიქრით?

ნესტორ. ვითომ ეგ არის მეთაური?

სტალინის სმა. ეკონომისტებს, როგორც ბურუუაზიის აგენტებს მუშათა მოძრაობაში, უნდოდათ პროლეტარიატი ბურუუაზიის მაჩანჩალად გაეხადათ... ამასვე ცდილობნდენ ჩვენში მესამე დასელები.

ნესტორ. მესამე დასი... მესამე დასი... ეს ნიშნავს... რომ კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე უორდანია... ასე აზროვნებენ... მართლაც და ამისთანა რწმენის კაცს როგორ უნდა შევუბედო, რაც დამავალეს...

დესპინე. არც კი გრცხვენია... ან როგორ იკისრე ასეთი დავალება?

ნესტორ. ეეჭ, ჩემო დესპინე, მეშინიან, მუშებმა თავი არ წააგონ... ეგ ახალგაზრდა კაცია და შეიძლება თავი ვერ შეიკავოს... ისინი კი უფრო დადინჯებული და ცხოვრებაში გამოცდილები არიან... აი, რომ ერთად იმუშავონ, ეს იქნებოდა კარგი.

დესპინე. არა, ნესტორ, მე ბევრი არ ვიცი, მაგრამ, ვატყობ, რომ ეგენი ერთაღ ვერასოდეს ვერ მოსძოვენ... ეს ნამდვილი მებრძოლია, შეუდრუკელი და სწორი ხაზით მავალი... ისინი კი... კატასი არ იყოს, თევზი ძალიან უნდათ, მაგრამ ფეხის დასველება ეზარებათ... შენ კი, შენ! გული მტკივა, რომ იმათ უკან მისჩანჩალებ...

ნესტორ. კი არ მივაჩანჩალებ... ყველასათვის კარგი მინდა... ყველაფერმა მშვიდობიანად მინდა ჩაიაროს... მშვიდობიანის გზით მინდა გამარჯვების მოპოება და... თან ვგრძნობ, რომ ეს დიდი კაცია, დიდათ საჭირო და გამოსადეგი, მაგრამ შეიძლება თავი დაიღუპოს, სხვებიც დაღუპოს და სწორედ ამიტომ

კიკისრე მოციქულობაც... იმათ ეცოდებათ... იმი-
ტომ უთვლიან...

დესპინე. წავიდნენ, დაიკარგონ თავიანთი შეცოდებით...
ფარისევლები! ნესტორ! არ გაბედო! ხმა, კრინტი
მასთან ამაზე არ დასძრა...

ნესტორ. მაშ რა ვჭნათ, რა!.. არ გამოვა აქედან კარგი
საქმე...

დესპინე. ფუ, მშიშარა, გლახაკი!.. წადი და კარლოს
ასე მოახსენე, აღარ გვჭირდება თქვენი რჩევა-დარი-
გება—თქო... ხელმლვანელი რად გინდა? ჩვენი წრე-
ების სახელით გადაეცი, თქვენ მებრძოლები არა
ხართ, ასე შემოგითვალა დესპინე შამათავამ-თქო.

ზეგან.

რა იყო? რა სახე-გაბრწყინვებული შემოხვედი?

ზეგარ. როტმილდის ქარხანაში გაფიცვა უკვი დაიწყო.
აქ არის?

დესპინე. შედი.

ზეგარ. (თავ-ჩაქინდრულ ნესტორს) რა დაგმართვია, ნესტორ?

დესპინე. (ზეგარს) მაგ მტირალასთან ნუ დაყოვნდები...

შედი.

ქარხნის საწყობში

გუბერნატორი სმაგინი, მისი თანაშემწე დრიაგრი, ბოქაული, ჟან-
დარმების აფიკრები, ურიაღნიკი ლევან გურიელი, პოლაციელები,
ქარხნის აღმინისტრაცია ერთ მარეზე, მუშები მეორე მარეზე.

გუბერნატორი. უნდა მართალი გითხრათ, მუშებო, რომ
მე არა ვარ თქვენი კმაყოფილი. რას ლელავთ? რა
გინდათ? რას ითიცებით? ეს ქარხნები თუ შემოსა-
ვალს აძლევს თავის პატრონებს, თქვენც კარგი შე-
მოსავალი გაქვთ და გქონდათ აქედან. კარგად

გახსოვთ, რომ თითო მუშა დღეში 2-3 მ. იღებდა, 4.000 კაცი მუშაობდა მარტო როტშილდის ამ ქარხანაში, ბევრმა თქვენგანმა ფული შეიძინა და თავიანთ სოფლებში მშვენივრად დაესაზლა, მაშ რალა გინდათ ახლა?

პორფ. ლომჯარია. თქვენ რომ ბრძანებთ, ეგ ათი წლის წინათ იყო. ეხლა შექანიურ მუშაობაზე გადავიდა ქარხანა და ოთხი ათასი კი არა, 1500 კაცი ძლივს-ლაა და ისიც დღეში 2 და 3 მ. კი არა 60 კაც. ძლივს ღებულობს...

გუბერნატორი. ეგ არ ვიცი მე... ამოირჩიეთ თავი კაცები და მითხარით რა გინდათ?

დავით. თავი კაცები ჩვენ არავინ არა გვყავს, ყველას ერთნაირად გვიჭირს, ყველა ერთნაირი ვართ...

გუბერნატორი. მაშ კარგი, მაგრამ ყველა ერთად ხომ არ ილაპარაკებთ... ცალ-ცალკე ჩამოთვალეთ, რა გინდათ, რა გიჭირთ? კანონია და სამართალი. მე იმისთვის ვარ უმაღლესი მთავრობისაგან დანიშნული, რომ თუ რამ გაწუხებთ, გავიგო და გაჭირვება შეგიმსუბუროთ, ჩემი ვალია მამობრივი მზრუნველობა გაგაწიოთ.

ოსმან. ძალიან კარგი. ჩვენც ეს გვინდა და აი ეს არის ჩვენი მოთხოვნილება. (ქალალდს წარუდგენს).

გუბერნატორი. რა არის? წაიკითხეთ.

ლევან გურ. (კითხულობს) ძირითადი პუნქტები შემდეგია:

- 1) სამუშაო დღის შემცირება, 2) ხელჭასის გადი-დება...

ქარხნის დირექტორი. იფ, რა კარგია!

გუბერნატორი. აცალეთ, აცალეთ.

ლევან. (კითხულობს) 3) მუშებთან თავაზიანი მოპყრობა;

- 4) გაცდენილი დროს „ანაზღაურება“ აშ მუხლს შენიშვნა ასეთი აქვს: (კითხულობს) „როცა ვმუშა-

ობთ, ხელფასს ვღებულობთ, მაგრამ როცა სამუშაო არ არის, ქარხნის აღმინისტრაცია მაშინაც ვალდებულია მისცეს მუშებს ხელფასი”.

დირექტორი. ერიპა! ეგ სადაურია? სად გინახავთ, რომ მუშა არ მუშაობდეს და ფულს კი იღებდეს...

გუბერნატორი. არა, მართლა და ვინ გასწავლათ ასეთი სიბრძნე?

დაფით. ჩვენთვის არავის უსწავლებია, მხოლოდ ქარხნის აღმინისტრაციას რათა ჰერიტაჟი, რომ ეს რაღაც ღიღი იყოს. ეს თითოეული ცხოველის უფლებაა. აი მაგალითად: თქვენ გყავთ ცხენები, რომლებსაც ჰქონით, როცა ამუშავებთ, მაგრამ როცა ისინი არ მუშაობენ, მაშინაც აძლევთ მათ საკვებს. ჩვენ ადამიანები, მოვითხოვთ ასეთსავე უფლებას.

პოლკ. დრიაგინი. თქვენო აღმატებულებავ! ყოვლად მო უხერხებელია ამის მოსმენაც კი.

გუბერნატორი. მომითმინეთ, მეგობრებო!.. ასე არ შეიძლება, შვილებო, თქვენ რომ იქცევით. სულელური საჩივრები კი არ უნდა შემოიტანოთ. რას ქვია ცხენის კვება და რას ქვია უმუშევარ მუშის ქირის ძლევა! ეგ შეუწყნარებელია... აი, რაც შეეხება ზრდილობიან მოპყრობას... ეგ კიდევ ჰო... ეს მართებულია. რასაკვირველია, თუ არაფერს არ დააშავებთ, ქარხნის აღმინისტრაცია ვალდებულია ზრდილობიანად მოგეცერათ... ეს შესაძლებელია, ამაზე ბატონი დირექტორიც თანახმაა, ხომ?..

დირექტორი. ეგ რა თქმა უნდა... ჩვენ ქარხანაში საერთოდ კარგად ვეპყრობით მუშებს...

ლომჯარია. (თავისოვის) აი ისე შენ რა გითხრა!

გუბერნატორი. რას ამბობ?

ლომჯარია. რისი ზრდილობა, რისი აღაშიანური მოპყ-

რობაო, რას ბრძანებთ! ის კი არა, ჩვენში გაშე-
ფებულია მუშტი და სილაქი. მუშას ურტყამს ყვე-
ლა: ზედამხედველი, გამგე, მექანიკოსი და თვით-
დირექტორიც.

დირექტორი. მე? როდის?

ვართანა. არა, თქვენ შეიძლება არა, ახალი ჩამოსული
ხართ, მაგრამ აი თქვენს წინეთ რომ იყო. განსა-
კუთორებით განთქმულია ცემა-ტყეპაში მექანიკოსი-
ალექსანდერი, შტუბნერი და ფაინშტეინი...

გუბერნატორი. კარგი, კარგი... ეს თუ იყო, აღარ იქნება-
სხვა რა? სამუშაო დღის შემცირება?.. მე მგონი-
ამას ქარხნის დირექტია, რამდენადც შესაძლებე-
ლია, მოახერხებს... 12 საათამდე დაიყვანს სამუშაო-
დღეს. ჰო, მე მგონია... (დირექტორს) ხომ? (დირექ-
ტორი გაუტკვევლად თავს აქვთს). კიდევ რაღა დარჩა?
ჰო, ხელფასის გადიდება... ეს უნდა იცოდეთ, შეი-
ლებო, რომ ქარხანას დიდი ხარჯი აქვს .. არა,
ბ. დირექტორო?

დირექტორი. ხელფასის გადიდება ყოვლად შეუძლებელია.
გუბერნატორი. ჰო... შეუძლებელია... გადახედავს მაინც-
ამას ქარხნის აღმინისტრაცია და შესაძლებელს გა-
აკეთებს... ამის თავდები მე ვარ... მაშ ასე, ახლა-
დაიშალენით ბშეიდად, წყნარად.

სევერ. ჩვენ დავიშლებით, მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ,
რომ იმ პირობებში დარჩენა, როგორმიაც ვიყავით,
აღარ შეგვიძლია... ჩვენ ეხლა პურის ფულს თუ
ვშოულობთ აქ, ნახევარჯერ ვშიმშილობთ და ჩვენი-
შრომით კი სხვებს სიმდიდრეს ვუქმნით...

გუბერნატორი. აა, ეგ არა, ეგ არა! რას ქვია სხვებს?..
ეს ქარხანა და საზოგადოდ ყველა ქარხანა საერ-
თოა, ის ყველას აძლევს ლუქმას: პატრონს, სახელმ-

წიფოს და მუშას. ჩვენ იმაზე ვილაპარაკოთ, რომ შეიძლება ეხლა ცოტაა თქვენი გასამრჯელო, შეიძლება ამას ეშველოს რამე და კიდევ სხვა წვრილ-მან საკითხებს, თორემ სხვებს ვუქმნით სიმდიდრეს და ჩვენ კი ულუქმაპუროდ ვრჩებითო, ეს არ გამა-გონოთ...

დავით. გვიჭირს, გვიჭირს და იმიტომ ვაშბობო, აბა რას გავს ჩვენი ცხოვრება? ყოველგვარ სიხარულს მოკლებული ვართ და მთელი ჩვენი სიცოცხლე სიკვდილს გვისწრაფებს მარტო. მაშინ არ ჯობია, ვიდრე ამ ოხერ დაზგასთან მონურად მოვკვდე, დავიცვა ჩემი აღამიანური უფლებები და მოვითხოვო ის, რაც მერგება?!

ვუბერნატორი. (მიაჩირდება) გრძელი ენა გქონია... აი ამის-თანები მართლა დასატუსალებელია.. მე არ მინდა ახლა ამ ზომებს მივმართო... მე ჩემი გითხარით, შეგპირდით, რომ რაც შესაძლებელია, იმას ქარხანა შევისრულებთ, მორჩა და გათავდა. წადით. დაიშალენით და ხვალ, როგორც კი ქარხანაში საყირს მისცემენ, ყველანი გამოცხადდით და თავისი აღგილი დაიკავეთ... პირობები გაუმჯობესებული იქნება. (მუშები იშლებია, მიდია).

პართან. (მიპავალი, დავითს) შენ კინალამ მთლად გააფუჭე საქმე, დავით... მგლის გახელება გაგიგონია?

დავით. ერთი ჩვენი ხელმძღვანელი ყოფილიყო აქ... ამ მართლა მგლებს უჩვენებდა, როგორც უნდა ჩვენთან ლაპარაკი.

სევერ. ის ძალიან უთხარი—თუ ცხენს, როცა არ მუშაობს, მაშინ საკვებს აძლევთ, მუშამ რალა დააშავაო...

დავით. ოჰ, ეგ ჩემი კი არა, ხელმძღვანელის ნათქვამია. გამახსენდა და ვუთხარი (გადიან).

პოლკ. დრიაგანი. (კუსერნატორი) მეტად ლმობიერი ბრძან-
დებით, თქვენო აღმატებულებავ!

დირექტორი. ჩვენი მხრით შეუძლებელ რასმეს დაჰპირ-
დით, გენერალო!

გუბერნატორი. კარგია ერთი, თავს ნუ იყატუნებთ....
კარგად ვიცი რაა შესაძლებელი და რა არა... მხო-
ლოდ მაგათან ეხლა სხვაგვარი ლაპარაკი არ-
შეიძლებოდა... ვერ ხედავთ, როგორი მომზადებუ-
ლებიც ყოფილან, როგორი ალესილები... რამდენი
კაცი იყო?

დრიაგინი. დაახლოებით 30-31 იქნებოდა.

გუბერნატორი. ჰო და ძალიან მშვენიერი... ამაღამვე და-
ატუსაღეთ სათითაოდ. პრისტავ!

დრიაგინი. მავას თავადი გურიელი უკეთ მოაწერხებს,
უკელას იცნობს, უმეტესობა თითქმის სულ გურუ-
ლებია... (ურიელი მხედრულად გამოეჭირა).

გუბერნატორი. ჰო და იყოს გურიელი.. ეგ მეთაურები-
ჩამოაშორეთ და სხვები ხვალვე დაიწყებენ მუშაო-
ბას... ვიღაც მძლავრი რომ მეთაურობს, ეს კი ცხად-
ზე უცხალესია. უთუოდ უნდა ფიცხელ გამოძიებას-
შევუდგეთ, აქ უთუოდ თბილისის კომიტეტია ჩარე-
ული. დაუყონებლივ უნდა გაიგოთ, ვინ აბამს კავ-
შირს, საიდან, როგორ?... ბაგრამ არაფერია, მივა-
გნებთ კვალს... თქვენ კი გული არ გაიტეხოთ, ბ-ნო-
დარექტორო! თქვენი ჭარხანა ხვალვე აგუგუნდება.

დ ა თ ო გ ლ ა ს თ ა ს

დათიელა, გერგასი

დათიელა. (მჯოლიანე) უი, შენ გაგახარა. ღმურთმა! რავა-
სოფელში მაგისთანა ამბავია?

ვერვასი. აბა, რავა გგონია, დათიელა! შარშანწინდელმა და შარშანდელმა მოუსავლიანობაშ და საყანულის სიმძიმემ, ხომ იცი, არა ერთი და ორი შეტაკება გამეიწვია გლეხებსა და მემამულეებს შორის, მარა ჯერ კიდევ მხოლოდ ჩუმ-ჩუმი მოლაპარაკებაა მოწინავე გლეხებში. ახლა-კი, როცა ბათუმში ეს მაღლიანი კაცი სოსო ჩამოვიდა, უკვე ამოდიან ნატანებში, სუფსაში, მიქელ - გაბრიელში, ხვარბეთში ბათუმელი მუშები, ზოგს დაგისახელებ თუ გინდა, შენი კი არ მეშინია: ქიშვარდი ცერცვაძე, გურგენ გურგენიძე და კიდევ სხვები და ჩუმად ანვითარებენ სოფელში ორ-ორ, სამ-სამ კაცს.

დათიელა. მერე და მაინც რას ეუბნებიან?

ვერვასი. რა და ბათუმის მუშებთან კავშირი შევკრათ, კრება მოეიწვიოთ, ერთობაზე დავიფიცოთ...

დათიელა. ერთობაზე იცოცხლე კაი საქმეა... ერთი პირია საქმე, ერთი პირი...

ვერვასი. ჰო და... მთელი რუსეთის მუშებთან ერთად განმანთავისუფლებელ მოძრაობას ვემსახურებიო.

დათიელა. ეგ ყველა კარგია, მარა რა იმედი აქვთ, რომ ეს საქმე გაიმარჯვებს?

ვერვასი. როგორ თუ რა იმედი, ჩვენ სოფლებს უკვე კავშირი აქვთ ბათუმის ქარხნის მუშებთან, მათ ორგანიზაციასთან და, აქ ხომ გაიგე, დიდ გაფიცვას ამზადებენ...

დათიელა. არა, არ ვიცი, მარა კაი კი ყოფილა ეს გაფიცვა, ახლა ქე ვატყობ... მანთაშევის საქმის შემდეგ დავრჩწმუნდი. ვაი ჩემ უბედურ თავს, ასე დავრდომილი რომ გავხდი, თვარა თქვენ, შვილო, ვატყობ კარგ დროს ქე მეესწრებით... თუმცა ძნელ საქმეზე გიკიდიათ ხელი და დიდი სიფრთხილე კი გმართებთ...

ელიშუქი. სიფრთხილე, სიფრთხილე! კიდევ მაგას გაიძანი, მამა ჩემო?

დათიელა. ბიჭო, ელიშუქი ხარ შენ?.. მაღლობა ლმერთს...
სულ გამოგიშვეს...

ელიშუქი. ჰო, როგორც არის ამ დილით გამომიშვეს...
გამარჯობა, გერვასი! გვეყოფა შენი პატივისცემაო...

დათიელა. მერე და... აქამდის სად ხარ!.. მარა შენ რა..
უთუოდ ჯერ ამხანაგებს მიაკითხე... მაგდან, მაგ-
დან, შე საწყალო, აქეთ გამოიხედე...

შაგდან. (შემოდის) უი, უი, შენ კი დაგენაცილე, შვილო!
რავა გამხდარხარ, წვერი გაგზრდია.

ელიშუქი. ბავშვი რას შერება? ცაბუ სად არი?..

შაგდან. ცაბუ მსახურობს, შვილო... ბავშვიც თანა ჰყავს...
ელიშუქი. მსახურობს? სად? რაფერ?

დათიელა. რა? არ იცოდი? დედა შენმა არ გითხრა, ცი-
ხეში რომ მოდიოდა?

მაგდან. უი, ჩემი სიკვდილი... გატყუებდი, დათიელა,
თვარა ციხეში ელიშუქი ჩემთვის კი არ უჩვენებიათ.
დიდი სტროგობა იყო... ის კი არა, ერთხელ ცაბუმ
მოინდომა ნაწვა, ბავშვის ჩვენება, მაგრამ არც ამის
ნება მოგვცეს.

ელიშუქი. მაინც სად მსახურობს ცაბუ?

დათიელა. ჩემი რძალი, შვილო, ძალიან კარგ ალაგასაა...
მშვენიერი ჯამაგირი აქვს...

შაგდან. იმითი გვიდგია სული.

დათიელა. ძიძათ არი ერთ დიდი კაცის ოჯახში.

ელიშუქი. ძიძათ? მაინც არ მოიშალეთ თქვენი?

მაგდან. ძალიან კარგად ცხოვრობს, არ მომიკვდეს შენი
თავი, თავის ბავშვიც კარვად უვლის და .. ჩვენც
გვაცხოვრებს...

ელიშუქი. მმ... (დაიკმინა) სხვა, გერვასი?... როგორ ცხოვ-
რობ, რასა იქ?..

გერვასი. რა მიჭირს, ელიშუქ, ჩამოვდივარ ბათუმში,
ვიგებ ქვეყნის ამბებს და სოფელში შიმაქვს „პური
არსობისა“ (ზელს დაადებს თან მოტანილ ფურნის პურს);
ელიშუქი. როგორ, პური ბათუმილან მიგაქ? თქვენში არ
აცხობენ?

გერვასი. ამისთანას... ვერა, ხელში აიღე (ალიშუქი აიღებს).-
მძიმეა ხომ?.. (ყურში ჩასჩურჩულებს).

ელიშუქი. ჰა, ჰა, ჰა! ყოჩალ, გერვასი, ყოჩალ .. მაშ შენც
ჩვენიანი ხარ... ძალიან გამახარე ძმობას გეფიცები.
მაგლან. (ფანჯრილან დაინახა) ბერა! აგერ არ მოდის ცაბუ?..
(გასძახის) ცაბუ, მალე, ქალო, მალე... რა განახო...
ცაბუ ბავშვით, სერიოჟა.

ცაბუ. (შემოდის და ელიშუქის დანაწევაზე მოულოდნელობით შედ-
გება, ეტყობა გაუხარდა, მაგრამ მორიდებით თავს და-
ხრის).

მაგლან. (ცაბუს) არ, შე უხეირო! შეგრცხვა? ბავშვი მაინც
მიეცი ბაბაიას... (ჩამოართმევს ბავშვს და ელიშუქს გა-
გადასცემს. ელიშუქი ეფერება).

ცაბუ. (თითქო გონებას მოიკრევს და მიდის დათიელასთან) რო-
გორ ბრძანდები, ბატონო?

სერიოჟა. უკაცრავად! თქვენ ქმარი ბრძანდებით, არა?..
გამოგიშვეს კიდეც... ძალიან სასიამოვნოა... თქვენს-
ქარხანაში კი უკვე გაფიცვა დაიწყო...

ელიშუქი. თქვენ საიდან იცით?

სერიოჟა. ჩვენ გიმნაზიაში წრე გვაქვს ჩამოყალიბებული-
და მუშებთან კავშირი გვაქვს, მხოლოდ მე პირა-
დათ არც ერთ მუშას არ ვიცნობ, არც ერთ მუშის.
ოჯახში ჯერ არა ვყოფილვარ და აი დღეს, რო-
დესაც თქვენი მეულლე შინ წამოვიდა, ვთხოვე, რომ
მეც წამოვეყვანე.

ელიშუქი. ვითომ ასე გაინტერესებთ ჩვენი მდგომარეობა? ცაბუ. (მაგდანას და დათიელას) სამაგალითო ყმაწვილია! სულ ხალხის გაჭირვებაზე ლაპარაკობს. მეტად კეთილი გული აქვთ...

გერვასი. აბა, ეხლა, ჩემო მოკეთებო, დრო არი ჩემი წასვლის... ამ ორ დღეში კიდევ ჩამოვალ და მოგა- კითხავთ...

შაგდან. იცოცხლე, ჩემო გერვასი, მაღლობელი ვართ ძალიან, რომ არ გვივიწყებ... შენი თავი ნუ მომი- შალოს ღმერთმა (გერვასის გაცილებს კარებამდე).

სერიოჟა. (ელიშუქს) დიალ, გაფიცვა... ეს ერთ ერთი ღო- ნისძიებაა მუშათა მოძრაობისა... ლენინს აქვს ნათ- ქვამი.

ელიშუქი. ლენინს? მერმე თქვენ საიდან იცით?

სერიოჟა. აკი მოგახსენეთ, წრე გვაქვს-მეთქი გიმნაზის- ტებს. თქვენ ხელმძღვანელთან ჩვენც გვაქვს კავ- შირი... ის გვაწოდებს „ისკრა“-ს. იქ ვკითხულობთ ლენინის წერილებს.

ელიშუქი. მაშ, გამარჯვება, ჩვენი ყოფილხარ... (ხელს ჩა- მოართმევს).

სერიოჟა. ჰო და ლენინს აქვს ნათქვამი: მონა, რომელმაც შეიგნო თავისი მონობა და განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეუდგა უკვე ნახევრად-ლა არის მონაო.

დათიელა. რა თქვა? რა თქვა? ჰო, ეგ მართალია, მაგრამ თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ, შვილო, ბევრს კით- ხულობთ, ბევრი იცით და ჩვენ გაჭირვებულმა ხალ- ხმა წერა-კითხვაც ძლივს ვიცით... მაგისთანა აზრე- ბი აბა საიდან დაგვებადება.

სერიოჟა. არა, პატივცემულო მოხუცო, ვერავითარი წიგ- ნები და ვერავითარი ქადაგება ვერ უშველის პრო- ლეტარიის, თუ თვითონ მისმა ბრძოლამ კაპიტა- ლისტების ბნელი ძალების წინააღმდეგ არ უშველა.

თანდილა. (შემოკარდება) დეიდა მაგდან, დეიდა! ვარდენი
დაიჭირეს, ვარდენი...

მაგდანა. უიმე, ღმერთო მომკალი! ვინ? სად?

თანდილა. ვინა და პოლიციამ. აი ამ გაფიცვის გამო.
უკვე იჭერენ დიდსა და პატარას. (ახლა დაინახა ელი-
შუქი და სერიოზა პირზე წელი მიიფარა) ვაიმე!

ელიშუქი. ნუ გეშინია, ბიჭო, მე შინაური ვარ და ეს
ყმაწვილი კიდევ ჩვენი მოკეთე ყოფილა...

სერიოზა. უკაცრავად... ეხლა გავიქცევი, ჩვენ წრეშიაც
უთუოდ მლელვარებაა, მე იქ უნდა ვიყო... ცაბუ,
თქვენ ეხლა ქმარი გაგაცილებთ ჩვენთან... ბოდი-
ში...

ცაბუ. რატომ იკადრებ, ბატონო! (სერიოზა გადის).

ელიშუქი. (თანდილას) სხვა არ იცი, ვინ დაატუსალეს?

თანდილა. როგორ არა! დავითი, სევერიანე... ბევრი
სხვები... მუშების ბინებს უვლიან...

ელიშუქი. გამომართვი ეს ბავშვი... (გადასცემს მაგდანას).

ცაბუ. ვაიმე, მიდიხარ?

მაგდანა. საით?

დათიელა. შვილო, ელიშუქ...

ელიშუქი. რა იყო? დესპინესთან გადავალ, შეიძლება
ზელმძლვანელი ვნახო... ვგრძნობ, რომ ზომების
მიღებაა საჭირო.

ცაბუ. (თავს კერ იკავებს, მხრებზე ჩამოვკიდება) ელიშუქ, გენა-
ცვალე!

ელიშუქი. ისე მეთხოვები, თითქო რამე საუკულმართო
საქმეზე მივდიოდე... ამბის გასაგებად მივდივარ...
კარგი ეხლა... მალე დავბრუნდები...

გონისპირატიული კრება.

ს ტალინი და მუშები

დომენტი. ამხანაგებს ძალიან მაგრად ეჭირათ თურმე თავი. რაც დაარიგე, ყველაფერი უთხრეს გუბერნატორს... განსაკუთრებით დავითი იყო თურმე ყო- ჩალად, მაგრამ რად გინდა?.. დღეს ლევან გურიელს უკვე ყველანი დაუჭირია...

გიორგი. ხომ არავინ არ გასულა სამუშაოდ?

დომენტი. არა, გაფიცვა გრძელდება მტკიცედ და შეურ- ყევლად.

ელიშუქი. ოჰ, ეს ლევან გურიელი! ერთი იმის სისხლი დამალევია, იმისი.

დომენტი. ჰო, ამბობენ, თვითონ მოითხოვა: მუშების დატუსალება მე მომანდეთო.

ელიშუქი. ყველა აკაცობა მაგის ხელიდან გამოდის, მაგრამ, არაფერია, საცა იქნება, ხელში ჩავიგდებო და...

ტალინი. არა, ამხანაგებო! ლევან გურიელს ხელი არ ახლოთ. ის ბევრად მეტს აკეთებს მუშათა გათვით- ცნობიერებისათვის თავის მურტალი საქციელით ვიდრე რამოდენიმე ათეული წიგნი და პროპაგანდა მხოლოდ ეხლა საკითხი მაგას არ შეეხება. საქმე ის არის, რომ ყველა გაფიცულები უნდა წავიდნენ და მოითხოვონ დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

ნესტორი. მომიტევე, მაგრამ გუბერნატორი ხომ დაპირ- და მუშებს... ყოველივეს შეგისრულებო, პატიოსა- ნი სიტყვა მისცა.

ელიშუქი. ჰმ... შენ გწამს გუბერნატორის პატიოსანი სიტყვა?

გიორგი. მერე, იმიტომ დაატუსალა ეს 32 კაცი?

სტალინი. აქ საკითხი ნათელია. თუ ჩვენ თითონ არ მო-
გითხოვთ და ძალა არ უჩვენეთ შთავრობას, ისინი
ნებით არც არაფერს დაგვითმობენ და არც დაპა-
ტიმრებულებს გაგვინთავისუფლებენ. საჭიროა და-
უყონებლივ წახვიდეთ და ხვალისათვის ყველა გა-
ფიცულები შეამზადოთ რომ მოვიდნენ და ერთად
მოვთხოვთ დაპატიმრებულთა განთავისუფლება.

ნესტორი. ძალით ტუსალების განთავისუფლებას საიდან
შევიძლებთ! ამას ხომ შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს.

სტალინი. მართალია, მსხვერპლი მოჰყვება, მაგრამ სამა-
გიეროდ ქვეყანა გაიგებს, რომ თვითმპყრობელობა
დამცველია კაპიტალისტების ინტერესების... ხალხის
მტერია!

ნესტორი. მე მაინც არ მინდოდა მსხვერპლი გაგველო-
ისე კი ტუსალების განთავისუფლებას საიდან შევ-
ძლებთ.

დომენტი. სრული სიმართლეა. რისი იმედით, როგორ?
იარაღი ჩვენ არ გვაქვს და არაფერი... რომ გვქონ-
დეს კიდეც იმათ როგორ გავუმკლავდებით?

სტალინი. (გაჯაჭრდება) ეჭ, შენ თავის დღეში რევოლუ-
ციონერი არ იქნები...

ელიშუები. უჭ, შენი ჭირიმე შენი! (დომენტის) აი შე გლა-
ხაკო! მსხვერპლის შეგეშინდა? ჩვენ ყველანი თანახმა
ვართ, ხელმძღვანელო, ხვალ, თუ მეტი არა, 300-400
კაცი მაინც წავალთ და მოვითხოვთ დაპატიმრე-
ბულთა განთავისუფლებას. ხომ ძმებო?

ხმები. რასაკვირველია! მაგას რაღა თქმა უნდა! მივდი-
გართ!

დომენტი. არა, წაშოსვლით მეც წამოვალ, მაგრამ...

გიორგი. არაფერი „მაგრამ“, ჩუმად... (მუშები მიდიან გუ-
გუნით).

ბრძალინი. დაგავიწყდათ? რა ამბავია? ნელა, შენარა...
ცალ-ცალკე დაიშალენით... (შეჩერდებიან, თითო-ორო-
ლა გადიან).

ც ი ხ ე ს თ ა ნ

ქარხნის ადმინისტრაცია, პოლიცია და მუშები

დრიაგინი. რა გნებავთ ეხლა თქვენ? აკი გითხარით, რომ
დაპატიმრებულებს ვერ გავანთავისუფლებთ.

ხირიშიანცი. მაშინ ჩვენ ყველანი უნდა დაგვაპატიმროთ.
დრიაგინი. ამის უფლება არა მაქვს.

თეოფილე გოგიბერიძე. იმის უფლება კი გქონდათ, რომ
უდანაშაულო ამხანაგები დაგეპატიმრებინათ?

დრიაგინი. როგორ თუ უდანაშაულო? განა ხელისუფლება
უდანაშაულოთ ვისმეს იჭერს?

თეოფილე გოგიბერიძე. მაგას ეხლა დავეთხოვოთ, მხო-
ლოდ ისინი თუ დამნაშავენი არიან, ჩვენ ყველანი
დამნაშავები ვყოფილვართ.

ხირიშიანცი. ისინი იმას თხოულობენ, რაც ყველას ჩვენ
გვიჭირს...

ელიშუქი. დაბეჯითებით მოვითხოვთ დაპატიმრებულები
გამოუშვათ, თუ არა და ჩვენ ყველანი დაგვაპატიმ-
რეთ.

დრიაგინი. კარგი უკან დადექით. გამოიყვანეთ პატიმრე-
ბი... (გამოჰყავთ).

გამოსულთა ხმები. გამარჯვებათ ბიჭებო, გამარჯვებათ!

დამხვდურები. ნუ გეშინიათ.

დრიაგინი. (ჯარის უფროსებს) აბა შემოარტყით ყველას
ჯარი და გადაგზავნეთ ყაჩარმაში...

**ხმები. როგორ? ჩვენც გვრჭერენ მართლა! თავს უშველეს
ბიჭო!**

ხტალინი. არ გაიქცეთ ბიჭებო, თორემ გესვრიან!...

ქ უ ჩ ა შ ი

კარლო ჩხეიძე და ბრეგვაძე.

ჭიჭიკო ბრეგვაძე. რა ამბავია ეს, ბატონო კარლო! ღუ—
პავთ ხალხს, აბრიყვებთ მუშებს! რა უნდა გამოი—
ტანოთ ამითი! აგერ გუშინდელი 400 კაციც დაუ—
ტუსალებიათ... არა გრტვენიათ?

კარლო ჩხეიძე. მაგ საყვედურებს დიალაც ავირიდებ!,
ბატონო ჭიჭიკო! ჩვენს ინტელიგენციას ჰელია,
რომ მე და ჩემი ამხანაგების მოწყობილია ეს გაფი—
ცვებიც და ეს დემონსტრაციებიც, მაგრამ ყველგან
და თქვენთანაც კატეგორიულად ვაცხადებ, რომ
ამაში ჩვენ მცირეოდენი წილიც არ გვიძევს.

ჭიჭიკო ბრეგვაძე. მაშ როგორ? ასე თავის-თავად, სტი—
ქიურად იფეთქეს მუშათა გამოსვლებმა?

კარლო. უბედურებაც ეგ არის, რომ არა, ხელოვნუ—
რია ყოველივე ეს. თბილისიდან ჩამოვიდა ერთო
ახალგაზრდა, უსათუოდ ნიჭიერი და ჭიჭიანი ყმაწ—
ვილი, მაგრამ... ხომ იცით რასაც ნიშნავს სიყმაწ—
ვილე. სიყმაწვილეს თან ახლავს სიჩქარე, გულფიც—
ხობა, დაუჯვერებლობა. და აი არ დაგვიჯერა. ეს
კი არა, მე თვით ვინახულე და ვურჩიე, რომ წა—
სულიყო, მოცლოდა აქაურობას, რადგან აქ ბათუმ—
ში ყველაფერი ხელის გულზეა-მეთქი, აქ არა-ლეგა—
ლურ მუშაობის მოწყობა და შემდეგ ეს გაფიცვები;
დემონსტრაციები ყოვლად შეუწყნარებელია-მეთქო.

მაგრამ არამცთუ დამიჯერა—სანაგვეზე მიმითითა,
შენი ადგილი იქ არისო... რას უზამთ! ლუპავს კი
საქმეს.

ჭიჭიკო. განა ესე ახალგაზრდაა?

კარლო. 20-22 წლის თუ იქნება

ჭიჭიკო. მერმე და როგორ შესძლო ამოტელა მუშების
აყოლება... გენიოსები კი იბაღებიან, მაგრამ.

კარლო. ჰე, ჰე... მაგრამ... იშვიათად...

ჭიჭიკო. ჰო, მეც ესე მგონია. ჩვენში არც მოველი და
საერთოდ საქართველოს მგონი, რომ არც ოდესმე
ჰყოლია გენიოსი.

კარლო. ეჱ, თქვენ სულ საქართველო გელანდებათ.

ჭიჭიკო. რასაკვირველია, თქვენსავით კოსმოპოლიტი არა
ვარ... მმ, გენიოსი, ჰო შეიძლება რუსთაველი, ა?

კარლო. მეეჭვება!

ჭიჭიკო. არა ჩვენი ქვეყანა არც ისე ხელ-ჩამოსაკრავია,
წარსული კარგა დაგანძული გვაჲს, მხოლოდ აწმყო
და ისიც... (შორიდან სიმურა მოისმის).

კარლო. ეჱ, რა დროს გენიოსობაა, გულზე ცეცხლი მე-
კიდება... დაიცადეთ, ხედავთ... ხედავთ... რამხელა
დემონსტრაციაა... საით მიდის?... იქითკენ, რასა-
კვირველია.

ჭიჭიკო. საით, იქითკენ?

კარლო. აგრე ახლოს... დატუსალებულებთან.

ჭიჭიკო. წინ რომ მოუძღვის ის ახალგაზრდაა?

კარლო. დიალ, ეგ გახლავთ... ოჱ, ოჱ! რამდენი არიან.
არა ეს ნამდვილად უველა ქარხნებიდან გამოსულან
დროშებიც კი! რას ჩადის, რას! ქალები, ქალები?
ისინიც აუყოლებია... (სიმღერა მინელდება) ნესტორ!
ნესტორ! სად მიდიხართ, სად?

ნესტორ. (მოვიდა) მივდივართ, ბატონო კარლო, მივდი-
ვართ პირდაპირ სამსხვერპლოზე...

ჭიჭიკო. რატომ სამსხვერპლოზე? გეტუგიან დაიშალენითო
და თქვენც მშვიდობიანად დაიშლებით.

ნესტორ. თქვენ პირს შაქარი, მაგრამ არა მგონია...

პოლკ. დრიაგინს, გუბერნატორის თანაშემწეს, ცი-
ხის ბათალიონის დასახმარებლად, როგორც გავიგე,
კაჯასის მსროლელთა ბათალიონის მეშვიდე რო-
ტაც დაუბარებიათ და ხეირს არ დაგვაყრიან...

კარლო. მერე და არ გრცხვენიან, ნესტორ... მუშებში
გავლენა გაქვს... ვერაფერი მოახერხე, რომ...

ნესტორ. დალოცვილო? თქვენ ვერაფერი გააწყვეთ მაგ
კაცთან და მე სად შემიძლია მის ავტორიტეტს
გაუმჯობესე... მუშებს ისე უყვართ, ცეცხლში გადა-
ვარდებიან... მეტიელა, მეტიელა! შენ სად გარბი-
ხარ?

მეტიელა. თვალის სეირის საყურებლად, მეგობარო, თვა-
ლის სეირის! (გაირბენს).

კარლო. ეგ ვიღაა? კნიაზი კაცია?

ნესტორ. კნიაზი კი არა მედროვეა, მარა... ახლა მგონი
პოლიციაში შემძრალა და...

კარლო. მერე ამისთანა ხალხსაც უშვებთ თქვენს შორის?

ნესტორი. არა, ის მაგისთანებს არ გააჭაჭანებს, მაგრამ
გარედან, ხომ იცი... მაინც მავნებელი კაცია. (სრო-
ლის ხმა).

კარლო. ოჟ, ოჟ! ვაი ჩემი ცოდვა, ვაი ჩემი ცოდვა!

ჭიჭიკო. მოვცილდეთ ამ ადგილს, ბატონო კარლო. ხეი-
რიანი ამბავი არ არის ეტყობა. (გაკყავს, ნესტორიც
თან გაჰყვება ისმის სროლა, ყვირილი, წივილი. ხმები: „არ
შეგეშინდეთ, ფუჭი ვაზნებია“!)

შეტიელა. (გამორბის, ყვირის) არ შეშინდეთ, ფუჭი სროლაა!
(მუშები გამორბიან, ერთი-ორი წაიქცევა).

დესპინე. ნუ გეშინათ ძმებო... თქვენ პირველი მსხვერპლი ხართ რუსეთის რევოლუციისა. (ამ დროს მის წინ დაეცემა ერთი). არაფერია, არაფერი, არ შეშინდე... დამეყრდენი... ასე, ასე, ფეხში არა ხარ დაჭრილი?... აბა წამომყე.. გაგიყვან სამშვიდობოს...
პოლიცმესტერი. რას ჩადიხარ, შე-როსკიპო, ხელი გაუშვი, თორემ გაგათავე ეს არის... (მოარტყამს ქარქაშიან ხმალს).

დესპინე. (დაჭრილს მიატოვებს, მივართება ღობეს. სარს ამო-ჯოებს და უნდა დაარტყას, მარამ ამ დროს გამოჩნდება, ზევარ ხელში ეცეა და შეაკავებს).

ზეფარი. რას შვრები, მოგკლავს, მოეცალე! (თვითონ აიყვანს დაჭრილს და მიჰყავს).

ლილოსი. მოჰქლეს? ხელმძღვანელი? სად არის? სად? (ლევან გურიელი შეეფეობა) შენ მოჰქალ, შე მოლალა-ტე? (მივარდება, ეპოლეტების ჩამოსაგლეჯად).

ლევანი. არა, არა მე არ მომიქლავს. კაპიტანმა ანთაძემ ჩაიდინა? (პოლიციელს) გავთანტეთ ხალხი... ქუჩაში რომ სეირს უყურებს. (გადრს, პოლიციელი გაძუნდულდება).

სტალინი. (მოჰქავს, დაჭრილი ელიშუქი) კარგად დამეყრდენ, ამხანაგო! მაგრად, მაგრად, ნუ მერიდები.

ელიშუქი. ეჭ, რა არა ვაუკაცურად ვკდები!

სტალინი. გწამდეს ამხანაგო, რომ ჩვენ მაგათ მალე გადაუხდით სამაგიეროს! სასტიკ სამაგიეროს!

დ ა თ ი ე ლ ა ს ა ს

ელიშუქ მისიანებში

ელიშუქი. (მომაკვდაცი) აჲა, ბნელდება ყველაფერი, ჩემ-
თვის, საუკუნოდ ბნელდება... წყალი!... რა გაგი-
ჭირდათ, კაცო, წყლის დალევინება? ჴო, ვიცი და-
კრილს, არ უნდა დაალევინო, მაგრამ მე ხომ ვკდე-
ბი და სულ ერთია. გემრიელად მაინც მომკალით...
ცაბუ, საღა ხარ, გენაცვალე! დედა, მამა!... ჩემი
პატარა... როგორ შენანებით ყველანი... მხოლოდ
გახსოვდეს, ცაბუ, ამიცრიდან ჩემ მაგიერ შენ უნდა
იქნე... ოჯახშიაც და იმ საქმეშიაც, რომელსაც მე
ვემსაზურებოდი... ხომ შენც დაინახე ახლა ვინ ყო-
ფილა ჩვენი მტერი... სისხლიანი მთავრობა, რო-
მელიც მდიდრებს იცავს მხოლოდ... რომელიც ჩვენს
მყვლეფელებს, ჩვენს დამჩაგვრელებს იცავს... და თუ
ჩვენმა საქმემ შოთხოვა... რევოლიუციაშ ცაბუ
ქარგად გახსოვდეს—გასწირე შენი თავი, გასწირე
შენი შვილიც... ააა. ამას გაიგებ შემდეგში... მიშართვა
დესპინეს, სხვა მოწინავე ამხანაგებს, ხელმძღვანელს აი
იმ კაცს, რომელმაც შე მომიყვანა და ის გასწავლის
როგორ უნდა თავდადება რევოლიუციისათვის.

ცაბუ. გეფიცები რომ შევასრულო...

ელიშუქი. (წამოიწევს) ყოველი წვეთი სისხლი წმინდა საქმი-
სათვის დღეს დალვრილი წარმოშობს ათას გმირებს,
რომლებიც მოიპოვებენ თავისუფლებას...

ცაბუ. გეფიცები შვილი ეგრე აღვზარდო...

ელიშუქი. მწამს... გმაღლობ... (უძლურდება) როგორ ღო-
ნეზე ვიყავ ეხლა... და როგორ დავსუსტდი...
ეტყობა რომ გული აღარა .. აღარა სცემს.

ცაბუ. არა, შენ არ მოკვდები, ელიშუქ, ელიშუქ.

ელიშუქი. (უკანასკნელად თავს ძალას ატანს) მაგრამ გამარჯ-
ვება მაინც ჩვენია (კუდება).

(სალამო ხანია, ნასადილევი)

ხერიოუა. (ზის და მეცადინეობს. ნელა, მორიდებით შემოდის ცაბუ).

ცაბუ. ბ-ნო სერიოუა... უკაცრავად... ცოტა ხანს...

სერიოუა. ა? რა იყო?, თქვენა ხართ? ისევ დაბრუნდით? დალიან კარგი, დაბრძანდით..

ცაბუ. ბ-ნო სერიოუა... დაბრუნებით კი დავბრუნდი, მაგრამ... ჩემის ნებით არ მოვსულვარ... პარასკევაშ დამაძალა და... საწყალმა დედამთილმაც ძალით გამოვზავნა... არ შემიძლიან, არა ბ-ნო სერიოუა... (ცრემლები ერევა).

სერიოუა. ძალით როგორ შეიძლება... უთხარით დედა-ჩემს, ჩემ რძალს...

ცაბუ. არა, ძუძუს წოვება კიდევ შემიძლიან, სხვა რა გზა მაქვს. მთელი ოჯახი მარტო ჩემჩეა ახლა... ამას როგორმე გაუძლებ, თუმცა მგონია რძეც მი-შრება, მაგრამ... ეს არ შემიძლია... აი ეს... ეს ტანსაცმელი... ამას ვერ ჯატარებ.. გინდ მომკალით...

სერიოუა. აპა... მესმის, გავიგე, მიღებული არ არის.

ცაბუ. არა, მიღებულს არ დავეძებ... გული არ შვრება, ბატონო სერიოუა. (შეაჩერდება, პაუზა)

სერიოუა. მერმე და არა გაქვთ სამგლოვიარო ტანისამოსი?

ცაბუ. როგორ არა! აი შიგნით მაცვია... მაგრამ ეხლა რა ხან მოვედი და გამდელმა ძალის ძალით გადამაცვა... სამგლოვიაროთი, ქალბატონმა ბრძანა, არ შეიძლება ბავშვის ძუძუს წოვებაო...

სერიოუა. მერმე და უთხარით დედას, ჩემ რძალს ..

ცაბუ. თქვენი რძალი ჩეცულებისამებრ ნასადილევს სასე-

ირნოთ წაბრძანებულა და დედა თქვენი კიდევ
ისვენებს... არ შემიძლიან, არა... უბრძანეთ გამ-
დელს... ან მოახსენეთ დედა თქვენს... დამითხოვოს
ის მირჩევნია და ამას კი ვერ ვატარებ...

სერიოჟა. ცაბუ, მეგობარო! კარგი მე ვეტყვი დედას,
მაგრამ შენც წარმოიდგინე.. როგორია, სამგლო-
ვიაროთ შემოსილი ძიძა ბავშთან...

ცაბუ. მართალია, ვგრძნობ... და დამითხოვოს...

სერიოჟა. მერე? აკი თვითონ ამბობ სხვა გზა არა
მაქვსო...

ცაბუ. რა ვქნა? სად გადავვარდე?

სერიოჟა. არა, ჩემო ცაბუ... ეგ არც ისეთი დიდი ამბა-
ვია... ზოგ ხალხში ჩვეულებაც კია, რომ ნიშნად
დიდი გლოვისა თეთრები ჩაიცვან... შენც ხომ
თეთრები გაცვია... არა, მე კი არა ვხუმრობ, მაგ-
რამ საქმე ტანისამოსი არ არის. მაგას მნიშვნელო-
ბა არცა აქვს... ღრმა და ნამდვილი მგლოვიარება
გულშია ჩამარხული... გარეგნობა არაფერს არ
ნიშნავს.

ცაბუ. გული არ შვება, ბატონო, გული.

სერიოჟა. მესმის... მაგრამ თქვენ მდგომარეობაში ამას
უნდა შეურიგდეთ... აი უბედურება ის იქნება
თუ რე გაგიშრათ... კარგია, ნუ სტირით... ვეტყვი
დედას... მე მგონი დავითანხმო... წადით... დამშვიდ-
დით...

ცაბუ. ბატონო! შენი ჭირიმე!

სერიოჟა. ჰო, კარგი... (ცაბუ გადის, სერიოჟა ისევ წიგნს ჩაუ-
ღრმავდება).

ზიკოვი, ეტყობა ცოტა ნალვინევია, შემთდის სტვენით.

ზიკოვი. აჰა, კარგია... ბეჯითი ყმაწვილი ხარ... დედა
ისვენებს რასაკვირველია... ჩემი რძალი და გამდე-

ლი ბავშვიანად სეირნობენ უთუოდ, ჩვენი ლამაზი
ძიძა სად დაიკარგა? არ მოსულა?...

სერიოუა. მოვიდა, აქ არის!...

ზიკოვი. (ატყვლება, თავს შეიკავებს) აჰა!... ძალიან მშვენიე-
რი, მაშ ეტყობა, რომ უშენოდ ვეღარა სძლებს
ახალგაზრდა, ლამაზი ქვრივი...

სერიოუა. მამა ჩემო!

ზიკოვი. რა „მამა ჩემო“?... ქვრივია ეხლა, მაგასაც მოუ-
კლეს ხომ ქმარი! ჰო, ჰო! რა ელეტა იყო თურმე...
კარგია, ძალიან კარგია... მწვავე გაქვეთილი მი-
იღეს მუშებმა... ეხლა სამუდამოდ ისწავლიან ჭკუას...
ხომ გადაასახლეს 500 კაცი... ხომ აღმოაჩინეს.

სერიოუა. (შეშფოთებული) რა?

ზიკოვი. ჰო, მთლად ვერა, მაგრამ აღმოაჩინეს კვალი
სტამბისა... კინაღამ ზედ მიუსწრეს თურმე იმ მთა-
ვარ პროპაგანდისტს, თბილისიდან რომ ყოფილა
ჩამოსული...

სერიოუა. (ისევ, ისე) მიუსწრეს?

ზიკოვი. იქ ვერა, მაგრამ... შემდეგში დაუჭერიათ.

სერიოუა. დაუჭერიათ?

ზიკოვი. დიალ, მის ამხანაგებთან ერთად. ეხლა მისი სა-
ხელი და გვარიც ვიცით: სოსო ჯულაშვილი, სოსო
ჯულაშვილი!

სერიოუა. (აწრიალდება).

ზიკოვი. შენ რაო? გებრალება? ნუ ხარ ეგეთი გულ-ჩვი-
ლი. იმასთან ერთი გიმნაზისტიც დაუჭერიათ, შენი
კლასის უნდა იყოს. საით, საით?... დაიცა (ხელით
შეაჩერებს) შენ ის სჯობია მითხრა - ნუთუ აქამდე...

სერიოუა. რა აქამდე...

ზიკოვი. ძიძასთან არაფერი გაგირიგებია?

სერიოუა. (აღშფოთებული) რას ამბობთ, მამა ჩემო?

“ზიკოვი. მაშ რისთვის დაგიქირავე ეგ მოხდენილი „ტუ-
ზემკა“, თუ აქამდე...”

სერიოუსა. ფუჰ, რა საძაგლობას ამბობთ!

“ზიკოვი. საძაგლობას? დამიხედეთ ერთი ამ მამლაყინწა
რაინდს!!..”

სერიოუსა. მაშ განა შაგიტომ! ეხლა ყველაფერი მესმის...
ოცდაათი მანეთი თვეში... მოფერება, პატივის
ცემა... რასაკვირველია! „მმართველ კლასს მისგან
დაჩაგრულ ხალხისათვის მუდამ ბოროტება მოაქვს“.

“ზიკოვი. რა სთქვი? ეგ საიდან ამოიკითხე?... ეგ წიგნები
დაგლუპავს შენ... ეს რა არის? ეს რა ხელთნაწერია?
(დაჭვდება).

სერიოუსა. (არ ანებებს) მამა!

“ზიკოვი. (გამოგლეჯს, კითხულობს) „არალეგალური ბრძო-
ლისათვის საჭიროა: ხელმძღვანელი, არალეგალური
აპარატი; წრეების ქსელი, სამუშაო ობიექტი, სტამ-
ბა, ფული, კონსპირატიული ბინები, სამუშაო
ობიექტის გარშემო საჭოგადოების თანაგრძნობა.
ყველა ეს პირობები ჩვენში უკვე მზად არის“...
(პაუზა, შეაჩერდება) ვინა ხარ შენ! ხედავ როგორ შეუ-
ტოპია?!.. მე როგორა გზრდი და შენ საით?... კი-
დევ კარგი, რომ ესეთი ლმობიერი მამა გყავარ,
თორემ ამისათვის, ხომ შემიძლია შენი თავი ეხლავ
დავატუსალებინო... (უფრო რბილად) არა, შვილო,
შენ ამეებს ნუ გამოუდგები. ეხლავი მოსპე ყველა
ეს საეჭვო ქალალდები... ეხლა მომიტევებია, მხო-
ლოდ თუ მომავალში ასეთი რამ შეგნიშნე, იცოდე
არ დაგზოგავ, ჩემი შვილი არ იქნები... მაგრამ ჩვენ
ამაზე შემდეგში მოვილაპარაკებთ... (გაივლ - გამოივ-
ლის, უეცრად თითქო რაღაც გაახსენდათ, გაეცინება) ჰა, ჰა,
სულელი ხარ, სულელი! (ცვლავ კარგ ზუნებაზე დადგება
და სტვენით გადის უკანა კარებში).

სერიოულა. (ქალალდებს ხელს დაავლებს, აქრეფს) დიალ... უფს-კრული თანდათან ფართოვდება... თუმცა რის უფს-კრული!... ცხადია, მე და მამა ჩემი სულ სხვადა-სხვა პოლიუსებზე ვდგავართ. (წასდლა უნდა, ამ ჯროს მოსმის ქალის კივილი). რა ამბავია? ჰმ—საზიზლარი! ქალს შეუტარება... (გარბის, მოისმის ხმა-მაღალი ლაპარაკი, ყვირილი, ბლობარძუნი. ზიკოვის ხმა: „ძალლის ლექვო! (მეორე კარებიდან ფატი ახლად გამოღვიძებული).

ფატი. რა იყო? რა ამბავია?

ზიკოვი. (გამოვარდება) ძალლი... ავი ძალლი: არც თითონ
და არც სხვას! (სახე გაკაშრული აქვს, ყელსაზვევი
მოქცეული).

-ცაბუ. (გამორბის, სერიოულა აკავებს) არა, აქ აღარ დამედგო
მება, არა, გამიშვი, ბატონო!...

ფატი. ნამდვილს ამბობ, ნამდვილს, შე გომბიო!

ცაბუ. (არ მოელოდა, შეჩერდება).

ფატი. სწორედ, რომ ჩემი სახლში დასაღვომი პირი არ
გაქვს... შე ფრახო დედაკაცო, შენ! გარყვნილო!
კახპა!

ცაბუ. რაო! ეს რა ბრძანე, ქალბატონო?

ფატი. რა ვბრძანე და ის, რომ აქ ჩემ სახლში ბოზხანა
გამიმართე... ჯერ იყო და შვილი გამირყვენი, ანგე-
ლოზივით ყმაწვილი...: შემიცდინე და გამითახსირე...
ახლა გინდა მამასაც გადაწვდე? შე კახპა, შენ!

სერიოულა. დედა.

ფატი. ჩუმად... შე მოლალატე შენ!...

ცაბუ. (მეტის მეტი გაოცებულია, დაბნეული) როგორ მე? თქვე-
ნი შვილი... თქვენი ქმა... ეს მხეცი...

ფატი. ხმასაც რომ იღებს? მაგრამ რა გასაკვირია! რა
იკვახიდან შენა ხარ, რომ ამეებში გამოწაფული
არ იყო.

ცაბუ. რაო? გამოწაფული?

ფატი. დიალ, დიალ, მუშის ოჯახიდან, მეკურტნის რძალს სხვა კი ან რა მოეთხოვება...

ცაბუ. (გააურუოლებს, შემდეგ უცრად თავს აიღებს, შელში გაი-
მართება, თითქო სრულიად გამოიცვალაო) აა, ახლა კი
თვალთ ამეხილა. მართლაც რა საზიზღრებში
ვიმყოფები?! დიალ მე მეკურტნის რძალი ვარ და-
ჯვარელი მწყემსის შვილი, მაგრამ იმ უსინდისო-
ბას რაც თქვენს ოჯახში ხდება და რასაც მე
აქ გადავხედე, ჩვენ აძას თავის დღეში ვერ წარმო-
ვიდგენთ. ეს ვაუბატონი, ეს დიდი კაცი, ჩინოსანი-
და პატივცემული, რომელზედაც პირველ ხანებში
კინალამ პირჯვარს ვიწერდი... დიდი ხანია შევამ-
ჩნიე რა ნადირიც იყო, მაგრამ დღეს კი მთლად
გამოჩნდა მაგისი საზიზღლარი სახე... თქვენ კი, ქალ-
ბატონო ფატი!... ეხლა ყველაფერი თავის სინამდვი-
ლით მეჩვენება... თუ ქმარი ასეთ საქმეებს ჩადიო-
და, არც თქვენ აკლებდით ხელს...

ფატი. ჩუმალ... ჩუმალ... როგორ მიბედავ.

ცაბუ. რატომ არ უნდა გაგიბედო! თქვენ პირველად ისე
მომხიბლეთ, რომ დაბრმავებული ვიყავი, ადამიანის-
შვილი არც კი მეგონეთ... მხოლოდ, როდესაც
თქვენს ცხოვრებას დავუკვირდი... ეხლა ყველაფერი
მაგონდება... რამდენი სითალლითე, სიყალბე, ღა-
ლატი ოჯახის სიწმინდისა, ადამიანური სინდისისა...
თქვენ და თქვენი მესაიდუმლე პარასკევა...

ფატი. გაიყვანეთ, მომაშორეთ!

ცაბუ. ნუ სწუხდებით, ქალბატონო, ეხლა მე თვით წა-
ვალ ამ საზიზღლარ ოჯახიდან. (შემოიგლეჯს თეთრ ტა-
ნისამოსს და თავის სამგლოვიარო კაბაში დარჩენილი გაფარ-
დება).

ფ ა რ დ ა.

მოქადაგის მეხეთი

თბილისი. 1905 წ. ცაბუ და ლილოსის ბინაზე.

ცაბუ. (თავის პატარა ვაჟს უაშპობს) ამგვარად დევს არ გა-
უვიდა თავის ეშპაკობა, დაავლო ახალგაზრდა
გმირმა ხელი და მართალია დევის გაქონილ ტანზე
ხელი უსხლტება, მაინც იმდენს შესძლებს ეს
უზარმაზარი უხამსი მიწას დაანარცხოს და ისეთის
ძალით მოიქნიოს, რომ ტვინი ქვას მიუსხას და
ტანი მიწას გაუერთიანოს.

გივი. სულ ჩამარხოს?

ცაბუ. ჰო, შვილო... განა მისი დაზოგვა შეიძლება? ამ
დევს ხომ დაიხსომე, რაც ჰქვია?

გივი. კაპიტალიზმი.

ცაბუ. ახალგაზრდა გმირს?

გივი. პროლეტარიატი. მაგრამ დედა... ეს დევიც ცხრა-
თავიანია?

ცაბუ. ჰო, შვილო, მაგასაც რამოდენიმე თავი აქვს; ამ
თავებს კიდევ თავის სახელები აქვს: თვითშეურობე-
ლობა, ბურუუზია, მეზამულეები, ხუცები, პოლიცია
და სხვ.

გივი. ის გარადავოი რომ დგას მაგ დევის თავია?

ცაბუ. არა, ეგ მაგ თავის კუდია... მხოლოდ მაგ თავს კი
ემსახურება.

გივი. ეჰჰ! ნეტავი ეგ კუდი მაინც მე მომაჭრევინა.

ცაბუ. გენაცვალე, შვილო, მამი შენის ნატერაც ეგ იყო,
რომ მებრძოლი გამოსულიყავ და გასოხვალ კიდეც ..
გივი. უკი, რა კარგი იქნება... მაკ დევს რომ დავეჭიდები.
სულ ბდლვარს გავადენ...

ცაბუ ჰა, ჰა! გაიმარჯვებ, გაიმარჯვებ, შვილო!
გივი. აბა ახლა ის მიმღერე... დედა, დედა! შენი ჭირი-
მე... ვარდენის ლექსი.

ცაბუ. კარგია, ახლა გეყოფა, გადი ეზოში სათამაშოდ...
გივი. არა, არა... დედა შენი ჭირიმე, აგერ ჩონგური...
(მოუტანა).

ცაბუ. (ბედნერის ლიმილით) კარგი მოიტა (მღერის)

ამას წრნად ჩეენს ოდიშში
მოიყარა ხალხმა თავი,
კაცი კინძე იქ მობრძანდა
შეხეული ქონდა თავი.
ხალხმა ჰყითხ. —ვინ ბრძანდებით,
ვერ გიცანით „პატენიო“!
— თქვერი განმარტლიბელი
მე გახლავარ ვარდენიო.
„მიმამულენს“ თუ დავხოცავთ,
მიწა გვრჩება მადენიო,
პოლიცია თუ მოგვადგა
სულ ყველას მე გავდენიო!

ლ ი ლ ი ხ ი

ლილოხი. ოჰო! ჩეენი ვაჟკაცი ეხლა. ჩონგურით ერთობა?
გივი. ვაჟკაცი ვიქნები, დეიდა, ვაჟკაცი!

პოლიცია თუ მოგვადგა,
სულ ყველას მე გავდენიო!

ლილოხი. უი, შენ კი გაიზარდე, ჩემო კარგო. მხოლოდ
ეხლა კი წადი ეზოში და შენი მშვილდისარიც წაი-
ლე ნიშანში სასროლად ..

აი, ბიძია ზევარმა რომ გაგიკეთა... მე და დელა-
შენს ცოტა საქმე გვაქვს აქა.

ცაბუ. წადი, გენაცვალოს დედა... სად არის შენი
მშვილდისარი?

გიგი. აგერ (გავა მეორე ოთახში, გამოიტანს და გადის).

ცაბუ. რა იყო? რამე ახალი ხომ არ მომხდარა?

ლილოსი. ის მოხდა, რომ პოლიციას თავი ისევ წამო-
უყვია და დღეს ქალაქში გაძლიერებული პატრული
დაიარება.

ცაბუ. არ იცოდი? ნუ თუ არ მითქვამს, რომ ხილებზე
ხალხს უკვე ჩხრეკენ.

ლილოსი. მაშ როგორ იქნება დღევანდელი მიტინგის
საქმე?

ცაბუ. იციან ამხანაგებმა.

ლილოსი. ჩვენთან კიდევ ამაღამ კრება რომ არის? კობა
რომ მოვა?

ცაბუ. ვითომ რა? ჩვენს ბინაზე ეჭვა აიღეს?

ლილოსი. არა, მაგრამ... მეტიელას მოვკარი თვალი
ქალაქში...

ცაბუ. გადმობარებულა ბათუმიდან?

ლილოსი ეტყობა. მგონი შემამჩნია, მაგრამ სწრაფად
შევერიე ხალხში და გზა-კვალი დავუბნიე.

ცაბუ. ვითომ დამტკიცდა მასი ჯაშუშიბა?

ლილოსი. არ გახსოვს, ჯერ კიდევ, ბათუმში რომ ვიყა-
ვით, მაშინაც ჰქონდათ ეჭვი.

ცაბუ. ჰო, სიტროთხილეს თავი არ სტკივა.

ლილოსი. მიტინგზე როგორა ვქნათ? დღეს შენ წახეალ
თუ მე წავიდე?

ცაბუ. არა შენ წადი. მხოლოდ ლიტერატურა თეიშურაზ-
თან გადაიტანე... შენმა სიტყვებმა ჩამაუიქრა. მე
კი... (გადის გამოაქვს პატრანტამი ტყვაფით და ერთი

ხელ-ყუჩარა) აი ამათ შოუვლი... (ჩდის კოფთას და შიგნით პერანგზე ირტყამს პატრანტაშებსა და ხელ - ყუჩარა).

ლილოსი. ეს იარიალი საიდან გაგიჩნდა?

ცაბუ. თანდილაა სოფლიდან ჩამოსული და იმან მომაბარა.

ლილოსი. რა? კიდევ ტერორისტობს?

ცაბუ. არა, ეხლა წითელ რაზმშია თურმე, ზემო ქართლში, მაგრამ თავდაუჭერლობა მაინც ეტყობა.

ლილოსი. ერთი უფროს ამხანაგებს მაინც ვაჩვენოთ, რომ რიგზე დასტუქსონ... (გადის, გამოაქვს ლილერა-ტურა და ფუთაში აჩვევს) ეხლა ვითომ რა, გვინდა, რომ პირადათ შენ ხელს არ გახლებენ და არ გაგჩხჩევენ?

ცაბუ. ჯერ არ გამიგონია, რომ ქალები ტანზე გაეჩხონ-კოთ. მაგრამ მე მაინც აგრე მირჩევინა.

გივი შემოვარდება.

გივი. დედა, დედა! ვიღაც სალდათი მოდის ჩვენთან, (ქალები შეშფოთდებიან).

ცაბუ. სალდათი? ლილოსი! უკანა ოთახში გაიტანე ეგბარგი და თუ შემორტყმული არა ვართ, იქიდან გახვალ. მე მანამ აქ შევაჩერებ. გივი, კარი გადა-რაზე. (გივი ასრულებს. თვითონ კაბას გაისწორებს, ლილოსი ფუთიანა გადის, კარეაზე კაკუნი).

ცაბუ. ეხლავ, ეხლავ! (კიდევ მოათავლიერებს იქაურობას. თავის თავს და შევდევ გაბედულად აღებს კარებს).

გარდენ (სალდათის ტანისამოსში).

გარდენ. დარწმუნებული ვარ, რომ ვერ მიცნობთ.

ცაბუ. (დაუკვირდება) ვარდენი უნდა იყო... მართლა კინ-ღამ ვერ გიცანი.

ვარდენ. ჰა, ჰა, რას მიცნობდი! „ხელმშიფის სამსახურ-ში“ ვარ ეხლა... რომ არ შეგაშინე?

ცაბუ. სხვა მეგონე, მაგრამ... გაჭირვებას შიში არ ეკად-რება განა ეგრე მიცნობდი?

ვარდენ. არა, ეხლა კი ვიცი, რომ ის მორცხვი და მო-ქრძალებული ცაბუ აღარა ხარ... ცხოვრების დარ-ჯაკში უკვე გამოხველ... მტრებთან ბრძოლა ისწავ-ლე და თავი არ გეზოგება, ჩვენ პარტიაშიაც თურმე სახელი უკვე მოხვეჭილი გაქვს, თუმცა მოგნებით კი ძლივს მოგაგენი... რაღაც სხვა სახელსაც გეძა-ხიან ეხლა. თანდილას რომ არ ეთქვა, ვერც კი მოგავნებდი.

ცაბუ. თანდილა ნახე?... ლილოსი, ლილოსი, გამოდი აქეთ... ჩვენიანია... ვარდენი ყოფილა.

ლ ი ლ ო ხ ი

ლილოსი. (გამოდის) რომელი ვარდენი? აჰ... ჩვენი ვარ-დენი! ბიჭო, როგორ დავაუკაცებულხარ, თუმცა არა. ეს ფორმა თორემ, თუ დაგაკვირდა, კი გიც-ნობს კაცი.

ცაბუ. მეც ეგრე მომივიდა, მაგრამ უცბად მომაგონდა, რომ ვარდენი ოში იყო წასული.

ლილოსი. ეგ მეც ვიცოდი, მაგრამ ეხლა არ გამხსენებია... თუმცა, ვარდენ ოში, როგორ წაგიყვანეს შენიშ-ნული კაცი... ეს მუდამ, მაკვირვებდა.

ვარდენ. ჰო, თითქო საკუირველია, მაგრამ ისე დიდი შენიშნული მაგათ თვალში არ ვყოფილვარ... ბა-თუმში რომ დამიჭირეს, შემდეგ ქუთაისის ციხეში გადამიყვანეს მეც და სხვებიც ხელმძღვანელთან ერ-თად, მაგრამ მე პირადად მალეც გამომიშვეს და არც გაუსამართლებივართ, ეს იყო, რომ ცოტა ხნით

სოფელში გადამასახლეს და მეც ჩემი სოფლის მა-
გრერად სამეგრელოში მოვედი.

ცაბუ. ო, ეგ ვიცი... შენზე ლექსიც კია გამოთქმული...
აგერ გივიმ იცის...

გივი. (სხარტად)

უერ ჩიცანით, პატენიო!
მე გაძლავართ ვარდენიო!

გარდენ. ჰა, ჰა! ეს ვინ არის? თქვენია, ცაბუ? რასაკვირ-
ველია! (აიყვანს ხელში, მაღლა ასწევს) ოო, რა დიდი
ვაჟკაცი დამდვარა...

ლილოსი. მერე, მერე ვარდენ!

გარდენ. (ბავშვი ალერსით ჩამოსვა) მერე, ომი რომ გამო-
ცხადდა ის იყო, დამტაცეს ხელი და შორეულ
აღმოსავლეთში მიკრეს თავი.

ლილოსი. სულელები! რა იცოდნენ თუ ამხანაგ სოსოს
მიერ ალზრდილი ხალხი ჯარშიაც შეიტანდა რევო-
ლიუციურ განშუობილებას.

გარდენ. რა მართალი თქვი! ჯერ კიდევ ციხეში გვამხა-
დებდა ყველას ჩვენი ხელმძღვანელი... ოკ, რა დიდ
მუშაობას ეწეოდა... კავშირი გარეთ... ხელმძღვანე-
ლობა პარტიულ მუშაობისა... ჩვენი წვრთნა და
საკუთარი მეცადინეობა...

ცაბუ. ეგ ხომ რა? ვინ არ იცის მისი მუშაობის საოცარო
უნარი...

გარდენ. ჰო, ყველას გვამხადებდა... მე კი მეუბნებოდა
შენ ერთი დრო იქნება, უთუოდ ჯარში გაგიშვევენ
და იქ ასე და ასე უნდა მოიქცეო: ჩემი განთავი-
სუფლების დროს კი დამავალა ბაქოს წავსულვიყავ
და განსვენებულ კეცხოველის განკარგულებაში
ვყოფილიყავ.

ლილოსი. ოო, აი თურმე როგორ გამობრძმედილხარ.

გარდენ. მაგრამ კეცხოველთან მუშაობა დიდხანს არ დამცალდა. მალე დაატუსალეს ბაქოში, შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს და ის იყო 1903-ში მეტეხის ციხეში ვერაგულად მოჰკლეს კიდეც.

ცაბუ. დიდი კაცი მოასლდა ჩვენ საქმეს, დიდი კაცი...

გარდენ. მე კი იმავ წელს გამიწვიეს კიდეც და მოვხვდი იქ, სადაც ორი დიდი იმპერიალისტური ავაზაკი, ნიკოლოზ II-ს მთავრობა და იაპონია, ბრძოლის ველზე შეხვდნენ ერთი მეორეს.

ლილოსი. ესლა საიდან?

გარდენ. მე წუხელის ჩამოველ პეტერბურგიდან... ჯარში რომ აჯანყებები მოეწყო, წრეულს, პეც შიგ ვერიე... პორტსმუტის ზავის შემდეგ პეტერბურგს მოვახერხე ჩასვლა და იქ თუმცა ვიმალებოდი, მაინც ამ ფორმით ვიყავ... პო, რა დიდი ამბებია, ცაბუ-გენაცვა, რა დიდი ამბებია რუსეთში... განსაკუთრებით 9 იანვრის შემდეგ...

ცაბუ. რასაკვირველია... ვიცი, რომ დაიწყო რევოლუცია...

გარდენ. ნამდვილად, ცაბუ ნამდვილად... რუსეთი გუ-გუნებს და გრიალებს, მუშები დაირაზმნენ, სოფლებიც აქოჩილა... ლენინიც ჩამოვიდა და ხელმძღვანელობს მთელს ამ მოძრაობას...

ცაბუ. ჩვენშიაც, ვარდენ, ჩვენშიაც... გურია, სამევრელო, ქართლი... ყველგან ერთობა, ყველგან ხალხის სამართალი... სულ კი კობამ გააღვივა ნაპერ-წკალი...

გარდენ. კობამ კი არა სოსომ (ქალები იცინიან) რაო? ასე იყო, არ გახსოვთ... ჯერ ჩემსობას ბათუმში რომ ვიყავით... გერვასი ჩემი მოკეთე იყო, რომ პროკლამაციებს ავრცელებდა, ამას გარდა ქიშვარდი,

გურგენი და სხვები... სოფლებში რომ გაპქონდათ
აზალი სიტყვა...

ცაბუ. ჰო და სოსო იგივე კობა არ არის?

ვარდენ მართლა? მე ეს ვიცოდი მხოლოდ, რომ სოსო
გადასახლებიდან გამოიქცა ისევ კავკასიაში და აქ
მუშაობს.. მხოლოდ რა სახელით ეს არ ვიცოდი.

ცაბუ. დიალ, აქ მუშაობს.. ეხლა ქალაქშია და ის არის
მეთაური ბოლშევიკების ფრთისა...

გივი. აგერ ძია ზევარი!

ზ ე ვ ა რ

ზევარ. გამარჯვება თქვენი, ქალებო... იცით რაზე მოვე-
დი? ეს ვინ არის?

ცაბუ. ჰა, ჰა, ვარდენი არ გახსოვს? ბათუმში ჩვენთან
რომ იყო ობოლი ბიჭი?

ზევარ. ბათუმში? ჰო... გამარჯვება! ეგ მე ბათუმში კი
არა ქუთაისის ციხეშიაც მახსოვს... კობას ძალიან
უყვარდა... რუსულს ასწავლიდა... გამოცვლილხარ...
კარგი ხანია მას აქეთ—სამი წელიწადი მაინც იქ-
ნება...

გივი. (ჯიბიდან წიგნს ამოაცლის ზევარი).

ზევარ. როიცა, გიუო... ვაიმე, სად ჩამიდევს... ეს რო-
გორ დამემართა?

ლილოსი. რა არის? აზალია რამე?

ცაბუ. (გივის ჩამოართმევს ჩინს და კითხულობს) „გაკვრით
პარტიულ უთანხმოებაზე“.

ზევარ. ჰო, ეგ კობას დაწერილი წიგნია.

ვარდენ კობასი? მაჩვენეთ. რამდენი ხანია ქართული
არაფერი წამიკითხავს...

ზევარ. ჰა, მართლა გვითხარი, ვარდენ... საითა ხარ?

ვარდენ. მიუხვდი. მენშევიკებს ჩემი გული ვერ გაეკარა.

ჯერ კიდევ მეორე ყრილობიდან, პირველ გათიშვი-
სას მე ბოლშევიკების რიგებში ჩავდექი.. ან განა
შეიძლება ჩვენა ხელმძღვანელის განძარტების შემდეგ
ასე არ მოვქცეულიყავ... ეხლა ხომ.. რას ჩადიან
მენშევიკები: ასეთ ისტორიულ დროს მათ რევოლუ-
ციურ მთავრობის აუცილებლობა და საერთო შეია-
რალებული აჯანყება უარყვეს. სამაგიეროთ წამოა-
ყენეს შემდეგი მოთხოვნილებანი: რევოლუციურ
თვითმმართველობის ჩამოყალიბება, კავშირი ბურ-
ჟუაზიასთან, კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული
ლონისძიებანი თვითმმართველობასთან საბრძოლვე-
ლად, ხოლო პროლეტარიატისა და გლეხების დიქ-
ტატურა გამოაცხადეს ბლანკისტურ სქემად.

ჭევარ. ბიჭოს, შენ ძალიან მომზადებულხარ ..

ცაბუ მენშევიკები ახლა ხელმწიფის მანიფესტს უჭირენ
მხარსა.

ვარდენ. ოო, მაგ მანიფესტზე რუსულში კარგა მღერიან:

Царь Николай издал манифест:
мертвым—свободу, живых под арест!

ჭევარ. ჰო, ეხლა რაზე მოვედი. ამ ცოტა ხნის შემდეგ
ფინლანდიაში მოწვეულია პარტიული კონფერენცია
მხოლოდ ბოლშევიკებისა. ამიერკავკასიის წარმო-
მადგენლად იქ მიდის კობა და კიდევ ერთი ამხა-
ნაგი. ამ ამხანაგისათვის ცოტა რაღაც არის შესა-
კერი და... აი მოგიტანეთ, ქალებო. (კადასცემს რა-
ღაც შეხვეულს) ცაბუ, მოდი ცოტა ხანს აქეთ... (განზე
გარყეანს).

ლილოხი. (გივის) ეზოში?... კარგი, წადი, ითამაშე (გივი
გადის).

ჭევარ. (ცაბუს ცალკე) ჰო, ქომიტეტმა გადასწყვიტა...
ერთი სიტყვით ყოველივეს აგიხსნიან.

ლილოსი. (ვარდენს) აბა! საწყალი დესპინე შამათავა! უდრო-
ოდ დაიღუპა ბათუმში. 9 მარტის დემონსტრაციის
შემდევ დიღხანს არ უცოცხლია. პოლიციამ აწამა
თურმე სასტიკად, დაავადმყოფებული და სიცოცხ-
ლეც მოესწრაფა.

გარდენ. ძალიან ქალი იყო, ძალიან!

ლილოსი. მისი გლოვა გულიდან ჯერაც ვერ ამოგვილია. .
მაგრამ ვცდილობთ, რომ დესპინესთანები სხვები
გაგვიჩნდნენ.

გარდენი. აი, ცაბუ მაგალითად.

ლილოსი. ოჰ, ვარდენ, ვერ წარმოიდგენ რა ქალი და-
დგა. ან აე რამ შესცვალა, რამ გააკაეა?

გარდენ. რევოლუცია ხალხსა ზრდის, კარგი ხელმძღვა-
ნელები წვრთნიან მათ. ეგეც უშუალოდ არა, მაგ-
რამ ჩვენი ხელმძღვანელის-ორბიტაში იყო მოქცეული.

ჭევარ. (ც.ბუს) ესეც ასე. მაშ მიტინგის შემდეგ აქ მოვა
კობა და მასთან შემოკრბებიან თბილისის,
ბაქოსი, იმერეთ - სამეგრელოს და ბათუმის კომი-
ტეტების წარმომადგენლები და აგრეთვე გურიის
ჯგუფი.

ცაბუ. მითხარი რა უნდა გადასწყვიტონ?

ჭევარ. შენ რასაკვირველია გეტყვი: მთავარი ის არის,
რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა შეიარაღებული
აჯანყების მომზადებისა და ჩატარებისათვის,
თორემ...

ცაბუ. მეც მანდა ვარ, თორემ მოღუნდა ზოგიერთი ვატ-
ყობ. პროლეტარიატს კი სწყურიან რევოლუცია...
ქალაქად... სოფლად... მე ამას ცხადად ვგრძნობ...

გარდენ. (ლილოსის) მაშ სამი წელიწადია რაც გარდაიცვალნენ?

ლილოსი. ღიაღ, შენს შეზღევ ერთი მეორეს მიყვნენ საცოდავი დათიელა და მისი მავდანა. მე და ცაბუაქ გადმოვსახლდით.

თანდილა (სიჩარით შემოდის) რა ამბავია, ამხანაგებო, არ მოღიხართ მიტინგზე?

გარდენა. მიტინგზე? რასაკვირველია. მე მინდა დღეს გამოვიდე, როგორც რუსეთიდან ახლად ჩამოსული ჯარის კაცი და ჩვენი ამბები უამბო ხალხსა.

ლილოსი. აა, ეგ ძალიან კარგი იქნება.

ზეგარ. კარგია, მაგრამ მიტინგზე ჯერ ადრეა.

თანდილა. რაღა ადრეა ნახევარი საათი თულა დარჩა. მხოლოდ მანამდი, ცაბუ, შენი ნახვა უნდა ერთ კაცს. აგერ მიცდის.

ცაბუ. ვინ კაცია?

თანდილა. ბათუშელი ზიკოვის ვაჟი, სერიოუ. წარმოიდგინე ქუჩაში დამიჭირა და მაშინვე შენი ამბავი გამომკითხა თუ იციო... არ დამიმალავს, საეჭვო კაცად ვერ მივიჩნიო...

ზეგარ. არა, ერთ დროს გამიგია, რომ ჩვენი, ბოლშევიკური ხაზით მუშაობდა.

ლილოსი. ვითომ რა ამბავიაო. ცაბუ რაზე გახსენებისარი? ცაბუ. მისგან ურიგობა არაფერი მახსოვს.

თანდილა. ურაგო არც ეწლა უნდა იყოს, რამდენათაც შევამჩნიე, მხოლოდ ძალზე სევდიანი სახე კი აქვს, თითქო მოტეხილიაო. ძიიღებ?

ცაბუ. მობრძანდეს. (თანდილა გადის)

ზეგარ. მგონი მას შემდევ, რაც შენ მაგათ ოჭახს გამოექცი, არც ეგ გინახავს.

ცაბუ. ომ, მაშინ ისეთ გუნებაზე ვიყავ, რომ მაგათ
ოჯახიდან არაეს დანახვაც კი არ მინდოდა.

სერიოჟა და თანდილა

სერიოჟა. სალაში. აა, აქ თითქმის ყველა ჩემი ნაცნობია.
ბათუმელები, თქვენ მაგონებთ ჩემს სიჭაბუკეს.

ზევარ ეხლა რა? მოხუცდით უკვე?

სერიოჟა. არა, მოხუცდა არ ითქმის, მაგრამ ეს კი
ცხალია, რომ ბევრს რასმეს ისე აღარ ვუყურებ, რო-
გორც წინედ.

გარდენ. ლიბერალი ხომ არ გახდი, ყმაწვილო?

თანდილა. (ცაბუს ჩუმალ) ის ხელის ყუმბარა მომეცი,
ქალო.

ცაბუ. რათ გინდა? ჰაა, თანდილ... მოუფიქრებელი ნა-
ბიჯი არ გადადგა...

თანდილა. არა, ვინიცობისათვის მინდა მქონდეს. მიტინგზე
იარალი საჭიროა. მოიტა.

ცაბუ. კარგი, მხოლოდ გახსოვდეს, რომ უდრსციპლინო-
ბით ზიანს უფრო ჩვენ მოვიტან, ვიდრე მტერს.

თანდილა. კარგია, ნუ მარიგებ. მოიტა. (კაბუ გადის).

სერიოჟა. ცხოვრება მეტად რაული რამ ყოფილა და თუ
აქამდე მეგონა, რომ ერთის დაკვრით მთა და ბარს
გავასწორებდით, ეს ეხლა აღარა მგონია.

გარდენ. უკან დაიხიეთ? ინტელიგენტებში ბევრი ვნახე
თქვენისთანები... მოდლევნებული. გულ-წამხდარი..
პეტერბურგში ზოგიერთი, ვითომ მოსოციალისტე
ხალხი, ლაპარაკობდა,—უკვე საკმარისად მოგვცეს
და გვეყოფა, პროლეტარიატი ამ უძმად ვერაფერს
გააწყობს, რევოლუციის ხელმძღვანელობა ლიბე-

რალურ ბურეულაზიას დაუთმოთ. თქვენც როგორ-
ლაც ამისთანებს მაგონებთ.

ხერიოვნა. არა, მე რწმენა არ დამკარგვია, მაგრამ გამოვ-
ტყდები, მოვდუნდი კი... ჩემის ფიქრათ რევოლიუ-
ციის საქმე დიდი ხნით გადაიდვა... და ჩენ იძუ-
ლებულნი ვართ, ჯერ-ჯერობით იმ ნაფინჩხრებით
დავქმაყოფილდეთ, რომელსაც თუნდა ამ უამაღ
ხელმწიფის მანიფესტი იძლევა...

გარდენ. ოჰ, რას ამბობთ, რას? მაშ არ წაგიკითხავთ
ლენინის წერილი მანიფესტის გამოშვების შემდევ.
იგი არა სწერდა: „მუშებს თავის დღეში არ და-
ავიწყდებათ მეფის იძულებითი კაპიტულაცია. მუ-
შებს არასოდეს არ დაავიწყდებათ, რომ მხოლოდ
ძალით, მათი ორგანიზაციის, მათი ერთობის ძა-
ლით, მასსების გმირულ მოქმედებით, ხელიდან გამო-
გლიჯეს ცარიზმს მანიფესტის ქალალდზე თავისუფ-
ლების აღიარება და სწორედ ისინივე წაჰგლეჯენ
ამ თავისუფლებას...“

ხერიოვნა. ვიცი, მაგრამ გული მეთანალრება ამდენ
მსხვერპლს რომ ვხედავ: ბათუმის სისხლიანი ამბები
ამ სამი წლის წინედ, კიდევ უფრო გრანდიოზული
აზვირთება პეტერბურგში წლეუნდილ 9 იანვარს...
უამრავი ხალხი ციხეებსა და კაზემატებში ჩამპალი,
ციმბირის ტუნდრებში ჩალუპული, სახრჩობცლაზე
ჩამომლვრჩალი ..

ლილოსი. ბატონ სერიოვას მეტად მგრძნობიარე გული
ჰქონია.

ცაბუ. (გამოვიდა. თანდილას ქალალდში გახევულ ყუმბარას აძ-
ლევს).

თანდილა. აბა ამხანაგებო, გავსწიოთ. უკვე დრო არის,
ლილოსი შიდიხარ?

ლილოსი. ეხლავ. გივიც მინდა წავიყვანო.

სერიოჟა. საღ მიბრძანდებით?

ლილოსი. მიტინგზე. დღეს გამოდიან სხვადასხვა პარ-
ტიის წარმომადგენლები და კობაც უნდა გამოვი-
დეს...

ვარდენ. ვნახავთ როგორ დაამსხვრევს თავის მოწინააღმ-
დეგებს, წავიდეთ.

ლილოსი. გივი, გივი! (გივი შემოდის) აბა, დაიხურე ქუდი
და გავისეირნოთ. (გივი ქუდს მოძებნის, ემხადება წასა-
ვლელად).

სერიოჟა. ეგ ვისი ბავშვია?

ცაბუ. ჩემი.

სერიოჟა. მერე მიტინგზე უშვებთ?

ცაბუ. ისწავლოს მაგანაკ უშიშრობა და თავდადება.

სერიოჟა. (ამოითხრა) ეეჭ... მაინც კარგები ხართ, კარგები!
ვარდენ. აბა, მივდივართ, თქვენ, ლიბერალო, არ წამო-
ხვალთ?

სერიოჟა. (ფიქრში იყო თითქო ეხლა გამოუხიზლდა) მე?...
დაგეწევით! (გადიან ლილოსი, გივი, ზეგარ, ვარდენ. მათი
გასვლის შემდევ უზერხული სიჩუმე ჩამოვარდება. სერიოჟა
ცაბუს მიაჩერდება და დიდანს უყურებს).

ცაბუ. რას შემომაშტერდით?

სერიოჟა. გიყურებთ და თითქო ვერ მიცვნიხართ. სახით
ისევ ისეგი ხართ, არა, კიდევ უკეთესი, მხოლოდ
თვალებში თითქო სიბრძნე ჩამოდგარა და მთელს
აღნაგობას თავის თავის რწმენა მოუპოვებია.

ცაბუ. ვერ გამიგია, რა გინდათ სთქათ?

სერიოჟა. ჩემთვის კი ისევ ისე ახლობელი ხართ, რო-
გორც წინედ.

ცაბუ. ახლობელი?

სერიოჟა. დიალ... ეს მე იმ დღიდან ვიგრძენ, ცხადათ, რა დღესაც თქვენ ჩვენი ოჯახიდან გაიქცით... მაშინ დავრწყუნდი თუ თქვენ ჩემთვის თურძე რა ძვირფასი არსება იყავით და ის იყო მოველ თქვენსა, რომ გულის თრთოლვა თქვენთვის გამეზიარებია, მაგრამ ჩემთან გამოლაპარაკებაც კი არ ინტერ, თავი ამარიდეთ და არც არასოდეს მეჩვენეთ. მე კი მაინც ფიქრისაგან ვერ განვიშორეთ.

ცაბუ. მევონა, რომ რევოლიუციას შესწირეთ თავი... ამანაგები გვიამბობდნენ; — სტუდენტებში დიდ მუშაობას ეწეოდით ბოლშევიკების ხაზით.

სერიოჟა. დიალ, ეგ აგრე იყო... რევოლიუციამ დედმასთან გამთიშა, მხოლოდ თქვენ... თქვენი წმინდა სახე მან ვერ დამავიწყა. ამბობენ დრო ჰესტრინავს ადამიანს ასეთ გატაცებისაგანაო. მაგრამ მე ვერ გამკურნა, რადგან ეს უბრალო გატაცება არ იყო... ეს ებლა ცხ-დია ჩემთვის...

ცაბუ მესმოდა წელან ვარდენი თქვენ როგორ გამათრახებდათ... მოდუნება გიკიუინათ და კიდევ უარესი... ლიბერალობა...

სერიოჟა. გამოვტეხილვარ, მოვდუნდი, რადგან... ამ სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდა თავს... ბევრი რამ გამოვიარე... მეტად აღტყიჩებული მებრძოლი ვიყავ... სტუდენტობაში მართლა რომ ცხარე რევოლიუციონერის სახელი მქონდა მოპოებული, შეურიგებელის ბოლშევიკისა... მაგრამ რამდენჯერმე დამატუსაღეს, ესეც არ მაკვარეს შო-

რეულს ქვეყნებში გადამასახლეს... მაგრამ დედა-
ჩემმა სთოვა ხელიწიფეს და ვადამდე გამომიშვეს...
მივიღე ეს მოწყალება, რაღან... ცაბუ, ქალბატო-
ნო!... დავიღლალე დიდათ... და აი ჩემი პირველი
განზრახვა ის იყო, რომ ჩამოვსულიყავ საქართვე-
ლოში, რომენახეთ თქვენ და მეთხოვნა, რომ ცო-
ლად წამომყოლოდით.

ცაბუ. ბ ნო სერიოუა! მე მიყვარდა ერთხელ. ეს იყო
ჩემი ქმარი ის მებრძოლი იყო. ქედ მაღალი და
შეუპოვარი და რევოლუციას პატიოსნად შესწირა
კიდეც თავი. მე მხოლოდ ჰებრძოლი ხალხი მიყვარს,
მტკიცე და შეურყეველი.

ბ ი ტ ი ნ გ ი.

ორატორი. ... და აი, ამხანაგებო, რას მივალწიეთ? რუსე-
თი იქცა კონსტიტუციონალურ-მონარქიულ სახელმ-
წიფოდ. ეს ჩვენი მონაპოვარია, ჩვენმა მუშაობაშ
მოიტანა ეს ნაყოფი.

გარდენ ვინ თქვენ? თქვენ სად იყავთ, როდესაც მუშები-
ათასობით ციხეში ლპებოდნენ, უსწორო ბრძოლაში-
სისხლსა ლვრიდნენ? ეხლა გამოძერით? და ეხლა
გინდათ ამ კუდ მოკვეცილ კონსტიტუციით დაკმა-
ყოფილდეთ?

- 1 მაყურებელი.** ხელს ნუ უშლით ორატორს, გაგვაგონეთ.
- 2 ორატორი.** ამიერიდან თვითმპურობელობა აღარ არის,
თვითმპურობელობა მოკვდა... ამიერიდან ჩვენი ლო-
ზუხი იქნება: ძირს თვითმპურობელობა კი არა
ძირს მონარქია! (ფაშა! გაშა! მოწონების ხრიალი).

ვარდენ. სულ ტყუილია! რუსეთის რევოლუცია ისევე
აუცილებელია, როგორათაც აუცილებელია მზის
ამოსვლა.

1 მაყურებელი. კიდევ რომელ რევოლუციაზე ლაპარაკობ?
რევოლუცია მოხდა უკვე. წრეულს იანვარში პე-
ტერბურგის ქუჩებზე დაღვრილი სისხლი ამის საბუ-
თია.

ვარდენ. პო და ეხლა თვალს გვიბრმავებს, მთავრობა...
უნიათო მანიფესტით უნდა პროლეტარიატი მოა-
ტყუოს და რევოლუცია სულ სხვა გზით მიმარ-
თოს.

2 მაყურებელი. აქამდე ყოყმანებდა მთავრობა და ეხლა კი
გამოთქვა, რაც უნდა: სახელმწიფო დუმას იწვევს.

ვარდენ. ჩვენ სწორედ ამ დუმის წინააღმდეგ უნდა წავი-
დეთ.

1 მაყურებელი. ვინ თქვენ? თქვენა ხართ პროლეტარიატის
წარმამადგენელნი?

ვარდენ. დიალ. მთავარ ძალას ქალაქისა და სოფლის
პროლეტარიატი წარმოადგენს. მისი მედროშეა
სოციალ-დემოკრატიის პარტია და არა ეს ლიბერა-
ლები... აი, ყური დაუგდეთ, რას ამბობს.

2 ორატორი. (უკვე სიტყვას ათავებს) ჩვენ ალარ გვჭირდება
იარალი... ძირს იარალი!

(ვაშა ტაში. ტრიბუნაზე ადის სტალინი)

ხეგბი. — ეს ვინ არის?

— ის არის, ის!

— კობაა, კობა!

— ჩვენი სოსო!

— ჩუმადი ყური დაუგდეთ!

სტალინი. თქვენ ერთი ცუდი ჩვეულება გაქვთ, რომელიც პირში უნდა გითხრათ, ვინც უნდა გამოვიდეს, და რაც უნდა გითხრათ, ყველას სიხარულით და ტაშის ცემით ხვდებით. თქვენ გეუბნებიან „გაუმარჯოს თავისუფლებას“-ო ტაშს უკრავთ, „გაუმარჯოს რევოლიუციას“-ო ტაშს უკრავთ; ეს კარგია: მაგრამ როცა გვეუბნებიან „ძირს იარღიო“, ამასაც ტაშს უკრავთ. ამა რა რევოლიუცია იქნება რომ უიარაღოთ გაიმარჯვოს? ის რა რევოლიუციონერია, ვინც იტყვის: „ძირს იარღიო“? ამის მთქმელი ორატორი, ალბათ, ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლუციონერი. და ვინჯ უნდა იყოს ამის მთქმელი, ის რევოლუციის, თავისუფლების ხალხის მტერია.

- სტები.** — ვინ არის ეს კაცი?
— რა შხამიანი ენა ჰქონია?
— უთუოდ იაკობინელია!
— ჰო, იაკობინელის ენით ლაპარაკობს!

სტალინი. ნამდვილ გამარჯვებისთვის კი რა არის საჭირო? ამისათვის საჭიროა სამი რამ. კარგათ გაიგეთ და დაიხსომეთ: პირველი რაც საჭიროა ეს არის— შეიარაღება, მეორე— შეიარაღება და მესამე კიდევ შეიარაღება! (ტაში)

სტალინი. ძილისაგან გაფიცვამდე, გაფიცვიდან შეიარაღებულ აჯანყებამდე, აჯანყებიდან გამარჯვებამდე. ეს არის ჩვენი გზა, გზა მუშათა კლასისა.

ცაბუ და სერიოზა.

სერიოზა. (მოკრუნჩებული ზის მაგიდასთან და თავი ხელებზე დაუყრდენია. პაუზა). მაშ კვლავ მარტობა... უნდა დავ-

მარხო ერთად-ერთი ჩემი სხიოსანი იმედი?... საზო-
გადოებრივად ხელმოცარული, ჩემს მშობლებს და
ჩემს წრეს სამუდამოდ ჩამოშორებული...

ცაბუ. დაუბრუნდებით თქვენს წრეს, ბატონო ჩემო-
მშობლები შეგირიგებენ... ერთი ნაბიჯი ხომ გადა-
გიდგამთ...

სერიოჟა. ნუ ხართ სასტიკი... თქვენ და სისასტიკე?
თქვენ, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ქალურ სინა-
ზის სიმბოლო იყავით მუდამ... არა, თქვენ არა
მკრავთ ხელს, არა მჯერა... მე ჩემი გული გადაგი-
შალეთ... გადაგიშალეთ აგრეთვე სურათი ამ დიდი
მოძრაობისა... გამარჯვება შალიან შორეულია და
მანამ უნდა მხოლოდ სხვაგვარი მუშაობა, ნელი და
ჭყნარი. ორთავენი ჩვენ ამგვარ მუშაობას შევწი-
რავთ თაგს ისევ ხალხისათვის, ისევ დაჩაგრულ
კლასისათვის.

ცაბუ. სხვადასხვაგვარად ვაზროვნებთ. მე კარგათ ვიცი,
რომ „ნაპერწკლისაგან იფეთქებს ალი“... ეს ნაპერწ-
კალი კი უკვე ღვივდება, ინთება კოცონი... თქვენ
კი ამას ვერა ხედავთ.

სერიოჟა. მე ვხედავ იმას, რომ თქვენ მიყვარხართ და
მზათ ვარ თავი შემოგწიროთ...

ცაბუ. უკაცრავად! ჩვენ სალაპარაკო არა გვაქვს-რა.
(სერიოჟას თითქოს სილა გააწინესო, წამოდგება, ერთს კიდევ
შეხედავს ცაბუს, და, როდესაც მის შეუვალ, თითქმის მრის,
ხანე გამოშეტყველებას დაინახავს, საულიად მოშვებული წე-
ლის ნაბიჯით გადის).

ცაბუ. (მიდის კუთხის პატარა მაგიდასთან და აიდებს ერთ წიგნს,
ჩა კიქრებულია. შემდეგ ხმამალლა წაიქათბავს / სათაურს):
„ოცნება და სინამდვილე“ — ჰმ... რა ზედგამოჭრი-
ლია... (ლიმილით გაუაფურცლავს. ერთგან შეჩერდება, კით-

შულობს) „ენა შეიძლება, რომ „საერთო ნიადაგათ“
იქნას მიღებული. იმდენათ რამდენათაც მას ყველა
ხმარობს, ენაც წარმოადგენს „საერთო ნიადაგს“,
ისე, როგორც პრძოლის ასპარეზი. მაგრამ რაკი
ამ სულიერ იარაღს იდუმალი სოციალური წინა-
აღმდეგობა ახლავს თან, ამიტომაც იგი ერთი მეო-
რის დასამარცხებელ იარაღს წარმოადგენს“...

(ამჟეკითხვის დროს ჩუმად შემოვა ნაღვინევი მეტიელა. ფეხ
აკრეფით მივა ცაბუსთან, თავს წაადგება და წიგნში ჩაუხე-
დაშს. ცაბუ შეკროება). ვინ არის? მეტიელა! რა გინდა
აქ?

შეტიელა. რას კითხულობ? საშა წულუკიძის წიგნს? ეგ
ლამაზი თვალები გეტკინება, გენაცვა!

ცაბუ. (მობრუნდება მკაცრად) აქ რა გინდა-მეთქი.

შეტიელა. შენი ჯავრი ჩამყვა გულში, ჩემო ხოხობო
ეხლა მოგძებნე და მოველი.

ცაბუ. ეხლავ გამეცალე აქედან...

შეტიელა. როგორ თუ გამეცალეო... შენმა სიყვარულმა
აქეთ შემომაგდო და გაგეცალო?

ცაბუ. ნუ ლაზლანდარობ... გამეცალე მეთქი!

შეტიელა. რატომ ასე კუშტად, რატომ ასე მწყრალად?
რამდენი ხანია დაგეძებ... იმ დღეს ლილოსი დავი-
ნახე, მაგრამ თავი მომარიდა. განა არ ვიცი რა-
ტომ?... ჩემზე მტრებს ხმა გაუვრცელებია—თითქოს
მე პოლიციის ჯაშუში ვიყო... შაგრამ მე ვიცი
ამისათვის ჩემ მტრებს რა დღესაც დავაყენებ...
კაცს სიყმაწვილიდან მუშების საქმისათვის თავი
გადადებული მაქვს და ჯაშუშს მეძახიან?...

ცაბუ. ჩშ... ჩუმად.. მე სრულიადაც არ მინდა შენი
ცხოვრების ამბები გავიგო... გთხოვ რომ აქედან
ჭახვიდე.

შეტიყლა. წავიდე რა... მოვშორდე ჩემ სატრუიალო არ-
სებას, რომელსაც აგერ რამდენი წელიწადია შო-
რიდან ვეთაყვანები...

ცაბუ. გთხოვ...

შეტიყლა. მეც გთხოვთ... მხოლოდ ერთი კოცნა...

ცაბუ. (უკან დაიხევს) გათახსირებული!

შეტიყლა. ნებით არ გინდა? ძალიან კარგი... არ გინდა
ნებით? (მივარდება, ეხვევა, უნდა აკოცოს. ბლლარძნი).
ცაბუ ახერხებს, შეუმჩნევლად მეტიყლას ხანჯალს :მოუღებს
ქარქაშიდან და განხე გაუსხლტება) აა, მაშ ეგრეჩი, აა,
შე-ალქაჯო შენ! (უნდა მივარდეს, მაგრამ სწორედ ამ-
დროს კარებს ალებს თანდილა და ამ სურათს რომ დარჩავს
მეტიყლას უკანიდან მხრებში ხელს ჩავლებს და კარებზე
მიაგდებს) აჰა! მაშ ეს არის შენი კურო? კიდეც იმი-
ტომ... იფ, მშვენიერი ხელობა კი დაგიწყვისა, ქალ-
ბატონო!

თანდილა. უსინდისო! რა უნდა გიყო ეხლა შენ?

ცაბუ. კარში! კარში!

თანდილა. (მივარდება, ასწევს და კარში გაისყრის მეტიყლას
თან კარებს გადარაზავს)

ცაბუ. (თანდათან მშეიძლდება) რა საძაგელი კაცია! ცუდი
ამბავია, რომ ჩვენს ბინას მოაგნო... რაკი ერთხელ
დაგვყნოსა, აღარ გაგვახარებს...

თანდილა. ნეტა მიტინგზე წამოსულიყავ... ხომ ასკედე-
ბოდი უსიამოვნებას.

ცაბუ. წამოსვლა რას უშველის, როცა ბინა გაუგია..
მერმე კიდევ ამალამ... აქ უნდა შეიკრიბნენ ჩვენი
კომიტეტის წევრები... თვითონ კობა მოვა აქ და...
თანდილა. აქ არის კრება? ვაიმე! მაგან რომ პოლიცია
თავს დაგვასხას?

ცაბუ. ცხადია, კარგ არას მოიქმედებს...

თანდილა. მაშ რა ვქნათ?

ცაბუ. მიტინგი გაიავდა?

თანდილა. არა, ეს არის სრულდება. კობამ რომ ყველანი
მიამსხვრია, მერმე აღარ დავრჩენილვარ.

ცაბუ. ერთი უნდა მოახერხო... ამაღამ აქ კრება არ უნდა
შესდგეს... ირბინე და... მოსძებნე ხელმძღვანელი...
უამბე როგორც არის საქმე... აბა, ჩქარა.

თანდილა. მივჭრივარ! (გარბის).

(გარედან საშინელი სროლის ხმა).

ცაბუ. რა ამბავა?... თანდილა არ იყოს... უჰ, თუ რამ
სისულელე ჩაიდინა...

(თანდილა შემოლის სახე-გაბრწყინვებული).

რა ჰქენ? ეგ შენ იყავი?

თანდილა. საზიზღარ ჭიას თავი გაუსრისე.

ცაბუ. აბა რა უნდა გითხრა? გესმის კი რა ჩაიცინე?
მეტიელას მოკვლით ხომ კიდევ უარესი ზიანი მო-
გვაყენე ყველას. რომ გაიგებენ, ხომ სულ აიკლებენ
ამ უბანს. მაგრამ ეხლა ლაპარაკის დრო არ არის...
შედი იმ ოთახში, იქ ფუთაში შეხვეულია ლიტე-
რატურა. მოიკიდე ზურგზე და გამომყევ, გაჩეენებ
საღაც უნდა გადაიტანო... მართლა, ეს ხანჯალი...
ხანჯალი წალის ჭელში ჩაიდე... მე კი წავალ და
ხელმძღვანელს მოვძებნი.

თანდილა. ჰმ... ბინასა სტოვებ? შენი ბავშვი? ლილოსი?

ცაბუ. მოვძებნი იმათაც... ამ ბინაში აღარავინ აღარა
ცხოვრობს...

IV. ტაშერზე დასი.

ჯერ სხდომა არ დაწყებულა. ჯგუფი ჯგუფად ხაუბრობენ.

- 1 დელეგატი. რა პატარა ქალაქი ყოფილა ეს ტაშერ-ფორსი!
- 2 დელეგატი. დიალ, მეც მეტს მოველოდი. არც თუ მაინც და მაინც დიდ სისუფთავეს ვატყობ. ფინ-ლანდიას ხომ მუდამ გვიქებდნენ დიდი სუფთა ქვეყანააო.
- 1 დელეგატი. მე მგონი რუსეთის რომელიმე სხვა ქალაქ-შიც შეიძლებოდა მოგვეწყო ჩვენი კონფერენცია. პოლიციის მხრივ აქაც ხომ რუსეთია.
- 2 დელეგატი. სამაგიეროდ მენშევიკები დაგვუნისავენ.
- 1 დელეგატი. ვითომ აქ სულ ბოლშევიკები არიან?
- 2 დელეგატი. წმინდაწყლის. ეს ხომ მარტო ბოლშევიკების კონფერენციაა.
- 1 დელეგატი. ეგ ვიცი, მაგრამ... ვინ იცის!
- 2 დელეგატი. არა, დარწმუნებული იყავით. ეგერ ამიერკავკასიის წარმომადგენელი.
- 1 დელეგატი. აა, ეს ის, ვლადიმერ ილიჩთან, რომ მიწერ-მოწერა აქვს?
- 2 დელეგატი. დიალ. დიდი მომზადებული ამხანაგია თურმე, ეგ ის არის, გახსოვთ, ვლადიმერ ილიჩი რომ უქებდა საკითხის სწორ დაყენებას ქართულს ჩვენს ორგანოში.
- 1 დელეგატი. მახსოვს „პროლეტარის“ № 22. 1905 წლისა.
- 2 დელეგატი. მაგრამ ეგ კიდევ რა არის? ვლადიმერ ილიჩი გვეუბნებოდა, რომ იგი არის მედროშე ამიერკავკასიის პროლეტარიატისა. ნამდვილი მისი ხელმძღვანელი.
- სტალინი. (მოდის მათთან) უკაცრავად; ამხანაგებო, რო-

გორა ფიქრობთ ლენინი კიდევ დილხანს დაიგვია-
ნებს?

1-ლი. თქვენ რა, ლენინს ვერ იცნობთ?

სტალინი. ლენინს 1903 წლიდან ვიცნობ, მიწერ-მოწე-
რით.

2-რე. პირადათ კი ვერა?

სტალინი. ვერა.

1-ლი. აქ არის.

სტალინი. მოვიდა კიდევ?

2-რე. დიალ, ეგერ კუთხეში. ყველაზე ადრე მოვიდა.

(ლენინი ზურგშექცეული დგას მაყურებლებისაკენ და თავის
ჯგუფში საუბრობს).

სტალინი. მე კი სულ სხვა წარმოდგენა მქონდა.

1-ლი. როგორი?

სტალინი. მეგონა, რომ ლენინი არამც თუ პოლიტიკუ-
რად არის გოლიათი, არამედ გარეგნობითაც
მეთქი: მაღალი წარმოსალეგი...

2-რე. ჰა, ჰა... ბევრ ჩვენგანს ესეთი წარმოდგენა გვქონ-
და, მაგრამ... რა არის კიდევ ჲაკვირველი: ეს მისი
თავდაბლობა და უბრალოება.

1-ლი. არასოდეს არა ცდილობს, რომ ოვალში წამო-
გვეჩიროს, რომ უსათუოდ შეამჩნიოთ, რომ ხაზი
გაუსვას თავის მაღალ ადამიანობას...

სტალინი. (თითქო ფიქრში) დიალ... დიალ... სწორედ აგრე
უნდა იყოს—ახალი ბელადი ახალის მასისია, უბრა-
ლო და ჩვეულებრივი მასისი, კაცობრიობის ქვედა
ფენის სიღრმიდან რომ არის წამოსული...

ლენინი. (თავის ჯგუფს) დიალ, აიღეთ 1902 წლის ბათუ-
მის ამბები. ამ წლის მარტის 9-ს ბათუმის მუშების
დემონსტრაცია და მათი სისხლის დათხევა უაღრე-
სად დიდი მნიშვნელობის იყო. საერთოდ მუშათა

მოძრაობის ისტორიაში და კერძოდ ამიერ-კავკასიისათვის. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია კი ჩამოაყალიბა აი იმ ამხანაგმა, რომელზედაც გელაპარაკებოდით (თანდათან სახეს ავანსცენისკენ იბრუნებს) მან პირველმა დარაზმა ბათუმელი, ბაქოელი და საერთოდ მთელი ამიერ-კავკასიის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლიუციურ ბრძოლისათვის. მან მთელს ამ მნიშვნელოვან უბანზე გააჩლა დიდი მუშაობა. საერთოდ იგი დიდი ორგანიზატორია, მტკიცე ხასიათის და დიდი ნებისყოფის. იგი უკვე იყო დატუსალებული და გადასახლებულიც, მაგრამ მალე გამოიქცა და კვლავ თავდადებით და უშიშრად მუშაობს... აქ უნდა იყოს უთუოდ. ამიერ-კავკასიამ წარმოგზავნა. ვერ ვიცნობ პირადათ.

სტალინი. (მივიდა მასთან) დელეგატი ამიერ-კავკასიისა.

ლენინი. ააა, სწორედ თქვენ გახსენებდით ეხლა. „მგზნებარე კოლხიდელი“ არა?

სტალინი. (ლამილით) თქვენ რომ მიწოდეთ? დიალ, „მთხოვანივო“!

ლენინი. მოიტათ თქვენი ხელი. (ხელის ჩამორთმევა და ერთად წინ წავლენ).

ფ ა რ დ ა

დ ა ს ა ს რ ჟ ლ ი

ଲ୍ୟାଙ୍କ. — ଗର. ମେହାଳୁବାନ୍ଧୁ
ତୁମ୍ଭରୁଙ୍ଗଦାନ୍. — ଶ. ଫେରେତୁରାଙ୍ଗ୍.
ହାତ୍ଯାଗପା ହାରିଥନ୍ଦୀବାସ ଫୁୟୁୱ/V.
ଶେଲମନର୍ଜେରିଲିଲା ଡାସବ୍ୟକ୍ଷ-
ଦାତ 15/VI. ରୂପାଙ୍ଗି 3.500.
ଶ୍ରେଷ୍ଠ ଓ 1151. ମତାଵଳିଟିର
ନାମେରି 1158. ହିଚନ୍ଦି ଶ୍ରେଷ୍ଠ.
 $9\frac{1}{2}$ ସାବ୍ଦୀ. ଫନ୍ଦ.

* *

ହିଚନ୍ଦି ଅନ୍ତିମ ଦା ଦାନିଦ୍ୟକ୍ଷଦା
„ହାରିବା ବୋଲିତୁଗାଲା“ ଲାମିଦା-
ଶିଳ. ଶ୍ରେଷ୍ଠିନ୍ଦା ଗାମନିଯେମଲନଦା
„ପ୍ରେଦରାତ୍ରିବା“-କ ଲାମିଦାଶିଳ.
ଅଲ୍ଲକାନ୍ତବିଲ ୩ର. ନଂ 181.

